

სასწავლო და კურსაციული გარემო

დამხმარე სახელმძღვანელო

III

2008

ავტორები:

ნინო ნიუარაძე
ქესი მაკლეინი
ტერეზა ბოლი
ნინო გოგიჩაძე
თეონა ლოდია

საკონსულტაციო საბჭო: **ქეთევან მესუხლა, სიმონ ჯანაშია**

რედაქტორები:

ნათია ნაცვლიშვილი
სოფიო გორგოძე

ილუსტრაცია, დიზაინი: **გიორგი გამეზარდაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **თამარ გოდერძიშვილი**

პროექტის კოორდინატორი: **ეთერ გველესიანი**

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.

ISBN 978-9941-0-0674-6
ISBN 978-9941-0-0677-7

საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო

ამ თავის წარითაშობის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რა გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო;

საკლასო ოთახის სივრცის განაწილების რა პრინციპები არ-სებობს;


რა როლი ეკისრება მასწავლებელს კლასის ფიზიკური გარე-მოს დაგეგმვაში;

როგორ უნდა მოიქცეთ, რომ საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო მოსწავლეთა ინდივიდუალურ თავისებურებებს მოარ-გოთ.

საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო ემსახურება სასწავლო ამო-ცანების შესრულებას. ეს ამოცანები მიზნად ისახავს სასკოლო საქმი-ანობაში მოსწავლის მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფას. სხვა ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში მასწავლებლებს პქონდათ საკლასო ოთახე-ბის თავისუფლად მოწყობის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც „ტრადიციული“, სტანდარტული წესით მოწყობის ერთგული რჩებოდნენ. საკლასო ოთახში კარადების, თაროების და მაგიდების განაწილება ხელისშემსრულებლივ იყო თავისუფალი გადაადგილები-სათვის და მოსწავლეები დიდ დროს ატარებდნენ მერხებთან წერილო-ბითი დავალების შესრულებაში.

საკლასო ოთახის სივრცის განაწილების ორი მთავარი მიღებობა არსებობს. ერთი მიღებობა საკლასო ოთახს განიხილავს, როგორც ადგილს, სადაც მოსწავლე კლასის მოწყობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითადად ინდივიდუალურ სამუშაოს ასრულებს, ხოლო მეორე მიღებობა საკლასო ოთახს ანაწევრებს სხვადასხვა სახე-წავლო დანიშნულების ზონებად.

ინდივიდუალური სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებულ საკლასო ოთახში მოსწავლეებს აქვს საკუთარი ადგილი და მას შეუძლია დაგალების დიდი წილი განახორციელოს ადგილიდან გაუსვლელად. ასეთ „ტრადიციულ“ დაგეგმვას იყენებენ მაშინაც, როდესაც მასწავლებელი საერთო საკლასო სწავლებას მიმართავს.



საკლასო ოთახის სასწავლო დანიშნულების მქონე ზონებად დაყოფისას მოსწავლეები სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად საკლასო ოთახში თავისუფლად გადაადგილდებიან.

სიტუაცია

ეთერი მასწავლებელი კარგად იცნობს თავის მოსწავლეებს. არ-დადეგების შემდეგ განსაკუთრებით ემზადება მათ მისაღებად; კლასში ახალი მერხები, თაროები, დაფა და კომპიუტერი დახვდებათ ბაგშევებს.

ეთერი მასწავლებელი გეგმავს, განათავსოს ახალი ავეჯი ისე, რომ გაითვალისწინოს მოსწავლეების თავისებურება ან განსაკუთრებული საჭიროება. თანაც ფიქრობს, რომ მოაწყოს სხვადასხვა სასწავლო დანიშნულების მქონე რამდენიმე ზონა: შემოსასვლელი, სამუშაო, სათავსო, საგამოფენო, ბიბლიოთეკის და ტექნოლოგიური. მან საამისოდ გეგმაც შეიმუშავა:

„ხაკლახო თოახის კართან გავაკეთებ ხაკიდებს, კარადის გვერდით ჩამოვკიდებ გაკვეთილების ცხრილს და კლახის გაზეთისათვის შეკარჩევ ადგილს. ეს იქნება შემოსასვლელი ზონა.“

შემოსასვლელი ზონა საშუალებას აძლევს მოსწავლეს, გადაერთოს ერთი გარემოდან მეორეზე. ასეთი გარდაჯმინის, სპეციფიკური გარემოსთვის შემზადების კარგი მაგალითია ფიზიკური კულტურის დარბაზი, კერძოდ, გასახდელი, სადაც მოსწავლეები იცვლიან ტანსაცმელს და ვარჯიშისათვის ემზადებიან.

საგამოფენო ზონა ატარებს ესთეტიკურ დატვირთვას და ემსახურება სასწავლო მასალის ვიზუალურ განმტკიცებას. თუმცა ამ სივრცის გამოყენება მოითხოვს გარკვეულ ყურადღებას. გამოფენის მოწყობისას უნდა განისაზღვროს თითოეული მასალის დანიშნულება და ისე მოხდეს ადგილის, გამოფენის დროისა თუ ხანგრძლივობის შერჩევა. დიდხანს გამოფენილი მასალა კარგავს მოსწავლისათვის აქტუალობას და ხდება ზედმეტი.

„ახლა, მოდი, თთახს მაგიდებით და თაროებიანი პატარა კარადებით გადაგზისხავ. დაუკურულ თაროში შევდებ ხამუშაო მასალას, და თაროზე დავდებ წიგნებს. ხანდროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა აქვს. ის შემორჩენის ნახატებიანი წიგნებით. ის შეიძლება დახაქმდებული იყოს წიგნების დაწებება-განახლებით. ეს სათავსო ზონა ხანდროს შეუქმნის მიხოვის საჭირო სასწავლო გარემოს“.

ბიბლიოთეკის ზონა არის ადგილი, რომელიც მოსწავლეს ხელს უწევს, დამოუკიდებლად შეძლოს სასურველი მასალის მოძიება.

ის არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სახელმძღვანელოებით, ან საკითხავი მასალით. ბიბლიოთეკა საშუალებას უნდა უქმნიდეს მოსწავლეს, საკლასო ოთახიდან გაუსვლელად მოიპოვოს ვიზუალური, აუდიო თუ ვიდიო მასალა.

სათავსო ზონა ემსახურება სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალის საკლასო ოთახში მოწესრიგებულად შენახვას. სათავსო ზონის დალაგებაში მონაწილეობის მიღება მოსწავლეებს ეხმარება, მიეჩვიონ გამოყენებული მასალის შენახვას და, ამავდროულად, მათ უბიძებს კლასში წესრიგის შენარჩუნების პასუხისმგებლობის გაზიარებისკენ.

საკუთარი სასწავლო ნივთების მოვლა და კლასში თვითმომსახურების უნარის ჩამოყალიბება ხშირად წამყვანი ამოცანაა განსაკუთრებული სასწავლო საჭიროების მქონე მოსწავლისათვის და, ამ მხრივ, ეს ზონა მნიშვნელოვან დახმარებას გაგიტევთ.

„ნუცა დიდხანს უნდება წერას და მისთვის გავაკეთებ მყუდრო კუთხებს, სადაც იგი მარტო მუშაობას შეძლებს. კახას რომ გაუადგილებ დაგალების გაგება, დავხვად ჩემთან ახლოს და თამუნას გვერდით. ისინი ერთმანეთს კარგად ეწყობიან და თამუნაც მიებარება. დაფას და ჩემს სკამს ისე შევუცვლი აღვილს, რომ მეც და მოსწავლეებმაც თავისუფლად ვიმოძრაოთ.“

სამუშაო ზონა გათვალისწინებულია ინდივიდუალური და მცირეჯეულში მუშაობისათვის. ეს არის მყუდრო და მოხერხებული ადგილი ისეთი სამუშაოს შესასრულებლად, როგორიცაა წერა, ხატვა, რამეს აწყობა. ის შეიძლება შეიქმნას საგამოფენო და სათავსო ზონების ელექტრონული და ავეჯის გამოყენებით.

„ჩემგან მოშორებით დაგდგამ კომპიუტერს და მის სიახლოებებს დაგხვად ლუკას. ლუკა კარგად უკეცევა ასეთ რაღაცებში და, საჭიროების შემთხვევაში, მეც მომებარება“.

ტექნოლოგიური ზონა ემსახურება მოსწავლის დაინტერესებას. ასეთი ზონის არსებობის შემთხვევაში მოსწავლე ფიქრობს, რომ სკოლა საკმარისად თანამედროვე და ტექნოლოგიებით მდიდარი ადგილია.

ტექნიკური ზონაში შეიძლება მოხვდეს ყველაფერი - დაწყებული გამომთვლელი მანქანიდან, ვიდეოგადამდგებისა და კომპიუტერის ჩათვლით. მასწავლებლები ხშირად ყოფილი არიან მოხარულების გამოყენებისას. ეშინიათ, რაიმე არ დაუზიანდეს მოწყობილობას. ან, უბრალოდ, არ იციან მისი მოხმარება. მოსწავლეებმა შეიძლება მასწავლებლის დამხმარეს ფუნქცია შეასრულონ. ამ შემთხვევაში კარგი იქნება მათვის ამ პასუხისმგებლობის დაკისრება.

ეთერი მასწავლებლებმა დაამთავრა საქლასო ოთხის მოწყობა და სხვა მასწავლებლები მოიწვია, რომ მათი შოაბეჭდილებები გაეზიარებინა. მასწავლებლების უმარვლესობას მოეწონა მისი ნამუშევარი, თუმცა ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ოვითონ მიზანშეწოდილად არ მიიჩნევს მოსწავლეებისათვის ამდენი მოძრაობის საშუალების მიცემას.

კლასის ფიზიკური გარემოს ეფექტურ გამოყენებაში მასწავლებელს ეხმარება ჯგუფების მართვის სხვადასხვა ტექნიკა და სწავლის ინტერაქციული ტექნიკური ფლობა.

იხ. გვ. 35

ფიზიკური გარემოს დაგეგმვა საქართველოში გავრცელებულია მართკუთხედის ფორმის საკლასო ოთახები. თუმცა, თანამედროვე საკლასო ოთახების სხვა ფორმებიც გვხვდება.

ჩვეულებრივ, მასწავლებელს არ შეუძლია ფიზიკური ელემენტების შეცვლა, მაგრამ კლასის სტრუქტურული გადანაწილება მის კომპეტენციაშია.

საქლასო ოთახის ავეჯი და ზომები სასკოლო ოთახის ავეჯი უნდა იყოს მსუბუქი და მოსწავლის ზომის შესაფერისი, რათა ბავშვები დამოუკიდებლად შეძლოს მისი ადვილად გადაადგილება; თუ მოსწავლეებს უხდებათ მათვის შეუფერებელი ზომის ავეჯის გამოყენება, ეს იწვევს უხერხულობას, უსიამოვნების განცდას და გავლენას ახდენს მოსწავლის ჩართულობაზე.

სიტუაცია 2

ნათიამ დასვენებაზე მიაკითხა სოფოს. სოფოს კლასში განსხვავებული სკამები და მაგიდებია. „სოფო, დავჯდები რა შენს მაგიდასთან, თუ შეიძლება. აქედან ალბათ ადგომაც არ მომინდებოდა, ისეთი მოხერხებულია და თან, ნახე, როგორი მსუბუქია“.

საკლასო ოთახში არსებულ ავეჯს უნდა ჰქონდეს გარკვეული დატვირთვა სასწავლო საქმიანობის შესრულებისას. ამ დატვირთვას კარგად წარმოაჩენს საკლასო ოთახში მოსწავლის მიერ ამ ავეჯის მოხმარების სიხშირე.

საკლასო ოთახის მოწყობისას გასათვალისწინებულია, რომ ავეჯი, რომელსაც ბავშვი გამოიყენებს, იყოს ადვილად გასაწმენდი, განსაკუთრებით ეს ეხება მაგიდისა თუ კარადის ზედაპირს.

საკლასო ოთახში არსებული ავეჯი საშუალებას უნდა აძლევდეს მოსწავლეს, წერითი თუ სხვა სამუშაოსათვის ჰქონდეს შესაფერისი სივრცე და საყრდენი. მას იდაყვები არ უნდა უვარდებოდეს მაგიდიან და არც მეორე მოსწავლეს უნდა ეშლებოდეს ხელი. მოსწავლის სკამი უნდა იყოს ასაკის შესაბამისი ზომის.

სიტუაცია 3.

დათო ცაციაა. თავს უხერხულად გრძნობს, როცა მარცხენა ხელით კედელთან ახლოს ზის, რადგან ამ მდგომარეობაში მის ხელს თავისუფლად მოძრაობისათვის საკმარისი ადგილი არ რჩება. დათომ მასწავლებელს აუხსნა ეს მდგომარეობა და ეკას გაუცვალა ადგილი.

რეზოს აქვს ფიზიკურ მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემა, მასწავლებელმა მას შეურჩია ნაკლებად სრიალა ზედაპირის მქონე მაგიდა, რომელსაც აქვს ფეხის დასადები.

ამით მასწავლებელი ცდილობს, რეზოს უფრო მოხერხებული ადგილი შეურჩიოს.

მოძრაობის თავისუფლება

მოძრაობისათვის თავისუფალი სივრცის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები თავს შეუუფლად და ვიწროდ არ უნდა გრძნობდნენ. საკლასო ოთახში მოძრაობისას ისინი ერთმანეთს არ უნდა ეჯახებოდნენ.

სიტუაცია 4.

ნატო მის ქლასში ერთადერთი ეტლიანი მოხარულება, მისი მაგიდის ცენტრის შესაყოფი ჭრილი საქმარისად მაღალია და ეტლი შეფერხების გარეშე მოძრაობს. ამ საქლასო ოთახში ძერხები და სხვა ავჯირი ისეთ მანძილზეა, რომ ნატო ქლასში თავისუფლად გადაადგილდება.

პომუნიკაცია ფიზიკური გარემოს გამოყენებით

კლასში მასწავლებლის ადგილი განსაზღვრულია, როგორც ფიზიკური გარემოს თავისებურებით, ასევე მის მიერ მოსწავლეებთან ურთიერთობის შერჩევლი სტილით. საქლასო ოთახის ფიზიკური გარემოს მოწყობით, კონკრეტული საკლასო საქმიანობიდან გამომდინარე, მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს, კლასში დაიკავოს მისთვის მოსახერხებელი ადგილი.

იხ. გვ. 12

სიტუაცია 5.

გიორგი მასწავლებელმა მოხარულები წყვილებად დაყო და დაგალება მისცა. მოხარულები სხვდან წრეში. ისინი, წყვილებში, ერთმანეთისაკენ არიან მიბრუნებული და საუბრობენ.

გიორგი მასწავლებელი მორიგეობით უახლოვდება თითოეულ წყვილს, ყოვნება და უსმენს მათ. ერთმა წყვილმა სთხოვა დახმარება და ის იყდევ ერთხელ უსსნის შესასრულებელი ამოცანის პირობას.

წყვილების შემთხვევა შემდგა მასწავლებელი საერთოდ გადის წრიდან და მოშორებით დგება. დაგალებისთვის განკუთვნილი დროის მიწურულს მასწავლებელი ისევ შედის წრეში და ისეთ ადგილს იკავებს, საიდანაც კარგად ხედავს უკულა მოხარულებ და მათაც შეუძლიათ მისი აღქმა.

საქლასო ოთახის ფიზიკური გარემო მასწავლებლისათვის არის მოსწავლესთან, მშობელთან და სხვა მასწავლებლებთან კომუნიკაციის დამსახურება.

ოთახის ფიზიკური გარემო საქლასო აქტივობის საფუძვლით ბარათია იყი მიმზიდველი უნდა იქნა როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისა და მშობლისთვისც.

საქლასო ოთახის სასწავლო მიზნების შესაბამისად მოწყობა და გალამაზება ხდის უწყობს მასწავლებლის ავტორიტეტის ჩამოყლიბებას.

ადამიანური გარემოცვა

ადამიანურ გარემოში გასათვალისწინებელია თითოეული მოსწავლის სოციო-ქულტურული თავისებურება. ოთახის სივრცეში მოსწავლების განაწილებისას უკრალდება გაამახვილეთ, რომ ყველა ადამიანს აქვს პირადი ველი.

სიტუაცია 6.

სალომეს გვერდით დაუხვეს ახალი მოსწავლე - თეონა. თეონა სულ სალომესკენ იხრება და სკამიც ახლოს აქვს მოდგმელი. სალომე თავს უხერხულად ვრმნობს. მას უჭირს მასწავლებლის მოსმენა და დაგალების შესრულება.

სალომეს აღრეც უგრძენია ასეთი უხერხულობა, როდესაც მასწავლებელი მის მერხთან ახლოს მოდიოდა ხოლმე.

პირადი ველი არის ის მანძილი ჩვენსა და სხვა ადამიანს შორის, რომელიც ჩვენთვის კომფორტული და უსაფრთხოების მომგრელია. ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან პირადი ველის ზომით. დიდი პირადი ველის ქმრის ადამიანებისათვის საჭიროა, რომ სხვები მისგან ერთ მეტრზე მეტი მანძილით იყვნენ დაშორებულინ.

პირადი ველის დარღვევა, ჩვენთან სხვა ადამიანის ზედმეტი სიახლოვე, შეიძლება ემოციურ დაძაბულობას იწვევდეს, რაც კონცენტრირებული სამუშაოს შესრულების დროს ხელისშემძლელია.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პირადი ველის დარღვევა შესაძლებელია, მაგრამ დამოკიდებულია მოსწავლის მზაობაზე, საშუალება მისცეს მეორე ადამიანს, შეკიდეს მის პირად ველში.

პირადი ურთიერთობის ფაქტორი და კლასში სოციალური პოზიციები გადამწყვეტია გარდატეხის ასაკში, ამ დროს მოსწავლეებს აშკარად აქვთ გამოკვეთილი, ვისთან სურთ სიახლოვე და ვისთან - განცალკევებით ყოფნა. ეს ფაქტორი კარგად უნდა იყოს გააზრებული და გაკონტროლებული მასწავლებლის მიერ. თუ მოსწავლეებს საშუალებას მისცემთ, დამოუკიდებლად აირჩიონ კლასში საკუთარი სამუშაო ადგილი, რიგ შემთხვევებში, მათთან შესაძლოა შეგაქმნათ ამ პოზიციის შეცვლასთან დაკავშირებული უთანხმოება. მკვეთრად ჩამოყალიბებული „ეს ჩემი ადგილია“ სასწავლო ზონების პრინციპის გამოყენების შემთხვევაში ხელისშემძლელია.

სიტუაცია 7.

ივანე განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვია. მას შეძლებ, რაც მას ადგილი შეუცვალა, მასწავლებელი ამნიშვნებს, რომ ივანე ადგილზე კერ ჩერდება, აქეთ-იქთ ტრიალებს.

განსაკუთრებული სასწავლო საჭიროების მქონე ბავშვები შეიძლება მგრძნობიარე აღმოჩნდნენ კლასში ადგილის შეცვლის მიმართ. მოსალოდნელია, რომ ეს ბავშვები საერთოდ არ დათანხმდნენ საკლასო ოთახში გადაადგილებაზე, ამიტომაც მათი საჭიროების წინასწარი გათვალისწინება ხელს შევიწყობთ, საკლასო აქტივობები ისე დაგვგმოთ, რომ ასეთი სახის დაბრკოლებები არ წარმოიქმნას.

მირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო საერთო სასწავლო კლიმატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და დიდ გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჩართულობაზე სასწავლო პროცესში;
- საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო ექვემდებარება თქვენს კონტროლს; შეუქმნით მოსწავლეებს ისეთი გარემო, რომელიც მათთვის ყველაზე მოსახერხებულია სწავლისა და გამოცდილების შეძენისათვის;
- კლასის ფიზიკურ გარემოში ცვლილებების შეტანისას, გაითვალისწინეთ, რას ემსახურება ეს ცვლილებები და აუცილებლად შეუთანხმეთ მოსწავლეებსა და კოლეგებს.

კლასის მართვის სტილი

ამ თავის წარითანი შემდეგ თქვენ გვიღოთ ეს კლასის მართვის მიზანი:

გაკვეთილზე ეფექტიანი სასწავლო კლიმატის შესაქმნელად კლასის მართვის როგორი სტილია ოპტიმალური;

რას გულისხმობს კლასის მართვის დემოკრატიული სტილი;

რატომ არის მნიშვნელოვანი მოსწავლეებთან თანამშრომლობითი ურთიერთობა;

როგორ უნდა მოვიქცეოთ, რომ კლასში შევქმნათ ისეთი ატ-მოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური პასუხისმგებლობის განვითარებას.

შევადეთ პასუხი გასცეოთ შემდეგ კითხვებს:

1. შესაძლებელია თუ არა, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ გაკვეთილის წესების შემუშავებაში, მიზნების განსაზღვრაში, აქტივობების შერჩევაში?


2. როგორ უნდა მოვიქცეოთ, რომ გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევის პროცესში მინიმუმიდენ დავიყვანოთ და ამისათვის მკაცრი კონტროლი არ გახდეს საჭირო?

3. რას ნიშნავს თანამშრომლობითი ურთიერთობა?

4. როგორ უნდა მოვიქცეოთ, რომ ხელი შევუწყოთ მოსწავლის დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას?

წარმოვიდგინოთ სამი ტიპის გაკვეთილი:

სიტუაციები



I. ზარი ირევება, ბავშვები გარბიან კლასისკენ, მათ იციან, რომ ახლა ისტორიის გაკვეთილია და ისტორიის მასწავლებლის მიერ დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში ნებისმიერი მოსწავლე ქადაგრად დაისჯება. მასწავლებლის ერთი გამოხედვაც კი საქმარისია, რომ კლასში სამარისებურმა სიჩქმემ დაისადგუროს. გაკვეთილი ყოველთვის მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ შემუშავებული გეგმის და წესების მიხედვით. გიორგი არ არღვევს გაკვეთილის წესებს და, ამ მხრივ, მასწავლებლის შენიშვნაც არასძროს დაუმსახურებია. ბენებრივად დაბალი ტემპიდან გამომდინარე, მას დრო სჭირდება ინფორმაციის გააზრებისთვის და როდესაც ცდილობს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვას პასუხი სწრაფად გასცეს. შეცდომას უშვებს. თუმცა მას არ ეძლევა საშუალება, თვითონ იპოვოს სწორი გამოსავალი. მასწავლებელი სასწრაფოდ სეამს მას ადგილზე და თვითონ სთავაზობს კლასს სწორ პასუხს, ან სხვა მოსწავლეებთან გადადის

იმავე შეკითხვით. მსგავს შემთხვევას ხშირად დასვენებაზე თანაგლასელების დაცინვა მოჰყოლია და გიორგიმ გადაწყვიტა, რომ ისტორიის გაკვეთილზე საკუთარი ინიციატივის გამოჩენისგან თავი შეიკავოს.

მართალია სრული წესრიგი სუფექს, დრო უქმად არ იკარგება და მასწავლებელი მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიწოდებას ახერხებს, მაგრამ ცოტაა კლასში ისეთი მოსწავლე, რომლისთვისაც ისტორიის გაკვეთილი დადგებით ემოციებთან არის დაკავშირებული.



II. ისტორიის გაკვეთილს ქართულის გაკვეთილი მოსდევს. ბავშვები დასვენებაზე ცდილობენ, მოამზადონ კლასი, გადადგილონ მაგიდები და სკამები, დაფაზე დაწერონ თემის სათაური, შეთანხმდნენ, ვის რა როლი ექნება ერთობლივი პროექტის პრეზენტაციაში, რომელზეც საქმაოდ დიდხანს იმუშავეს მასწავლებელთან ერთად. მასწავლებელი შემოდის შეპირებული პროექტორით ხელში და ხალისიანად ესალმუ-

ბა მოსწავლეებს. მას აპარატურის მოწყობაში ის ბავშვები ეხმარებიან, ვინც დღევანდელ პრეზენტაციაში არ მონაწილეობენ. ეს წესი ხომ თვითონ ბავშვებმა შეიმუშავეს. ამასთან ზარიც ირექტა და ჯგუფი შუშაობას იწყებს. მასწავლებელი ერთ-ერთი მოსწავლის გვერდით ზოს. იგი, ძირითადად, მსმენელის როლშია, პერიოდულად ცდილობს, გამოეხმაუროს და დაარეგულიროს თითოეული მოსწავლის თანაბარი მონაწილეობა. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ყველა მოსწავლეს აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება და თუ ეს უმეტესობის აზრს არ ემთხვევა, არავინ ცდილობს მის გადარწმუნებას. ისევ მათივე შემუშავებული წესის მიხედვით, როცა ერთი ლაპარაკობს, დანარჩენები უსმენენ. თითოეულ მოსწავლეს გაკვეთილზე საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა აქვს: ზოგმა ინფორმაცია მოიპოვა თემის შესახებ, ზოგმა - ფოტოები, ზოგმა კომპიუტერული კონტენტისა შექმნა.

III. განსხვავებული სურათია ბიოლოგიის გაკვეთილზე. ზარი ირეკება, მასწავლებელი შემოდის, თუმცა მოსწავლეებისთვის ეს არ არის საკმარისი, რომ მერჩებს მიუსხდნენ და გაკვეთილისთვის მოემზადონ. ზოგი საუბრობს, ზოგი სურათების აღლომს ათვალიერებს, ზოგი კი სხვა საგნის დავალებას წერს. მასწავლებელი მთელ კლასს მიმართავს:

„-აბა, დასხედით და მოემზადეთ გაკვეთილისთვის!“

მოსწავლეები აუჩქარებლად მიემართებიან მერჩებისკენ. მასწავლებელი ახლა სათითაოდ, სახელებით მიუთითებს, რომ მოწესრიგდნენ. ამ დროს ორი მოსწავლე დაგვიანებით შემოდის. სამუშაო განწყობის შექმნაში საკმაო დრო იხარჯება. მასწავლებელი კითხვას სვამს, პასუხის გაგება რთულია, რადგან ყველა ერთად ცდილობს პასუხის გაცვას. მასწავლებლის თხოვნით ერთი მოსწავლე დაფასთან გამოდის და გაკვეთილის მოყოლას იწყებს, მასწავლებელს პერიოდულად ისევ უხდება მოსწავლეებისთვის სიმშეიდისკენ მოწოდება, რადგან ეშირია ადგილიდან წამოძახილი, ზოგიერთი ისევ სხვა საქმიანობით არის დაკავებული.

მართალია, ამ გაკვეთილზე იგრძნობა მასწავლებლის კეთილგანწყობა, მოსწავლეების თავისუფლების ხარისხი მაღალია, მაგრამ წესების და ჩარჩოების არარსებობის გამო რთულია გაკვეთილზე პონკრეტული მიზნის მიღწევა, თითოეული მოსწავლის თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

თქვენი აზრით, ზემოთ აღნიშნული რომელი ტიპის გაბეჭითილი ავითარებს მოსწავლეებში ისეთ მნიშვნელოვან უნარ-ჩვევებს, როგორიცაა დამოუკიდებელი და შემოქმედებითი მუშაობა, თანამდებობა, სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულება, ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობა?

კლასის მართვა- ეს არის პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს

გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვას და მოსწავლეთა არასასურ-გელი ქცევის თავიდან აცილებას. კლასის ეფექტიანი მართვა, პირველ რიგში, გულისხმობს პირობების შექმნას მიზანმიმართული სწავლებისა და სწავლისათვის. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკ-სრება მასწავლებელს და მისი კლასის მართვის სტილს.

თუ სხვადასხვა მასწავლებლის გაკვეთილს დაგაკვირდებით, როული არ არის მათ შორის განსხვავებების დანახვა. ეს გამოიხატება მოსწავლეების ქცევაში, სწავლის მიმართ დამოკიდებულებაში, ზოგადად, მოსწავლეების განწყობაში გაგვეთილზე და სასწავლო აქტივობების სახეებში. აღნიშნულ განსხვავებებს მნიშვნელოვანად განსაზღვრავს მასწავლებლის მიერ კლასის მართვის სტილი. განვიხილავთ რამდენიმე მათგანს:

დემოკრატიული – რომელიც ეფუძნება მოსწავლე–მასწავლებლის თანაბარუფლებიანობას. გაკვეთილის შედეგის ავტორიც და პასუხისმგებელიც ორივე მხარეა. მასწავლებელი თითოეული მოსწავლის აზრს აფასებს, აძლევს დამოუკიდებლობის, თვითგამოხატვის შესაძლებლობას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართულობას ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე. თითოეულ შეცდომას მოხდევს არა სასჯელი, არამედ დახმარება, როგორც მასწავლებლის, ასევე სხვა მოსწავლეების მხრიდან. კლასის მართვის დემოკრატიული სტილიც გულისხმობს გარკვეულ წესებს, საგაკვეთილო ჩარჩოებს, თუ ვალდებულებებს, რომელთა შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოსწავლეები და თითოეულ მათგანს თანაბრად მოეთხოვება მათი დაცვა.

აგტორიტარული – რომლის დროსაც „თამაშის“ წესებს ყოველთვის მასწავლებელი განსაზღვრავს. გაკვეთილი მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ყველა სასწავლო კომპონენტს ის განსაზღვრავს. მისი ძირითადი ფუნქცია ცოდნის გადაცემაა. მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების ქცევის კონტროლი მაღალია, მოსწავლეს ევალება მორჩილება.

ქაოსური – რომლის დროსაც არ არის გამოკვეთილი საგაკვეთილო წესები და ჩარჩოები. მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების ქცევის კონტროლი დაბალია, მას კეთილგანწყობილი და მეგობრული ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან. შესაბამისად, მოსწავლეები არ არიან შეზღუდული სასწავლო პროცესის დროს, თუმცა ასეთ პირობებში როულია კონკრეტული მიზნის დასახვა და თანმიმდევრული

ლი შესრულება.

გაკვეთილი როგორიცაა, რომელშიც ერთდროულად, დაახლოებით, 20-დან 40-დან ბავშვი მონაწილეობს. თითოეულ მათგანს აქვს განსხვავებული ინტერესები, შესაძლებლობები, პიროვნული თავისებურებები. მასწავლებლის წინაშე დგას ამოცანა: მან უნდა უზრუნველყოს თითოეული მოსწავლის ჩართულობა, შექმნას შემოქმედებითი აღმოჩენების ხელშემწყობი გარემო და, ამავდროულად, თავიდან აიცილოს დისციპლინის დარღვევები. როგორ უნდა მოახერხოს მასწავლებელმა ეს?

როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებისთვის ნდობით აღჭურვილი პირია და, ამავდროულად, ნამდვილი პარტნიორი, თანამოსაუბრე, თანამშრომელი, გაკვეთილზე მიმდინარე აქტივობების დროს მოსწავლეები სასწავლო პროცესის თანამონაწილეენი და თანააგზორები არიან, ასეთ შემთხვევაში დისციპლინის დარღვევები ნაკლებია. საგაკვეთილო წესების შესრულების პასუხისმგებლობა იზრდება, როცა მოსწავლეებს თვითონ აქვთ მიღებული აქტიური მონაწილეობა მათ შემუშვებაში. მაგალითად, ეს წესები, შესაძლოა, ეხებოდეს ჯგუფური მუშაობის დროს ქცევის ჩარჩოებს. როდესაც მოსწავლეთა იდეები, ინტერესები, მიგნებები გავლენას ახდენს საგაკვეთილო აქტივობებისა და მიზნების შერჩევაზე, ისინი კომპეტენტურად გრძნობენ თავს და შეინახინ პასუხისმგებლობის განცდაც მძაფრია. თუ გაკვეთილზე თითოეულ მოსწავლეს აქვს თავისი როლი მისი შესაძლებლობების და ინტერესების გათვალისწინებით (ი. გაკვეთილი I), ამით იზიარებს ჯგუფისთვის საერთო მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას, შესაბამისად, მისი მოტივაციაც მაღალია და ჯგუფური პასუხისმგებლობის გრძნობაც ვითარდება.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წაახალისოს მოსწავლეების დამოუკიდებელი ქმედება (მაგ. გაკვეთილის თქმასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, დამოუკიდებლად აღმოჩინილი პრობლემის გადაჭრის გზა); ასევე, თუ გაკვეთილზე ყოველ მოსწავლეს აქვს საშუალება, გაბეჭდულად გამოთქვას საკუთარი აზრი და უმრავლესობისგან განსხვავებულ მოსახრებებიც პატივისცემით მოისმინოს და გაითვალისწონოს, მაშინ ნაკლებია პროტესტის გაჩენის აღდათობა.

ასეთი მიღვომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალ ასაში, როდესაც დამოუკიდებლობის მოთხოვნილება მძაფრდება და, დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ხშირად არასასურველი ქცევის სახით იჩენს თავს.

არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოსწავლეების გარდამავალი ასაკის დადგომასთან ერთად გვესმის მასწავლებლის ჩივილი:

– „ჩემს კლასს ვერ ვცნობ!”

– „თუ ადრე იოლად ვიმორჩილებდი, ახლა არაფერი ესმით!”

როცა გაკვეთილზე მოსწავლეების თვისუფლების ხარისხი დაბალია, მათი ქცევა მუდმივად მასწავლებლის მხრიდან კონტროლდება, ასეთ პირობებში თვითკონტროლის შინაგანი მექანიზმების ჩამოყალიბებაზე საუბარი შეუძლებელია. კვლევებით დადასტურებულია, რომ ავტორიტარულ ოჯახებში აღზრდილი ბავშვები მოზრდილობაში მიღრეკილი არიან აგრესისკენ, აქვთ დაბალი თვითშეფასება და ადამიანებთან ეფექტური ურთიერთობის უნარით არ გამოირჩევიან.

ჯანსაღი საგაკვეთილო გარემოს შესაქმნელად მნიშვნელოვანია, თუ როგორ გეგმავს მასწავლებლი გაპვეთილს და როგორ აღიჭვამს მოსწავლე მას. განსხვავებით ავტორიტარული მართვის სტილისაგან, კლასის მართვის დემორატიული სტილის შემთხვევაში, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც ერთნაირად კმაყოფილია გაკვეთილით. ეს განხორციელებადია იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მოთხოვნები შეესაბამება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და საჭიროებებს, არ არის ზედმეტად როული ან პირიქით, მარტივი. მაგ, დამატებითი ამოცანის მიცემა იმ მოსწავლისთვის, ვინც ადრე დაამთავრა ჯგუფისთვის საერთო დავალება და მეტი დროის მიცემა იმ მოსწავლისთვის, ვისაც ნელი მუშაობა ახასიათებს. თითოეული მოსწავლის მიერ მიღებული შედეგის შეფასება ინდივიდუალური წინსვლის გათვალისწინებით ისე, რომ ყოველმა მოსწავლემ კარგად გააცნობიეროს როგორც საკუთარი, ასევე სხვების მიღწევა. ასეთი მიღვოძა ადასტურებს, რომ მასწავლებელი პასუხისმგებლობას გრძნობს თითოეული მოსწავლის მიღწევასთან დაკავშირებით და მისთვის მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მოსწავლე კმაყოფილი იყოს გაკვეთილით.

კეთილგანწყობილი და მხარდაჭერი გარემო აუცილებელი პირობაა ბავშვის შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისთვის და შემოქმედებითი, აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, როგორც მასწავლებლის დადებითი განწყობა მოსწავლეების მიმართ, ასევე მოსწავლეებს შორის ჯანსაღი ურთიერთებები. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მასწავლებელს შეუძლია წაახალისოს მოსწავლეების მხრიდან ურთიერთდახმარების მცდელობა; მაგ, აღნიშნოს: „ ყოჩად, გიორგი, რომ საბას ამოცანის გზის პოვნაში დაეხმარე!”

გაკვეთილის შეუფერხებლად წარმართვისთვის და არასასურველი ქცევების თავიდან ასარიდებლად, მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი კონცენტრირებული იყოს ჯგუფზე, როგორც მთლიანზე, მაშინაც კი, როცა მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობს. ამისათვის, შესაძლებელია, მთელ ჯგუფს მიეცეს ინსტრუქცია, რომ იცოდნენ, რა კეთონ მანამ, სანამ პედაგოგი რომელიმე მოსწავლესთან იმუშავებს.

როდესაც მასწავლებელი ცდილობს, შექმნას ორმხრივი ნდობის, აღიარების, თანასწორუფლებიანობის ხელშემწყობი გარემო, სადაც ყოველი არასასურველი ქცევა მიეწერება არა არასწორ აღზრდას, მშობლებს ან გარემო პირობებს, არამედ განიხილება, როგორც „არადემოკრატიული“ ქცევა მასწავლებლების და მეგობრების მიმართ, ეს ამძაფრებს მოსწავლის პასუხისმგებლობის განცდას, აძლიერებს თვითონაზროვლის მექანიზმებს და, შესაბამისად, მცირდება არასასურველი ქცევის გამოვლენის ალბათობაც.

თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დახახვისში მოცემულ კვლავ შეითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუცით პასუხები.

მირითადი დასკვნები და რეალური დაცვის:

- ჯანსაღი სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად ყველაზე ოპტიმალური და ეფექტურია კლასის მართვის დემოკრატიული სტილი;
- კლასის მართვის დემოკრატიული სტილი გულისხმობს მოსწავლეთა აქტიურ თანამონაწილეობას სასწავლო პროცესების დაგეგმვასა და განხორციელებაში, მათი დამოუკიდებლობის და პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარების ხელშეწყობას;
- როდესაც მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საგანვეოთილო აქტივობების, მიზნების, წესების შემუშავებაში, საერთო მიზნის მიღწევაში თითოეულს თავისი როლი და პასუხისმგებლობა აქტიური განვითარების მიზნების განვითარებას;
- თანაბარუფლებიანობაზე, თანამშრომლობით მიღგონაზე დაფუძნებული გაკეთილი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად.

გაკვეთილის დროის მართვა

ამ თავის წარითხების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:


რატომ არის მნიშვნელოვანი გაკვეთილის დროის სწორად მართვა;

როგორ უნდა გამოიყენოთ საგაპვეთილო დრო ეკონომიკურად;

როგორ უნდა ჩამოუყალიბოთ მოსწავლეებს გაკვეთილის დროის ეფექტიანად გამოყენების ჩვევა.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. თქვენი აზრით, 45-წუთიანი გაკვეთილის განმავლობაში დაახლოებით რამდენი წუთი იხარჯება უშეალოდ სასწავლო პროცესზე?
2. რა შედეგი შეიძლება მოპყვეს გაკვეთილის დროის არაეკონომიკურად ხარჯებს?
3. რა ხერხით შეიძლება წაგახალისოთ მოსწავლეები, რომ გაკვეთილის დრო უსარგებლოდ არ დახარჯონ?
4. როგორ უნდა ვიმოქმედოთ გაუთვალისწინებელ სიტუაციებში დროის კარგვის მინიმუმადე დასაყვანად?



მასწავლებლები ყოველთვის უჩივიან დროის ნაკლებობას. ისინი თვლიან, რომ ხშირად არ არის საქმარისი დრო იმისთვის, რომ მოსწავლები სათანადოდ დაეუფლონ სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მასალას. ამიტომაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გაპვეთილზე დროის ოპტიმალურად გამოყენებას. კვლევები აჩვენებს, რომ გაპვეთილის დროის სულ მცირე 10% ისარჯება კლასის მართვის საკითხების მოგვარებაში, რათა მასწავლებელმა უზრუნველყოს სწავლისთვის საჭირო პირობების შექმნა. ამასთან, გაპვეთილზე ყოველთვის შეიძლება შეიქმნას გაუთვალისწინებელი სიტუაციები (ხმაური კორი-

დორში, მოულოდნელი სტუმარი კლასში, მოსწავლის უდისციპლინო საქციელი), რომლებიც ასევე მოითხოვს მასწავლებლის და მოსწავლების ყერადღებას. ასეთ შემთხვევაში, სწავლისთვის განკუთვნილი დრო კიდევ უფრო მცირდება. მარტივი არითმებიკული გამოთვლაც საკმარისია, რათა დაგრწმუნდეთ, რომ თითოეულ გაკვეთილზე დაკარგული ორი წუთიც კი წლის ბოლოსთვის უსარგებლოდ გაფლანგულ საათებს უტოლდება. გაკვეთილზე დროის დაკარგვას ორი უაღრესად სერიოზული შედეგი მოჰყვება:

1. გაკვეთილზე, სადაც დრო უსარგებლოდ იხარჯება, გაცილებით მეტია დისციპლინის პრობლემები, კიდრე სწორად განაწილებული დროის შემთხვევაში;

2. გაკვეთილის დროის კარგვა პირდაპირ აისახება მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებაზე.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ, როგორ შევამციროთ დროის დანაკარგი მინიმუმამდე.

პირველი, რაც უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ, ისაა, რომ დროის ნაყოფიერად გამოყენება თავად მოსწავლის ინტერესებში შედის. მართალია, ისინი არღვევენ წესრიგს, ეფანტებათ ყურადღება და გული უფრო გართობისკენ მიუწევთ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არ აქვთ სურვილი, საინტერესო და სასარგებლო საქმე აკეთონ. მოსწავლების საჭიროებას სჭირდებათ იმის შეგრძნება, რომ მათ ამ დღეს წარმატებით შეასრულეს თავიანთი სამუშაო. მათი ეს მოთხოვნილება შეიძლება შესანიშნავად გამოვიყენოთ, რათა მოსწავლე ჩვენს თანამოაზრებდ ვაჭციოთ.

I. დარწმუნება

საუბრით, დისკუსიით, განმარტებებითა და მაგალითებით, შევეცადოთ, დავარწმუნოთ მოსწავლე, რომ სასწავლო დრო ოპტიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ ამ დღიდან მოყოლებული, იგი გაკვეთილზე წუთსაც არ გააცდეს უქმად, მაგრამ იმას კი შეიძლება მივაღწიოთ, რომ მოსწავლემ გაიაზროს ჩვენი მოთხოვნების აუცილებლობა. მომავალში ჩვენი ხშირი და მკაცრი შესხენებები, დროის ეკონომიურად ხარჯვასთან დაკავშირებით, ადარ აღიქმება, როგორც უბრალო დაჭინება და ნაკლებ წინააღმდეგობას აწყდება.

ამ თემის აქცენტირებისა და მოსწავლეთათვის დროის მართვის ჩვევის გამომუშავებისათვის ძალიან სასარგებლო შეიძლება გამოდგეს მარტივი კითხვარი. მაგალითად:

სახელი _____
თარიღი _____

გაიაზრეთ დღევანდელი გაკვეთილი და შეეცადეთ, გულწრფელად უპასუხოთ შეკითხვებს:

1. გაკვეთილი გრძელდება ————— წეთი.
2. წემი აზრით, დღეს მე უსარგებლოდ დავხარჯე ————— წეთი.
3. აღნიშნე, ის პუნქტები, რომელსაც ეთანხმები.
მე არ კმუშაობდი ...
 - პირველი 5 წეთი
 - პირველი 10 წეთი
 - ბოლო 5 წეთი
 - დამოუკიდებელი წერის დროს
 - როცა სხვები ტექსტს ეითხედობდნენ
 - დისკუსიის დროს
 - ჯგუფური მუშაობისას
 - სხვა (თავად დაამატე)
4. დღეს მე კარგად ვიმუშავე, როცა

5. ძალიან ადგილად მეფანტება, ყურადღება, როცა

6. დროს უკეთესად გამოვიყენებ, თუ

7. მასწავლებელს ვურჩევდი

ამგვარი კითხვარის შევსება განსაკუთრებით ეფექტური იქნება ისეთი გაკვეთილის შემდეგ, როცა, მასწავლებლის აზრით, ჩვეულებრივზე მეტი დრო დაიხარჯა უქმად. შეკითხვები შეიძლება შეიცვალოს, რათა ის კონკრეტული კლასისა და გაკვეთილის საჭიროებებს მოერგოს, მაგრამ უცვლელი რჩება მიზანი – შევასენოთ მოსწავლეებს დროის მნიშვნელობა და მათი პასუხისმგებლობა, რომ გაკვეთილზე დრო მათსავე სასარგებლოდ დაიხარჯოს.

II. დაინტერესება



გამოცდილი მასწავლებლები ბევრ განსხვავებულ ხერსს მიმართავენ, რათა მოსწავლეებს გაკვეთილის დროის სწორად გამოყენების სტიმული მისცენ. ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ, მაგალითად

- 10-წამიანი შეჯიბრება

მასწავლებელი აძლევს ინსტრუქციას: „ბაგშვებო, მე დავითვლი 10-დან 1-მდე და ვნახოთ, თუ მოასწრებთ, რომ ამ 10 წამში თქვენი წიგნები,

რეგულები და კალმები უკვე მერხზე იყოს“. ამ ხანმოკლე შეჯიბრების შედეგია დაზოგილი 3-4 წუთი და გახალისებული, უნერგიით აღსავსე მოსწავლეები;

• ახალი რეგორდი

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს, რომ წინა ჯერზე მათ ზუსტად 20 წამში მოახერხეს გაკვეთილისთვის მომზადება (ან მერხების მიღაცება და ა. შ.). დღეს ისინი უნდა შეეცადონ, გააუმჯობესონ თავიანთი რეკორდი. მოსწავლეებისთვის სახალისოა თავად შეჯიბრება და არ არის აუცილებელი, მათ რამე ჯილდო შევთავაზოთ კარგი შედეგისთვის;

• სახალისო აქტივობა

ყველა პრობლემურ მომენტში გამოვუყოთ მოსწავლეებს საქმარისზე მეტი დრო (მაგალითად, 2 წუთი ჯგუფური მუშაობის შემდეგ საკუთარ მერხებთან დაბრუნებისთვის) და თან გავაფრთხილოთ, რომ მათ მიერ ამ დროიდან დაზოგილი წუთები და წამები დაემატება „სახალისო აქტივობის დროს“. „სახალისო აქტივობა“ ეს არის მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით საყვარელი აქტივობა (მაგ. თამაში, კომპიუტერთან მუშაობა, შეჯიბრი), რომელსაც მასწავლებელი კლასთან შეთანხმებით არჩევს და რისთვისაც მოსწავლეები მთელი დღის ან მთელი კვირის განმავლობაში „აგროვებენ წუთებს“, რადგან „სახალისო აქტივობაც“ სასწავლო მიზნებს ემსახურება.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ მასწავლებლის მიერ გულუხვად გამოყოფილი დრო უქმად არ იკარგება და მოსწავლეებსაც სტიმული ეძღვავთ, იქარონ.

ეს და ამ ტიპის სხვა ხერხები შეიძლება გამოვიყენოთ გარკვეული პერიოდულობით და ამით გაკვეთილის დასაწყისიდანვე შევქმნათ სწრაფი რიტმი ან აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის მომენტში გამოვაფხილოთ და გავააქტიუროთ მოსწავლეები.

III. მასწავლებლის მაგალითი

ყველა ზემოთჩამოთვლილი საშუალება შედეგიანი აღმოჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე მასწავლებლის პირადი მაგალითით რწმუნდება, რამდენად ძირფასია გაკვეთილის დრო. მასწავლებელი თვითონ უნდა იყოს ორგანიზებულობისა და პუნქტუალურობის მაგალითი. თუ ჩვენ თავად ვაგვიანებთ, რამდენიმე წუთი ვეძებთ სახელმძღვანელოს და ვერ ვპოულობთ მათი დავალების რვეუ-

ლებს, უსარგებლო იქნება დროის ყაირათიანად ხარჯვაზე ხანგრძლივი საუბარი. კველაზე დიდი საფრთხე იქმნება მაშინ, როცა ჩვენი გეგმა გერ ამართლებს. ხშირად ხდება, რომ მასწავლებელი წინასწარ სწორად ვერ თვლის აქტივობებისათვის საჭირო დროს, ან ერთ-ერთი აქტივობა ჩავარდება. მაგალითად, იმიტომ რომ მაგნიტოფონი, რომლის იმედიც გვქონდა, არ მუშაობს. მოსწავლეებმა არ უნდა იგრძნონ, რომ მასწავლებელი გაკვეთილის პოლო 10-15 წუთი ეძებს, თუ როგორ გაიყვანოს დრო. ამგვარი შემთხვევებისთვის აუცილებლად უნდა გვქონდეს სათადარიგო გეგმა. ეს შეიძლება იყოს იმავე აქტივობის ორგანიზების სხვა ვარიანტი, ან გაკვეთილის მიზანთან დაკავშირებული დამატებითი აქტივობა იმ მოსწავლეთათვის, ვინც სამუშაოს ადრე დაასრულებს.

მიუხედავად მასწავლებლის ყველა მცდელობისა, არის შემთხვევები, როცა გაკვეთილის მიმდინარეობას გაუთვალისწინებელი მოვლენები არღვევს. მაგალითად, მოულოდნელი სტუმარი, ხმაური მეზობელი სატლასო ოთახიდან, მოსწავლის გამოძახება დირექციაში და ა.შ. ამგვარი შემთხვევების ნაწილი შეიძლება თავიდან ავიცილოთ დირექციასთან და კოლეგატობან გარკვეული შეთანხმების მიზნევის შედეგად. დანარჩენ შემთხვევაში მხოლოდ ის შეგვიძლია, მინიმუმამდე დავიყვანოთ გაკვეთილის შეწყვეტით გამოწვეული არეულობა და შევეცადოთ, მოსწავლეთა ყურადღება მაქსიმალურად ფოუსირებული დარჩეს აქტივობაზე.

თქვენ შეგე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დახარჯისში მოცემულ ყველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაეცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- გაპვეთილის დროის არასწორ მართვას შედეგად მოსდევს დისციპლინის პრობლემები და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუარესება;
- დროის ეფექტიან მართვას მასწავლებელი მოსწავლეთა დახმარებისა და მონაწილეობის გარეშე ვერ შეძლებს. ამიტომ იგი უნდა შეეცადოს, აქტიურად ჩააბას მოსწავლეები ამ პროცესში დისკუსიის, კითხვარების და სხვადასხვა სახალისო აქტივობის საშუალებით;
- თავისი ქმედებითა და გაპვეთილის ეფექტური დაგეგმვით მასწავლებელი თავად უნდა იძლეოდეს დროის ეკონომიკურად გამოყენების მაგალითს;
- მოულოდნელ სიტუაციებში მასწავლებლის მთავარი ამოცანაა, მინიმუმადე დაიყვანოს ამ სიტუაციით გამოწვეული არეულობა და უმოკლეს ხანში ისევ გადაიტანოს მოსწავლეთა ყურადღება სამუშაოზე.

გაკვეთილის ეტაპები

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს გაკვეთილის ეფექტიანად დაწყება და დამთავრება;

როგორ უნდა შევქმნათ სამუშაო გარემო გაკვეთილის პირველი წევებიდანვე;

როგორ შევამციროთ დროის დანაკარგი აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლისას;

რა მიზნით უნდა გამოვიყენოთ გაკვეთილის დასკანითი ეტაპი.

სიტუაცია

ზარი დაირეკა. მასწავლებელი დგას და უჟურებს მოსწავლეებს, რომლებიც ნელ-ნელა შემოდიან კლასში, ჯერ მეგობრების მერხებთან შეჩერდებიან და აგრძელებენ კორიდორში დაწყებულ საუბარს, მერე თავიანთ მერხებს მიუსხდებიან და მშვიდად იწყებენ საჭირო წიგნებისა და რვეულების ქიბნას ჩანთაში. ამ საქმიანობაში გაკვეთილის პირველი 5-10 წუთი აბსოლუტურად უსარგებლოდ გადის. პრობლემა მხოლოდ ამ დროის დაკარგვა კი არაა, არამედ ისიც, რომ გაკვეთილის რიტმს, მოსწავლეთა სამუშაო განწყობილებას ხშირად პირველი წუთები განსაზღვრავს.



მოსწავლეები სიამოვნებით გადმოიტანენ კლასში იმ არასამუშაო განწყობას, რომელიც შესვენებაზე იქმნება.

ამის თავიდან ასაცილებლად მასწავლებელმა უნდა მოახერხოს საკლასო სამუშაო გარემოს შექმნა. უცილებელია, შევიმუშავოთ ქცევის წესები თუ მოთხოვნები, რომლებიც ყველა გაკვეთილის დასაწყისში მეორდება, ნაცნობია მოსწავლეებისთვის და ეხმარება მათ გონიერივად და ემოციურად განეწყონ ახალი გაკვეთილისთვის. ამ წესების მოსწავლეებთან ერთად შემუშავება უფრო შედეგიანია. ეს წესები შეიძლება ყველა მასწავლებლისთვის ინდივიდუალური, მაგრამ, აუცილებლად სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი უნდა იყოს. ასევე, სასურველია, გავითვალისწინოთ რამდენიმე რჩევა

ობ. გვ. 65

• ზარის დარეკვამდე შედით კლასში, მოამზადეთ დაფა, თვალსაჩინოება, გასინჯეთ მაგნიტოფონი, შეამოწმეთ გაკვეთილისთვის საჭირო ყველა რესურსი (მაგალითად, ცდისთვის საჭირო მასალა). თქვენი მიზანი უნდა იყოს ის, რომ ზარის დარეკვისთანავე შექმნათ სამუშაო განწყობა, და არა მხოლოდ ფიზიკურად იმყოფებოდეთ საკლასო ოთახში. ამით მოსწავლეებს უჩვენებთ, თუ რამდენად პასუხისმგებლობით ეკიდებით გაკვეთილს და საკუთარი პუნქტუალურობით მათაც მაგალითს მისცემთ;

• შეეგებეთ მოსწავლეებს საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე - მიესალმეთ, დაურიგეთ დაგალების რვეულები ან სხვა მასალა, რაც გაკვეთილისთვის გჭირდებათ; გამოიყენეთ ეს დრო მათ შეკოთხვებზე პასუხის გასაცემად, ინდივიდუალური პრობლემების განხილვისთვის, ზოგადი კომუნიტარებისთვის, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის კეთილგანწყობასა და ურთიერთგაებას;

• ბევრი პრობლემის თავიდან აცილება შეიძლება, თუ მოვითხოვთ, რომ მოსწავლეებმა საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე მიაშურონ თავიანთ მერხებს. ამით ხელს შევუშლით მათ მცდელობას, რომ შესვენებაზე დაწყებული პრობლემების განხილვა კლასში განაგრძო. მოთხოვნა, რომ ყველა მოსწავლე დაუყოვნებლივ საკუთარ მერხს მიუჯდეს, საუკეთესო საშუალებაა გაკვეთილზე და სწავლის პროცესზე მათი უურადღების კონცენტრირებისთვის;

• ერთ-ერთი ხერხი, რომელიც დაგეხმარებათ მოსწავლეთა ყურადღების მობილიზებაში, არის თქვენი მოთხოვნების დაფაზე წინასწარვე ჩამოწერა. ამან შეიძლება ასეთი სახე მიიღოს:

გადაშალეთ წიგნები გვ. 42;

მოამზადეთ საშინაო დაგალების რვეულები შესამოწმებლად; ჩაიწერეთ რვეულში დღევანდელი გაკვეთილის თემა.

• შესვენებას და გაკვეთილს ერთმანეთისგან სწორედ სამუშაო ატმოსფერო განასხვავებს. ეს ატმოსფერო უნდა იქმნებოდეს მოსწავლის საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე. დაფაზე ან მერხებზე უნდა დახვდეთ მოკლე, შედარებით ადგილი დაგალება. ამ მოკლე დაგალების მიზანია, შეამზადოს მოსწავლეები გაკვეთილის ძირითადი ნაწილისათვის, შეიძლება გამოიყენოთ დაგალება, რომელიც შეახსენებს მოსწავლეებს განვლილ მასალას და მოამზადებს ნიადაგს ახალი თემისთვის. ეს აქტივობა უნდა იყოს საინტერესო და სახალისო, რათა

მოახერხოს მოსწავლეების კურადღების გადართვა კლასგარეშე ინტერესებიდან გაკვეთილის თემაზე. ამასთან, იგი საკმარისად მარტივი უნდა იყოს, რომ მოსწავლეებმა მოკლე დროში დამოუკიდებლად ან წევილებში შეძლონ მისი შესრულება. გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ტესტი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლის ცოდნის შემოწმებას. ჩვენი მთავარი მიზანი დროის უსარგებლოდ კარგვის თავიდან აცილება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვა. ასეთი დაგვალებების მოფიქრება, გაკვეთილის სასწავლო მიზნიდან გამომდინარე, არ იქნება რთული. მაგალითად, შეიძლება კონკრეტულ მოსწავლეებს:

გაიაზრონ ან განიხილონ თემასთან დაკავშირებული ციტატა, ანდაზა ან მარტივი ფორმულა;

უპასუხონ 4 შეკითხვას წინა დღეს განვლილი მასალიდან;

რამდენიმე პუნქტად ჩამოთვალონ, რა იციან უკვე ახალი გაკვეთილის თემის ირგვლივ;

გამოთქვან ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, თუ რაზე იქნება ახალი გაკვეთილი მისი სათაურის, სურათის (ან სურათების), ტექსტიდან ამოკრებილი მნიშვნელოვანი ფრაზების, ან რამე სხვა სახის მინიშნებების მიხედვით;

ჩამოთვალონ სამი მიზეზი (მაგ. პრაქტიკული გამოყენება), რის გამოც აუცილებელია (ან არ არის აუცილებელი) ამ თემის შესწავლა;

წაიკითხონ მოკლე საგაზეოო სტატია (ან ნაწყეტი სტატიდან), მაგალითად, იმ ქვეყნის შესახებ, რომლის შესწავლასაც ვიწყებთ;

ჩამოთვალონ, რა პრობლემები შეხვდათ საშინაო დაგალების შერულებისას (შეიძლება გაკეთდეს წევილებში);

ამოხსნან რამე თავსატეხი, კროსვორდი, სახალისო გამოცანა.

ამ დაგალებების მოფიქრებისას მასწავლებლის ფანტაზიას სრული გასაქანი ეძლევა. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არის აუცილებელი, ამ დროს შესრულებული დაგალება დეტალურად გასცორდეს. მთავარია, დაგრწმუნდეთ, რომ მოსწავლემ მოინდომა მისი შესრულება. თუ მოსწავლე მას სერიოზულად მიუდგა, მაშასადამე, ჩვენი მიზანი მიღწეუ-

ლია, იგი შეუდგა სამუშაო პროცესს, ე.ი. გაკვეთილი დაიწყო.

აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლა

ეს პროცესი შედარებით უმტკიფნეულოდ წარიმართება, როცა აქტივობები ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს არ უჭირთ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადართვა, მასწავლებლის ინსტრუქციებიც შედარებით მარტივია და ნაკლებ დროს მოითხოვს. კარგად დაგეგმილ გაკვეთილზეც კლასის ორგანიზების საკითხები გარკვეულ დროს მოითხოვს. მაგალითად, კლასში დაასრულა დამოუკიდებელი სამუშაო და შემდეგი აქტივობა ჯგუფურ მუშაობას ითვალისწინებს. ეს თავისთვად გულისხმობს მოსწავლეთა მოძრაობას, შესაძლებელია, სკამების გადაადგილებასაც. თუ რეალურად ამ საქმიანობას 1-2 წუთი სჭირდება, მოსწავლეებმა შეიძლება ამას გაცილებით მეტი დრო მოანდომონ. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა შეიძლება:

- მივცეთ ნათელი ინსტრუქცია და აუცილებლად განვსაზღვროთ დრო, რასაც ვაძლევთ მათ ყველა საჭირო პროცედურის შესასრულებლად;
- უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად იმყოფება ამ პერიოდში მასწავლებელი. იგი ფეხზე უნდა იყოს და აკონტროლებდეს, რას აკეთებენ მოსწავლეები. მასწავლებლის აქტიური ყურადღება ყველაზე ეფექტური საშუალებაა დროის უსარგებლოდ ხარჯვის წინააღმდეგ;
- ამ დროს არ არის სასურველი, პასუხი გაგცეთ მოსწავლეთა შეკითხვებს (მაგ. წინა ან ახალ დავალებებთან დაკავშირებით), რადგან გარდამავალი ეტაპი, მართვის თვალსაზრისით, ერთ - ერთი ყველაზე რთული მოქმედებია და ამ დროს ყურადღება წარმოქმნილი სირთულეების სწრაფად მოგარებაზე უნდა იყოს ფოკუსირებული. შეკითხვებზე პასუხი, უმჯობესია, იმ მომენტისთვის გადავდოთ, როცა მოსწავლეები მზად არიან მოსასმენად.

გაკვეთილის დასრულება

გაგეთილის ბოლო წუთებში მასწავლებლის ძირითადი მიზანია, ლოგიკურ დასასრულამდე მიიყანოს განხილული თემა და შეამოწმოს, რამდენად მოხერხდა დაგეგმილი სასწავლო მიზნის მიღწევა. თუ გაკვეთილის რომელიმე ეტაპზე ჩვენ არასწორად გავთვალეთ დრო, ეს აუცილებლად გამომჟღავნდება სწორედ ბოლო წუთებში. თუ აქ-

ტივობებს იმაზე ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე დაგეგმილი გქონდათ, მორჩენილი წუთები ძალიან ეფექტურად შეიძლება გამოიყენოთ გაკვეთილის შესაჯამებლად და იმის შესამოწმებლად, თუ როგორ აითვისეს მოსწავლეებმა ახალი ინფორმაცია. უფრო სერიოზული პრობლემა იქმნება, თუ გაკვეთილის ძირითად ნაწილს დაგეგმილზე მეტ დროს დავუთმობთ. ზარის დარეკვის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები, მიცემული დავალება და განმარტებები უაღრესად არაეფექტურია. ამიტომ, რეკომენდებულია, დასკვნითი ეტაპისთვის გამოვყოთ დაახლოებით 10 წუთი, რომელსაც გამოიყენებთ, რათა

1. შეაჯამოთ გაკვეთილზე განხილული მასალა. ამ მიზნით შეიძლება

ა. შეახსეხოთ მოსწავლეებს, რა იყო დღევანდელი გაძვეთილის მიზანი და ერთად განხსაზღვროთ, რამდენად მოხერხდა მისი მიღწევა;

ბ. დახურული კითხვების საშუალებით შეამოწმეთ (გაიმურვეთ) გაკვეთილზე განხილული მასალა;

2. სოხუმეთ მოსწავლეებს, შეაფასონ გაკვეთილის ეფექტურობა. მაგალითად,

ა. მოსწავლეები ჩამოთვლიან 3 რამებს, რაც იმ დღეს იხსევდებ და შეადარებებს ამ ხის თავიანთი პარტნიორისას (წყვილებში ან ჯგუფებში);

ბ. მოსწავლეები მოკლედ ახასიათებენ (შეიძლება წერილობით) დღევანდელი გაკვეთილის ყველაზე საინტერესო ასპექტს;

3. დააკავშირეთ ეს გაკვეთილი შემდეგთან, რათა გააღვივოვთ ინტერესი და თანაც დაეხმაროთ მოსწავლეებს მასალის ერთიან სისტემაში აღქმაში. მაგალითად,

ა. სოხუმეთ მოსწავლეებს, გამოიცნონ, რა იქნება შემდეგი გაკვეთილის თემა;

ბ. უთხარით მათ, რას შეეხება შემდეგი გაკვეთილი;

4. ჩააწერინეთ მოსწავლეებს საშინაო დავალება და მიეცით მისი შესრულებისთვის საჭირო ყველა რეკომენდაცია და რჩევა. ხშირად საჭირო ხდება, მაგალითის საშუალებით შეამოწმოთ, აქვთ თუ არა გაგებული, რისი გაკუთხება ევალებათ. აგრეთვე, სასურველია, სოხუმეთ მოსწავლეებს, რომ თავად განხსაზღვრონ, დაახლოებით რამდენი ხანი დასჭირდებათ ამ დავალების შესასრულებლად.

ბოლო წუთი დაუთმეთ იმას, რომ მოსწავლეებმა ჩაალაგონ ჩანთები და მიალაგონ სამუშაო ადგილი. ესეც დადგენილი ქცევის წესების

ნაწილი უნდა გახდეს. და ბოლოს, დაემშვიდობეთ მოსწავლეებს. უზრუნველყოფა, ამ დროს კართან იდგეთ, რადგან ამით თავიდან აიცილებთ უწესრიგობას და თან შეძლებთ, ინდივიდუალური კომენტარებით და საუბრით დაშორდეთ მოსწავლეებს, რაც მათთვის თქვენი უკრადლების და სითბოს გამოხატულება იქნება.

თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწევისში მოცემულ ყველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მასწავლებელმა საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე უნდა მოახერხოს მოსწავლის უკრადლების გადართვა სასწავლო პროცესზე, მისი დაინტერესება, გონიერივად და ემოციურად განწყობა ახალი გაკვეთილისთვის. ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ მოკლე, მარტივი, საინტერესო და გაკვეთილის მიზნებთან დაკავშირებული აქტივობა;
- აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლის ეპიზოდები, მართვის თვალსაზრისით, უაღრესად რთულია. მათი ეფექტიანად წარმართვა მასწავლებლისგან სრულ პონცენტრაციას და აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს;
- გაკვეთილის დასკვნით ეტაპზე მასწავლებლის ამოცანა, შეამოწმოს, რამდენად მოხერხდა გაკვეთილის სასწავლო მიზნის მიღწევა და დაანახოს მოსწავლეებს ლოგიკური კავშირი განვლილ მასალასა და მომავალ გაკვეთილს შორის.

საკლასო ორგანიზაციის მოდელები

ამ თავის წარითანის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს საკლასო ორგანიზაციის მოდელები;

რატომ არის მნიშვნელოვანი საერთო საკლასო, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის გამოყენება სწავლების პროცესში;

რა შემთხვევაშია უმჯობესი თითოეული მათგანის გამოყენება.

სიტუაცია 1.

წარმოიდგინეთ, რომ შეიძლეთ თქვენი კოლეგის საკლასო ოთახი გაკვეთილის მიმდინარეობისას და დაინახეთ, რომ მოხარულები 3-4 კაციანი ჯგუფებში განაწილებულია და გაცხარებით საუბრობენ. ბეჭრი მათგანი ზურგით ზის დაფისა და მასწავლებლის მაგიდისაკენ. თავად მახარებლები თავიდან ვერც შენიშვნი, ბოლოს კი დაინახეთ, რომ იგი ერთ-ერთ ჯგუფთან ზის და მოხარულებს ეხაუბრება.



სიტუაცია 2.

საჯლასო ოთახში ძერხები რიგებადაა ვანლაგებული, მოსწავლეების ყურადღება დაფინანსდება და მათ წინ მდგრმი მასწავლებლისკენაა მიპყრობილი. ისინი ხელის აწევთ ანიშნებენ მასწავლებელს, როცა პასუხის გაცემა ან აზრის გამოთქმა სურთ.




ა) როგორი იქნებოდა თქვენი შთაბეჭდილება I სიტუაციის ხილვისას? აქვს თუ არა ამ შემთხვევაში მნიშვნელობა, რა საგანს ახწაფლის მასწავლებელი?


ბ) შეადარეთ ერთმანეთს ეს ორი სიტუაცია და გადაწყვიტეთ, საბლასო ორგანიზაციის რომელი მოდელი უფრო გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა:

1. მასწავლებელი ახალ გაკვეთილს ხსნის;
2. მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის შეკითხვებს განვლილი გაკვეთილის ირგვლივ;
3. მოსწავლეები ცდილობენ, იპოვონ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული პრობლემის გადაწყვეტის გზა;
4. მოსწავლეები ასრულებენ სავარჯიშოს საკუთარ რვეულებში;
5. მოსწავლეები ერთობლივად ამზადებენ პროექტს.

დააგვირდით კლასში მოსწავლეთა განლაგების ქვემოთ მოყვანილ
სქემებს




მასწავლებელი



მასწავლებელი

მასწავლებელი



ახლა შეეცადეთ, განსაზღვროთ, რომელი მათგანია უფრო გამართლებული:

- ა) საერთო საკლასო მუშაობისას (მაგალითად, როცა მასწავლებლი ახალ მასალას ხსნის);
- ბ) დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას;
- გ) მცირე ჯგუფებად მუშაობისას (მაგალითად, როცა მოსწავლეები 4-კაციან ჯგუფებში ცდილობენ პრობლემის გადაწყვეტას).

როცა საუბარია სასკოლო გაკვეთილზე, უპირველეს ყოვლისა, თვალწინ გვიდგება გრძელ რიგებად ჩამწერივებულ მერხებთან მიმჯდარი მოსწავლეები და მათ წინ მდგომი მასწავლებელი, რომელიც კლასს მიმართავს. ეს სწავლების ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმა მთელს მსოფლიოში.

საკლასო ინტერაქციის (საკლასო ინტერაქცია გულისხმობს ურთიერთქმედებას, ურთიერთობას გაკვეთილის პროცესში. აქ გამოყოფენ ორ ფორმას: მასწავლებელი-მოსწავლის ინტერაქცია და მოსწავლე-მოსწავლის ინტერაქცია. ეს უკანასკნელი საკმაოდ იშვიათია ტრადიციული მეთოდებით სწავლებისას) ყველაზე მიღებულ მოდელად დღემდე რჩება „ინიცირება-პასუხი-რეაქცია“. ამ მოდელში მასწავლებელი არის ინტერაქციის ინიციატორი, იგი იწყებს საუბარს (მაგ. სვამს შექმნას), ერთ-ერთი მოსწავლე პასუხობს და ამ პასუხს მოსდევს მასწავლებლის რეაგირება (შეფასება, შესწორება, შენიშვნა ან დამატებითი ინფორმაცია).

მიუხედავად იმისა, რომ საკლასო ორგანიზაციის ეს ფორმა ყველაზე უფრო გავრცელებულია, იგი არ არის ერთადერთი. მასწავლებლისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, იცოდეს სხვადასხვა მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები და, საჭიროების მიხედვით, შეეძლოს მათი გამოყენება. ძირითადად განიხილავთ მოსწავლეთა დაჯგუფების შემდგებ ვარიანტებს:

- ა) საერთო საკლასო მუშაობა;
- ბ) ინდივიდუალური მუშაობა;
- გ) ჯგუფური მუშაობა.

საერთო საკლასო მუშაობა გულისხმობს იმ შემთხვევებს, როცა მასწავლებელი მუშაობს ერთდროულად მთელ კლასთან, მაგალითად, კითხვების საშუალებით ამოწმებს მათ ცოდნას.

მართალია, ამ დროს თითოეულ დასმულ შეკითხვას ერთი მოსწავლე პასუხობს, მაგრამ მის პასუხს მთელი კლასი ისმენს. სწორედ ამიტომ ეს უნდა ჩაითვალოს საერთო საკლასო მუშაობად.

საკლასო ორგანიზაციის ეს მოდელი, როგორც უპვე აღვნიშნეთ, ყველაზე ტრადიციულია. მას ბევრი დადებითი მხარე აქვს. უპირველეს ყოვლისა, მასწავლებელს აქვს საშუალება, ერთიანად მიმართოს მთელ კლასს და მიაწოდოს ინფორმაცია, რომლის ინდივიდუალურად ან ჯგუფებად მიწოდებაც ძალიან დიდ დროს წაიღებდა. ამდენად, ეს ფორმა შეუცვლელია, როცა მასწავლებელი:

- ხსნის ახალ მასალას;
- აძლევს მითითებებს;
- საუბრობს საორგანიზაციო საკითხებზე;
- აჩვენებს სურათს, თვალსაჩინოებას;
- ასმენინებს მოსწავლეებს აუდიოჩანაწერს;
- უკითხავს კლასს მოთხოვთას;
- მოსწავლე ან თავად მასწავლებელი მუშაობს დაფასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი საერთო საკლასო მუშაობისა, არის ის, რომ ამ დროს ყალიბდება კლასის ერთიანობის შეგრძნება. მოსწავლეებს უწნდებათ განცდა, რომ ისინი ერთი დიდი გუნდის წევრები არიან და ერთნაირად არიან ჩაბმული სასწავლო პროცესში. მათ აქვთ საერთო ინტერესები და პრობლემები, მათ მიმართ თანაბრად მომთხოვნები არიან. მასწავლებელიც ამ დროს, როგორც არასდროს, შეიგრძნობს კლასის განწყობას, მის დამოკიდებულებას საგნის, კონკრეტული მასალის და სიტუაციის მიმართ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საერთო საკლასო მუშაობა ყველაზე ნაცნობი ფორმაა ქართველი მასწავლებლისთვის. გამოცდილმა მასწავლებელმა ქარგად იცის, როგორ გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი ერთობლივი მუშაობის წარმატებით წარმართვისათვის. ამიტომაც მოსწავლეებიც და მასწავლებელიც ამ ჩვეულ გარემოში კომფორტულად გრძნობენ თავს, რაც დადებითად აისახება სწავლების შედეგებზე.

დამოუკიდებელი მუშაობა გულისხმობს იმას, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ბავშვი მუშაობს მარტო, მასწავლებლის ან სხვა მოსწავლეების უშუალო მეთვალყურეობის გარეშე.



ეს არის მეორე, ჩვენთვის შედარებით ნაცნობი მოდელი კლასის ორგანიზაციისა. დამოუკიდებელი მუშაობის მაგალითებია, როცა მოსწავლე კლასში ან შინ დამოუკიდებლად:

- ასრულებს რაიმე სავარჯიშოს;
- წერს თხზულებას;
- ხსნის მაგალითს;
- კითხულობს ტექსტს;
- მუშაობს პროექტზე;
- მოიძიებს სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ დამატებით მასალებს.

დამოუკიდებელი მუშაობის ამ ფორმებში განსხვავებულია მოსწავლის დამოუკიდებლობის ხარისხი. კლასში მაგალითის ან ამოცანის ამოხსნისას მასწავლებლის კონტროლი საქმაოდ მაღალია, რადგან იგი არამარტო ადგენს დავალების შინაარსს, არამედ განსაზღვრავს საჭირო დროის ხანგრძლივობას, საჭიროების შემთხვევაში შეუძლია დახმარების გაწევაც და შემდეგ აკონტროლებს პასუხის სისწორეს. მასწავლებლის კონტროლი მინიმალურია, როცა მოსწავლე მუშაობს დამოუკიდებელ პროექტზე. მაშინაც კი, როცა პროექტი შინაარსობრივად დაკავშირებულია შესასწავლი თემასთან, მოსწავლეს აქვს საშუალება, თვალ განსაზღვროს შინაარსის დეტალები, მათი პრეზენტაციის ფორმა და დაგეგმოს თავისი მუშაობის გრაფიკი.

მიუხედავად ასეთი დიდი მრავალფეროვნებისა, დამოუკიდებელი სწავლების ყველა ფორმას აქვს საერთო უპირატესობები:

- ნაკლებ სტრესს იწვევს მოსწავლეში, ვიდრე საკლასო ორგანიზაციის რომელიმე სხვა ფორმა, რადგან ამ შემთხვევაში, მუშაობის პროცესში იგი დაცულია სხვათა კრიტიკისა და შეფასებისაგან;
- მასწავლებელს მეტი საშუალება აქვს, შეამჩნიოს მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, მისი სწავლის ტემპი, სტილი და სუსტი თუ ძლიერი მხარეები;
- ეს მოდელი ავთარებს მოსწავლეში დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების უნარს, საკუთარი მაღლების რწმენას და ავტონომიურობას;
- ამასთან, ბევრი მასწავლებელი დამოუკიდებელ სამუშაოს იყენებს პლასტიკური მასარების და წერიგის აღსაღებად, რაც ხშირად მაღლიანი სასარგებლო სტრატეგია შეიძლება აღმოჩნდეს.

ჯგუფური მუშაობა მოსწავლეები წევილებად, სამ ან მეტ კაციან ჯგუფებად არიან დაყოფილი და ერთობლივად წევეტენ პრობლემას, ასრულებენ პრაქტიკულ დავალებას ან განიხილავენ სადაცო საკითხეს. ჯგუფური მუშაობა არ ნიშნავს მხოლოდ ერთი მოსწავლის მიერ მეორისთვის დახმარების აღმოჩენას. ჯგუფური მუშაობა გულისხმობს თანამშრომლობით ურთიერთობას ჯგუფის წევრებს შორის. ჯგუფის ლიდერის როლია ჯგუფის საერთო შეჯერებული აზრის გამოხატვა კლასის (დანარჩენი ჯგუფების) და მასწავლებლის წინაშე.



დავალების შესრულებისას მოსწავლეთა მცირე ჯგუფებად დაყოფა შედარებით ახალია ქართული რეალობისთვის, მაგრამ ეს არის საკლასო ორგანიზაციის ის ფორმა, რომელმაც, სწორად წარმართვის შემთხვევაში, მოსწავლეს დიდი სარგებლობა შეიძლება მოუტანოს და, ამასთან, დიდი სიამოგრებაც მიანიჭოს. გამოკვლეულები აღასტურებს, რომ ჯგუფური მუშაობა ხელს უწეობს:

- დასწავლის ჩვევების და მოსწავლის ცნებითი, აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესს;
- მოტივაციის ზრდას და სწავლის პროცესისადმი პოზიტიური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას;
- კლასში მოსწავლეთა ქცევისა და თანატოლებთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, ანუ კომუნიკაციის და სოციალური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

გარდა ამისა, ჯგუფური მუშაობა აუმჯობესებს სასწავლო პროცესსა და მის შედეგებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის დადებითად აისახება ზოგადად მოსწავლის დამოკიდებულებაზე საზოგადოებასთან. ბავშვები ვერ ვასწავლით საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობას

ისე, როგორც მას მიმატებისა და გამოკლების წესებს ვასწავლით. მისი, როგორც საზოგადოების წევრის თვითშეგნებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მოსმენისა და ალტერნატივული აზრის მიღების უნარი. საკუთარ საქციელზე პასუხისმგებლობასა და ადამიანებთან კრიტიკულ, მაგრამ ამასთანავე ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას ბავშვები სახელმძღვანელოდან კი არა, მაგალითით და ერთმანეთისაგან სწავლობენ.

ჯგუფური მუშაობის მნიშვნელობა უდავოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ თანამედროვე განათლების მიზანი არამხოლოდ ცოდნის, ფაქტობრივი ინფორმაციის დაგროვებაა, არამედ მიღებული ინფორმაციის ანალიზის, კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებაც. კრიტიკული აზროვნების უნარის ჩამოყალიბებისათვის კი მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება, იაზროვნონ, ილაპარაკონ და ჰყავდეთ მსმენელი. ამისათვის არ არის საკმარისი საუბარი მხოლოდ მასწავლებელთან და, მით უფრო, მხოლოდ მასწავლებლის საუბრის მოსმენა. მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნება ყალიბდება მხოლოდ ისეთ სასწავლო გარემოში, სადაც ხშირია ინტენსიური სტრუქტურირებული ურთიერთობა მოსწავლეთა შორის. სწორედ ამ მიზანს ისახავს ჯგუფური მუშაობა.

ჯგუფური მუშაობის სარგებლიანობა სხვადასხვა თეორიით შეიძლება აიხსნას. ერთი თეორიის თვალსაზრისით, ბავშვის კონცეპტუალური განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარების იმავე დონეზე მყოფი, მაგრამ საწინააღმდეგო პოზიციის მქონე ადამიანთან კამათს. ამ „შემუცნებით კონფლიქტს“ მიყვავართ კონცეპტუალურ განვითარებამდე, სწავლამდე, რაც ჩვენი საბოლოო მიზანია. მეორე თეორიის მიხედვით, ერთად მუშაობისას ბავშვები წყვეტენ პრობლემებს, ან გაიაზრებენ ცნებებს, რომლებსაც დამოუკიდებლად გერც ერთი მათგანი ვერ გაართვევდა თავს. ჯგუფში ერთი წევრის აზრი ბიძგს აძლევს მეორის იდეებს, ისინი ერთად მიდიან პრობლემის ახლებურ გაგებამდე, სწავლობენ ერთად და შემდეგ შეუძლიათ ეს ცოდნა გამოიყენონ დამოუკიდებლად მუშაობისას.

მკვლევარები თანხმდებიან იმაზეც, რომ ჯგუფური მუშაობის პოტენციალი მოლიანად არაა გამოკლეული და, მით უფრო, არც ათვისებული. თუმცა, მისი ზოგიერთი უპირატესობა საკლასო ორგანიზაციის სხვა ტიპებთან, აშკარაა:

- იზრდება თითოეული მოსწავლის ჩართულობა გაკვეთილზე, ისინი ნაკლებად პასიურები არიან და სხვისი პასუხების მოსმენით არ კმაყოფილდებიან. ამასთან, მოსწავლეს მეტი საშუალება აქვს, თავად განსაზღვროს თავისი მონაწილეობის ფორმა;

- მცირე ჯგუფში მუშაობა უფრო ნაკლებ ფსიქოლოგიურ საფრთხეს მოიცავს მოსწავლისათვის, ვიდრე პასუხის გაცემა ან საკუთარი აზრის გამოხატვა მთელი კლასის წინაშე;
- მცირდება მასწავლებლის მაკონტროლებელი როლი და, შესაბამისად, მოსწავლეს ენიჭება არჩევანის მეტი თავისუფლება, რაც ავითარებს დამოუკიდებელი სწავლისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევებს;
- მასწავლებელს საშუალება ეძლევა, დაეხმაროს იმ მოსწავლეებს, რომლებიც მეტად საჭიროებენ ამას მაშინ, როცა სხვებიც აქტიურად არიან ჩაბმული ამოცანის გადაწყვეტაში.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- არსებობს საკლასო ორგანიზაციის სამი ძირითადი მოდელი: საერთო საკლასო, დამოუკიდებელი და ჯგუფური. ამათგან პირველი უფრო ტრადიციულია ქართული სკოლისათვის, მაგრამ ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობაც არანაკლებ მნიშვნელოვანია;
- საკლასო ორგანიზაციის თითოეულ ამ მოდელს აქვს თავისი უპირატესობები. ამიტომაც ეფექტური სასწავლო გარემოს შესაქმნელად, სასურველია, დაგიცვათ მათ შორის გარკვეული ბალანსი, არ მოხდეს ერთ-ერთი მათგანის (მაგ. საკლასო მუშაობის) დომინირება და სხვათა უგულებელყოფა;
- თუ მასწავლებელი, ჩვეულებრივ, მთლიანად აკონტროლებს პროცესს საერთო საკლასო მუშაობის დროს, მისი კონტროლის დონე კლებულობს დამოუკიდებელი და ჯგუფური მუშაობისას. შესაბამისად, მატულობს თავად მოსწავლეთა ინიციატივა და დამოუკიდებლობის ხარისხი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კრიტიკულად მოაზროვნე და დამოუკიდებლად სწავლის უნარის მქონე ადამიანის ხამოყალიბებისათვის.

ჯგუფური მუშაობა

ამ თავის წარითანის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

როგორ უნდა გამოიყენოთ ჯგუფური მუშაობა კლასში;

როგორ უნდა მოიქცეთ, რომ გადალახოთ მოსწავლეთა უარყოფითი დამოკიდებულება ჯგუფური მუშაობისადმი;

რა შემთხვევაშია უმჯობესი წყვილების, ტრიადების, მცირე და დიდი ჯგუფების გამოყენება.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. გამოგიყენებიათ თუ არა ოდესმე ჯგუფური მუშაობა? რატომ?
2. თქვენი აზრით, რა პრობლემებს შეიძლება წააწყდეთ კლასში ჯგუფური მუშაობის გამოყენებისას?
3. საკლასო მუშაობის დროს რა ზომის ჯგუფების გამოყენებაა რეკომენდებული?
4. რა ნიშის მიხედვით უნდა დავყოთ კლასი ჯგუფებად?
5. რომელი საფეხურიდანაა უფრო სასურველი კლასში ჯგუფური მუშაობის გამოყენება?
6. რა საგნებშია უმჯობესი ჯგუფური მუშაობის გამოყენება?

ჯგუფური მუშაობა, მისი ბევრი დადებითი მხარის მიუხედავად, ჩვენს რეალობაში საქმაოდ იშვიათად გამოიყენება. ის მასწავლებლებიც კი, რომლებიც თეორიულად იწონებენ საკლასო ორგანიზაციის ამ მოდელს, პრაქტიკულად იშვიათად მიმართავენ მას. ამის მიზნი კი ალბათ ისაა, რომ

- ა) მათ არ იციან, როგორ დაყონ მოსწავლეები ჯგუფებად;
- ბ) პირველივე მცდელობისას აწყდებიან მოსწავლეთა უარყოფით რეაქციას;
- გ) არ იციან, რა ტიპის დავალებების შესრულებისთვისაა უმჯობესი ჯგუფური მუშაობის გამოყენება;
- დ) თვლიან, რომ ვერ შეძლებენ რამდენიმე ჯგუფის ერთდროულად გაპონტროლებას.

შევეცადოთ, მიმოვინილოთ ყველა ზემოთხამოთვლილი საკითხი.

ა) ჯგუფებად დაყოფა

მოსწავლეების ჯგუფებად დაყოფა არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. აქ რამდენიმე ასპექტია გასათვალისწინებელი:

ჯგუფის ზომა ძირითადად დამოკიდებულია გაპვეთილის მიზანზე, მოსწავლეთა ასაქსა და იმაზე, თუ რამდენად ნაცნობია მათოვის მუშაობის ეს ფორმა. მოსწავლეები შეიძლება დაჯგუფდნენ წყვილებად, ტრიადებად, მცირე (4-5 კაციან) და დიდ (6 და მეტ კაციან) ჯგუფებად.

წყვილები ყველაზე მოსახერხებელია დაბალ კლასებში მუშაობისას, ან ისეთ მოსწავლეებთან, რომლებიც მორცხვობები, ან არა აქვთ თანატოლებთან თანამშრომლობის გზით ამოცანების გადაჭრის დიდი გამოცდილება. ამდენად, საწყის ეტაპზე სასურველია, სწორედ ეს ფორმა გამოვიყენოთ. მასწავლებლისთვისაც შედარებით ადვილია წყვილებში მუშაობის დაგეგმვა და წარმართვა. ამასთან, მოსწავლეები წყვილებში ზოგჯერ იოლად ართმევენ თავს ისეთ როტულ დაგალე-

ბებს, რომელთა შესრულებაც დამოუკიდებლად გაუჭირდებოდათ. ისეთი დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან, ან პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზების ძიებასთან, სწორედ წყვილებში უნდა წარიმართოს. ასევე, წყვილებში მუშაობა შეიძლება გამოვიყენოთ იმისათვის, რომ უფრო ძლიერმა მოსწავლებ დახმარება აღმოუჩინოს მასზე სუსტს. ზოგადად, წყვილში მუშაობისას მასწავლებლის უურადღება ფოკუსირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ერთი მოსწავლე არ დომინირებდეს მეორეზე.

ტრიადები (ანუ 3 მოსწავლისგან შემდგარი ჯგუფები) განსაკუთრებით მიზანშეწონილია, როცა ერთი ბავშვი მოქმედებს დანარჩენი ორის ხელმძღვანელობით, მათი სახელით. მაგალითად, მუშაობს კომპიუტერზე, ატარებს ცდას, იწერს მათ მიერ შეთხზულ ამბავს და ა.შ. ასევე, სასურველია, ტრიადების გამოყენება იმ ეტაპზე, როცა ბავშვებს ჯერ კიდევ უჭირთ დისკუსიისას შეთანხმებამდე მისვლა. ამ დროს მესამე მოსწავლის აზრი შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს, თუმცა ჩნდება იმის საფრთხეც, რომ უმრავლესობა ყოველთვის გადაძლევს ერთის თუნდაც ლოგიურ, შეიძლება უფრო სწორ მოსაზრებას.



მცირე ჯგუფები (4-5 მოსწავლისგან შემდგარი) ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმაა ფაქტობრივად ყველა ტიპის სამუშაოს შესასრულებლად. აქ შედარებით იშვიათია ერთი მოსწავლის დომინირება ყველა სხვაზე, განიხილება რამდენიმე განსხვავებული ვარიანტი ან მოსაზრება. ამიტომაც საჭირო ხდება ყველა კერძის მოსმენა, გაანალიზება და შეჯერება. თუმცა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ რაც უფრო დიდია ჯგუფი, მით უფრო რთულია მისი მუშაობის დაგეგმვა და ორგანიზება, როლების განაწილება. ამდენად, შეიძლება დაწყებითი კლასების მოსწავლეებს საკმაოდ გაუჭირდეთ ამ ფორმით მუშაობა.

დიდი ჯგუფები (6-10 მოსწავლე) საკმაოდ იშვიათად გამოიყენება, რადგან ბევრ პრობლემას ქმნის. ასეთ დიდ ჯგუფში მოსწავლე შეიძლება იყოს ასიური, თუ ამის სურვილი აქვს. მორცევ ბავშვებს შეიძლება გაუჭირდეთ დიდი აუდიტორიის წინაშე აზრის გამოთქმა და დუმილი ამჯობინობ. მაშასადამე, დიდ ჯგუფებს ახასიათებს ბევრი ის ნეგატიური მხარე, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ საერთო საკლასო მუშაობის განხილვისას. ამდენად, ამგვარი დაჯგუფება შეიძლება გამოვიყენოთ, თუ ამას დავალება მოითხოვს. უმჯობესია, კლასში გამოიყოს ბევრი მცირე, ვიდრე 2-3 დიდი ჯგუფი.

ობ. გვ. 39

ჯგუფების შემადგენლობა

ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა ნიშნით შევქმნით ამ ჯგუფებს. ეს გადაწყვეტილება სხვადასხვა პრინციპს შეიძლება დაფუძნოს:

- ალბათ მეგობრობა გახდება განმსაზღვრელი ფაქტორი, თუ ჯგუფების შექმნას თავად ბავშვებს მივანდობთ. ამ ვარიანტის დადებითი მხარე ის, რომ ბავშვები მეტი სიამოვნებით იმუშავებენ თავიანთ მიერვე შერჩევლ პარტნიორებთან; თანაცი იგრძნობენ, რომ საკუთარ ხელში იღებენ ინიციატივას და პასუხისმგებლობას. მეორე მხრივ, ამგვარმა დაჯგუფებამ შეიძლება არეულობა და ქაოსი გამოიწვიოს კლასში, სანამ ბავშვები პარტნიორებს ეძებენ; შეიძლება ემოციური საფრთხე შეექმნათ ნაკლებ პოპულარულ ბავშვებს, ვისთანაც ცოტა თუ მოინდომებს ჯგუფის შექმნას. მეორებრების საერთო ინტერესები მეტ საფრთხეს ქმნის, რომ მოსწავლეები გადაერთონ დაგალების შესრულებიდან სხვა

საკითხების განხილვაზე. თანაც, მეგობრობის ნიშნით შექმნილი ჯგუფები სტანდურია და შეიძლება ბავშვებს მთელი წლის მანილზე არ მიეცეთ სხვა მოსწავლეებთან მუშაობის საშუალება;

• ცოდნის დონე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც ჯგუფების შექმნისას უთუოდ უნდა გავითვალისწინოთ. ზოგჯერ სასურველია შერეული დონის ჯგუფების შექმნა, რადგან უფრო ძლიერი მოსწავლეები დახმარებას უწევენ, უხსნიან უფრო სუსტებს და ამ პროცესში თავადაც უპერ გაიაზრებენ დასმულ პრობლემას. ასეთ შემთხვევაში ექსპერტები გვირჩევენ, დავაჯგუფოთ ძლიერი მოსწავლეები საშუალო დონის ბავშვებთან და საშუალო მოსწავლეები - სუსტებთან. ასე თავიდან ავიცილებთ მოსწავლეთა შორის მკეთრ განსხვავებებს, რაც შეიძლება ბავშვების გაღიზიანების და დაბატულობის მიზეზი გახდეს.

თუ ჩვენ გვაქვს საშუალება, განსხვავებული დაგალებები შევთავაზოთ ცალკეულ ჯგუფებს, მაშინ მიზანშეწონილია ერთი და იმავე დონის მოსწავლეები დაგაჯგუფოთ და მივცეთ შესაბამისი სირთულის დაგალება. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, მეტი დრო დაუთმოს უფრო სუსტ ჯგუფებს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. თუმცა მუდმივად სუსტ და ძლიერ ჯგუფებად დაყოფა არ არის სასურველი, რადგან იკარგება ჯგუფური მუშაობის მთავარი უპირატესობა – ჩამოყალიბოს მოსწავლეებს სხვადასხვა დონის და ტიპის ადამიანებთან თანამშრომლობის უნარი;

• აქტივობის ხარისხი შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეთა დაჯგუფების კრიტერიუმად, როცა უკვე ვიცით, რომელი მათგანია განსაკუთრებით აქტიური ჯგუფურ მუშაობაში და ვინ ცდილობს, თავიდან აიცილოს ინიციატივა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს „წენარი“ მოსწავლეების დაჯგუფება, სადაც ისინი ნაკლებად მოახერხებენ ვინმეს ზურგს ამოეფაროს და სხვას მიანდონ გადაწყვეტილების მიღება. ასევე სასარგებლოა ამგვარი დაჯგუფება ზედმეტად აქტიური მოსწავლეებისთვის, რომლებიც თავიანთივე ტიპის თანაკლასელებთან ურთიერთობისას ნაკლებად მოახერხებენ დომინირებას და, ბუნებრივია, მოუწევთ დათმობებზე წასვლა;

• შემთხვევითი დაჯგუფება გულისხმობს ჯგუფების შეკვრას ყველა განხილული კრიტერიუმის გაუთვალისწინებლად. სშირ შემთხვევაში მასწავლებლისთვის მოსახერხებელია დააჯგუფოს მოსწავლეები, რომლებიც ერთად ან ერთმანეთთან ახლოს სხედან. ამგვარად, ჩვენ გზოგავთ დროს და თავიდან ვიცილებთ ხმაურს და არეულობას, რაც უთუოდ თან ახლავს გაკვეთილზე

მოსწავლეთა გადაადგილებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მოსწავლეები ყველა გაკვეთილზე ერთ ადგილს სხედან და, ამდენად, ყველთვის ერთსა და იმავე ჯგუფში აღმოჩნდებიან. ასე კი ჯგუფური მუშაობა შეიძლება მათვის მაღლ მონოტონური და უინტერესო გახდეს.

შემთხვევითი დაჯგუფების ყველაზე ადვილი გზაა გათვლა. მაგალითად, თუ ჩვენ სულ 30 მოსწავლე გვესწრება გაკვეთილზე და გვინდა 4-5 კაციანი ჯგუფების შექმნა, ბავშვებს რიგის მიხედვით გაითვლიან ციფრებს 1-დან 7-მდე, ან ასოებს „ა“-დან „ზ“-მდე. შემდეგ გავცემთ ინსტრუქციას, რომ ყველა 1 ნომერი (ან ყველა „ა“) შეიცრიბოს კლასის ერთ კუთხეში, ყველა 2 - მეორე ადგილას და ა. შ. საერთო ჯამში მივიღებთ 5 4-კაციან და 2 5-კაციან ჯგუფს. ნებ შეგვაშინებს, თუ პირველად ამ პროცედურას საკმაო ხმაური მოჰყვება. მასწავლებლიც და მოსწავლეებიც ძალიან მაღლ ეწვევიან მას და რამდენიმეჯერ გამოყენების შემდგებ გადაადგილების ეს პროცესი საკმაოდ სწრაფად და იოლად მიმდინარეობს.

ბ) მოსწავლეთა დამოკიდებულება

არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მოსწავლეები დიდი ადგირთოვანებით არ შეხვდებიან ჯგუფური მუშაობის გამოყენების პირველივე შემთხვევას. აქ ბევრი პრობლემა შეიძლება წამოიჭრას. ჯერ ერთი, ეს მათვის უწვევულო ფორმაა. მასწავლებლის მუდმივ კონტროლს და შესწორებებს შეწვეულმა ბავშვმა შეიძლება სარისკოდ ჩათვალოს მითითებებისა და წახალისების გარეშე მუშაობა. მოსწავლეებს აფრთხობთ ის, რომ მცირდება მასწავლებლის კონტროლი და, შესაბამისად, იზრდება მათი პასუხისმგებლობა.

ჯგუფში შეიძლება გამოიკვეთოს ერთი ლიდერი, რომელიც შეეცდება, სრულად აკონტროლოს მუშაობის პროცესი. ამან კი, მოსალოდნებლია, გააღიზიანოს დანარჩენები. შეიძლება პირიქითაც, აღმოჩნდნენ ბავშვები, რომლებიც ამჯობინებენ, თავი არ გადაიტვირთონ და მთელი სამუშაოს შესრულება სხვებს მიანდოო.

ბევრი მოსწავლისთვის ჯგუფური მუშაობა იმდენად ახალი ფორმაა, რომ მათ იგი არც მიაჩნიათ „ნამდვილ სწავლად“ და უფრო თამაშად, დროის გაყვანად თვლიან.

ყველა ამ მიზეზის გამო, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მოსწავლეები ეჭვის თვალით უურებენ ჯგუფურ მუშაობას. ამიტომაც, სასურველია, თავიდან დრო არ დავინახოთ ამ მოდელის ზოგიერთი მხარის განხილვისთვის. მაგალითად, შეიძლება გავაკეთებინოთ რამე დაგალება წევილებში, 3-4 კაციან ჯგუფებში და შემდეგ გამოვკითხოთ, წერილობით ან ზეპირად, რა მოეწონათ და რა - არა. შეიძლება ვთხოვოთ,

დაასრულონ შემდეგი წინადაღებები:

მე მომწონს/არ მომწონს დამოუკიდებლად მუშაობა იმიტომ, რომ

მე მომწონს/არ მომწონს წყვილებში მუშაობა იმიტომ, რომ

მე მომწონს/არ მომწონს ჯგუფებში მუშაობა იმიტომ, რომ

შემდეგ შეიძლება კლასში განვიხილოთ მათი პასუხები და შევა-
დაროთ ისინი ერთმანეთს. ეს ინფორმაცია მასწავლებელს ძალიან
დაეხმარება მომავალი მუშაობის დაგეგმვაში, დაანახებს მას, რამდენად
საჭიროა ჯგუფური და წყვილური მუშაობის გამოყენება კლასში და
რა ასპექტებზე უნდა გაამახვილოს მან ყურადღება.

ხშირად ძალიან სასარგებლოა, წინასწარ განვუმარტოთ მოსწავ-
ლებს, რა მიზანს ისახავს ჯგუფური მუშაობა, რის მიღწევას შეძლებენ
ისინი ამ კონკრეტული დავალების შესრულებით და რა კავშირშია ეს
დავალება სასწავლო პროგრამასთან. ამასთან, სასურველია, მასწავლე-
ბელი და კლასი წინასწარ შეთანხმდეს იმ წესებზე, რომლებიც უნდა
დაიცვან მუშაობის პროცესში. ბავშვებმა ჯგუფური მუშაობის დაწყე-
ბამდე უნდა იცოდნენ:

- როგორ უნდა მოჟხონ მასწავლებელს, თუ დახმარება
დასჭირდებათ;
- რა დრო ეძლევათ დავალების შესასრულებლად;
- რა ევალება თითოეულ მათგანს, რადგან ზოგ შემთხ-
ვევაში მოსწავლეთა როლები მუშაობისას შეიძლება განსხვავე-
ბული იყოს. მაგ. ერთი იწერდეს მსჯელობის შედეგებს, ვინმე
აკვირდებოდეს დანარჩენი მოსწავლეების აქტივობას, სხვადასხვა
მოსწავლე ფლობდეს სხვადასხვა ინფორმაციას, ან წარმოადგენ-
დეს სხვადასხვა პოზიციას დებატების დროს და ა.შ;
- ხმაურის რა დონეა დასაშვები;
- ჯგუფური მუშაობის რა პროდუქტი უნდა წარმოადგინონ
დამთავრების შემდეგ და როგორ გვანიშნონ დასრულება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო ნაცნობი
ხდება ჯგუფური მუშაობის ფორმა ბაგშვებისათვის, მით უფრო ნა-
კლები პრობლემები ექმნებათ მათ და უფრო ახერხებენ მისი უპი-

რატესობებით ისარგებლონ. ამისათვის შეიძლება სასარგებლო იქნას თავიდან ძალიან მოკლე და მარტივი ჯგუფური დავალებების შესრულება, რომელთა წარმატებაც დაარწმუნებს მოსწავლებს, რომ მათ აქვთ უნარი, თავი გაართვან მოთხოვნებს.

გ) დავალების ტიპი

ფაქტორივად, მცირე მოდიფიკაციის შემდეგ, ნებისმიერი დავალება შეიძლება მოერგოს ჯგუფური მუშაობის პრიციპებს. განსაკუთრებით სასურველია საკლასო ორგანიზაციის ამ მოდელის გამოყენება, თუ დავალება საქმაოდ რთული გვეჩვენება დამოუკიდებლად მუშაობისთვის. მთავარია, შევიმუშაოთ დავალება, რომელიც მოითხოვს კონსენსუსის, ანუ შეთანხმების მიღწევას. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ორგანიზებისა და დაბავმის თვალსაზრისით, წყვილებში მუშაობა ყველაზე იოლია მასწავლებლისთვის. იგი ადვილად შეიძლება გამოვიყენოთ თუნდაც დაწყებითი კლასების მოსწავლეებთან, ან ბავშვებთან, რომელთაც პირველად უხდებათ ჯგუფურად მუშაობა.

სიტუაცია 1.

აქტივობის ხანგრძლივობა: 10-15 წუთი .

აქტივობის მიზანი: ახსნილი მასალის გავების შემოწმება

ინგლისური ენის გაკვეთილზე მასწავლებელმა ახსნა ახალი გრამატიკული დრო, დაგუშვაოთ, ნამჟო განუსაზღვრელი (Past Simple), და უნდა შეამოწმოს, რამდენად გაიგეს ბავშვებმა განსხვავება ამ დროსა და აწყვეტილი განუსაზღვრელს (Present Simple) შორის. ამისთვის აძლევს მათ ტიპურ სავარჯიშოს, სადაც წინადადებებში გამოტოვებული ადგილები უნდა შეივსოს ზმის შესაბამისი ფორმით. დამოუკიდებლად შესრულების ნაცვლად, როგორც ეს უმრავლეს შემთხვევაში ხდება, სავარჯიშო შეიძლება შესრულდეს წყვილებში, სადაც ის მოსწავლე, რომელმაც საქმაოდ კარგად გაიგო მასალა, შეძლებს, დაეხმაროს გვერდით მჯდომს, ან მასთან კამათში უფრო კარგად გაიაზროს, რატომ არის საჭირო ზმის ამა თუ იმ ფორმის გამოყენება.



სიტუაცია 2.

აქტივობის ხანგრძლივობა: 20-25 წუთი.

აქტივობის მთხოვანი: ხანგრძლივობის იდეის ქრიტიკული გააზრება და მხგავსი პრობლემატიკის მქონე ხანგრძლივი შორის პარალელურის მიერა.

ქართული ლიტერატურის გაკვთილზე ა. წერეთლის ლექსის,

„განთიადის“ პრეზენტაციისა და განხილვის შემდეგ მასწავლებელი სვამს 2 შეკითხვას: ჩვენ უკვე შესწავლილი გვაქვს ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“. რა საერთო პრობლემატიკა გააჩნია ამ ორ ნაწარმოებს? რა კატეგორია ამ ორ ნაწარმოებსა და ილია ჭავჭავაძის „დაკარგულ ედემს“ შორის? ამ შეკითხვების პასუხი, რასაკვირველია, საერთო საკლასო განხილვის დროსაც შიძლება მოვითხოვოთ, მაგრამ, უმჯობესია, თუ მანამდე წყვილებს მიუცემთ მსჯელობისა და მოფიქრებისათვის 10-15 წუთს. შემდეგ წყვილებიდან თითო ბავშვი გააკეთებს მათი საერთო დასკვნებისა და არგუმენტების პრეზენტაციას მთელი კლასის წინაშე, რასაც უთუდ მოჰყება საერთო საკლასო დისკუსია (წყვილებიდან რომელიმე ბავშვის პასიურობის თავიდან აცილება შეიძლება, თუ პრეზენტაციის თავად ბავშვები კი არა, მასწავლებელი დაასახელებს. როცა ბავშვებმა წინასწარ არ იციან, ვის მოუწევს კლასის წინაშე პრეზენტაცია, როივე თანაბრად ემზადება პასუხისმომსის).

სიტუაცია 3.

აქტივობის ხანგრძლივობა: 30 წუთი.

აქტივობის მიზანი: განვითაროთ მასალის შეჯამება; მიღებული ინფორმაციის ანალიზის და შეფასების უნარის განვითარება; მოხმების, დისკუსიისა და სხვათ დარწმუნების უნარ-ჩვეულების ჩამოყალიბება.

ბუნებისმცოდნეობის IV კლასის სახელმძღვანელოში „მოგზაურობა საქართველოში“ ცალ-ცალკეა განხილული აღმოსავლეთ კავკასიონის ხუთი კუთხე - ხევი, მთიულეთი, ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი. ამ მასალის დასრულების შემდეგ, შეჯამების და მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მიზნით, მასწავლებელმა შეიძლება დაგეგმოს შემდეგი დაგადასა: დაყოს კლასი 5-ჯაციან ჯგუფებად და ჯგუფის თითოეულ წევრს გაუნაწილოს თითო კუთხე. თითოეულ ჯგუფს აქვს აღმოსავლეთ კავკასიონის თითო რუკა და დავალების ბარათი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში ჩამოსულია უცხოელ ტურისტთა ჯგუფი, რომელსაც აინტერესებს ამ მხარის ნახვა, მაგრამ სულ 4 დღე აქვთ და კველიაფერს, რასაკვირველია, კერ მოასწრებენ. მათ განსაკუთრებით აინტერესებთ ლამაზი ბუნება და ისტორიული ძეგლები (ან ადგილობრივი ტრადიციები და კოსტიუმები, სოფლის მეურნეობა, სუვენირების შეძენა და ა.შ. მასწავლებელი წინასწარ შესარჩევს, თუ რაზე სურს მოსწავლების კურადღების გამახვილება). კველა ჯგუფს ევალება, შეარჩიოს ტურისტებისთვის საუკეთესო მარშრუტი და აღნიშნოს ის დღეების მიხედვით რუკაზე. ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე, სასურველია, ბავშვებს მივცეთ რამდენიმე წუთი, რომ თვალი გადაავლონ (ან გაიხსენონ) ინფორმაცია იმ კუთხის შესახებ, რომელიც ჯგუფში უნდა წარმოადგინონ და ამოკრიბონ საჭირო დეტალები. 15-20 წუთიანი

განხილვის შემდეგ ყველა ჯგუფი წარმოადგენს თავის რეკას და გააკეთებს პრეზენტაციას კლასის წინაშე. შეიძლება შეირჩეს საუკეთესო, ყველაზე მრავლისმომცველი მარშრუტი, რომელიც ყველაზე მეტად აქმაყოფილებს ტურისტთა მოთხოვნებს.



სიტუაცია 4.

აქტივობის ხანგრძლივობა: 30-35 წუთი.

აქტივობის მიზანი: სამუშაოების შედარების ჯამის შესახებ მასალის არყოფნა; კრიტიკული აზროვნების, მხარეთმისა და დასაბუთების უნარის განვითარება.

VII კლასის მათემატიკის გაპეტილზე კლასი მუშაობს სამკუთხე-

დის ოვისებების გამოკვლევაზე. ბავშვები მასწავლებელთან ერთად იხსენებენ შესწავლილ მასალას კუთხეების შესახებ, მათ განსაზღვრებას, ოვისებებს, კუთხეთა ჯამს და ა.შ. შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს 3-5 კაციან ჯგუფებად კლასის ზომის მიხედვით. ჯგუფთა საერთო რაოდენობის ნახევარს (მაგ. 3 ან 4 ჯგუფს) დაევალება სხვადასხვა სახეობის სამკუთხედის მოდელების გამოყენებით (მაგ. ერთმანეთზე მიღებით) გამოოქვას და დაასაბუთოს თავისი ვარაუდი სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამის შესახებ. ჯგუფების მეორე ნაწილს ეძლევა დავალება, გამოიყენოს ტრანსპორტირი სხვადასხვა სახეობის სამკუთხედების გასაზომად და ამის საფუძველზე გამოოქვას ვარაუდი სამკუთხედის შიდა კუთხეების ჯამის შესახებ (თუ ბევრი ჯგუფია, შეიძლება სხვადასხვა ჯგუფს გამოსაკვლევად სხვადასხვა სახეობის სამკუთხედი მივცეო). ბოლოს ყველა ჯგუფი წარადგენს თავის ვარაუდს კლასის წინაშე და გრძელდება საერთო საკლასო მუშაობა.

რა თქმა უნდა, აქ შეუძლებელია ყველა აქტივობის აღწერა, სადაც ჯგუფური მუშაობის მოდელი შეიძლება გამოვიყენოთ, მაგრამ ჩამოთვლილი მაგალითებიც ადასტურებს, რომ საკლასო ორგანიზაციის ეს მოდელი მოსახერხებელია სხვადასხვა ასაკისა და ღონის ბავშვებთან მუშაობისას, პრაქტიკულად ყველა საგანში და სასწავლო პროცესის ყველა ეტაპზე, როგორც ახალი მასალის პრეზენტაციის (IV მაგ.), ახსნილის გაგების შემოწმებისა და განმტკიცების (I მაგ.), ასევე განვლილის შეჯამებისას (II ან III მაგალითი).

თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ ყველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები :

- ჯგუფური მუშაობისას მოსწავლეები შეიძლება დაყოთ წყვილებად, ტრიადებად, 4-5 კაციან მცირე ჯგუფებად, ან უფრო დიდ ჯგუფებად. ჯგუფის ზომა დამოკიდებულია დავალების ხასიათსა და ბავშვების ცოდნის დონეზე. ჯგუფურ მუშაობას შეუწეველ მოსწავლეებთან უმჯობესია ამ მოდელის გამოყენება წყვილებით და ტრიადებით დაიწყოთ;
- დაჯგუფების კრიტერიუმად შეიძლება გამოყენებულ იქნას მოსწავლის ცოდნის დონე, მისი აქტივობის ხარისხი, მოსწავლეთა შერის შეგობრობა (თუმცა ეს კრიტერიუმი უმჯობესია იშვიათად გამოვიყენოთ), ან შემთხვევითი პრინციპი. აქ მასწავლებელმა წინასწარ უნდა გაითვალისწინოს ამ ფორმის ყველა უპირატესობა და უარყოფითი მხარე;
- ჯგუფური მუშაობის მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულება შეიძლება გააუმჯობესოთ მიზნების განმარტების, მათთან კონსულტაციის და მათი აზრის გათვალისწინების გზით;
- ჯგუფური მუშაობისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა ტიპის სავარჯიშო ყველა საგანში, ნებისმიერ დონეზე და სასწავლო პროცესის სხვადასხვა ეტაპზე (პრეზენტაციის, ვარჯიშის თუ შეჯამების ეტაპზე). მთავარია, განსაზღვროთ დაგალება, რომელიც ემსახურება გაკვეთილის მიზნის მიღწევას.

კვირის მუშაობის მართვა

ამ თავის წარითანის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

როგორ უნდა მოვამზადოთ კლასი კვირის მუშაობისთვის;

როგორია მასწავლებლის როლი კვირის მუშაობის პროცესში;

როგორ უნდა მოიქცეთ, როცა კვირის პრობლემები ექმნებათ;

როგორ უნდა წარვმართოთ კვირის მუშაობა დასკვნით ეტაპზე.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. როგორ უნდა მოვამზადოთ კლასი და საკლასო ოთახი კვირის მუშაობისთვის?
2. რა ფუნქციებს ასრულებს მასწავლებელი კვირის მუშაობის პროცესში?
3. კვირის მუშაობისას როგორ შეიძლება ვაკონტროლოთ ხმაურის დონე კლასში?
4. როდის წყდება კვირის მუშაობა?
5. რა ხდება კვირის მუშაობის დასკვნით ეტაპზე?

მასწავლებელთა დიდ ნაწილს განსაკუთრებით აღელვებს ის, რომ ჯგუფური მუშაობისას უშეალოდ ვერ აკონტროლებენ თითოეული მოსწავლის საქმიანობას. როცა კლასში ერთდროულად 3 ან მეტი ჯგუფი მუშაობს, შეუძლებელია, მასწავლებელმა ყველას ერთდროულად მოუსმინოს, აღრიცხოს ყველა შეცდომა, დაეხმაროს ყველა მოსწავლეს და თავიდან აიცილოს ყველა პრობლემა. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ ჩვეული ფუნქციის გარეშე დარჩენილ მასწავლებელს ზოგჯერ უძლეურების და დაბნეულობის შეგრძნება გაუჩნდეს. ჩნდება შეკითხვები:

- როგორ გავიგოთ, რომ ყველა მოსწავლემ იცის, რა უნდა გააკეთოს და სწორი მიმართულება აირჩია?
- რა უნდა გავაკეთოთ, რომ მოსწავლეებმა არასასწავლო მიზნებისთვის, თავიანთ პირად საქმეებზე საუბარში არ დახარჯონ მიცემული დრო?
- როგორ გავანაწილოთ ყურადღება სხვადასხვა ჯგუფს შორის?
- რა უნდა გავაკეთოთ ზედმეტი ხმაურის შემთხვევაში? ყველა ეს პრობლემა დგას მასწავლებლის წინაშე, როცა კლასი ჯგუფური მუშაობაზე გადადის და აუცილებელია, მინიმუმადე დავიყვანოთ ისინი. ამისთვის საჭიროა, სწორად მოვამზადოთ და წარვმართოთ პროცესი და, ამასთან, სწორად გავიაზროთ ჩვენი, როგორც მასწავლებლის როლი ჯგუფური მუშაობისას.

მზადება ჯგუფური მუშაობისთვის

ზოგადად, ჯგუფური მუშაობისთვის მზადების პროცესად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი საკლასო აქტივობა, რომელიც მიზნად ისახავს ჩამოყალიბოს მოსწავლეებს შემდეგი უნარები:

- ლოგიკური შეკითხვების დასმა;
- ერთმანეთის აქტიურად მოსმენა;
- სხვათა მოსაზრებების გაზიარება;
- აზრის გამართულად და ლოგიკურად ჩამოყალიბება;
- დახმარების ან განმარტების თხოვნა;
- იდეების და მოსაზრებების ასხნა და შეფასება;
- საუბრის ძირითადი არსის შეჯამება.

ყველა ეს უნარი აუცილებელია ჯგუფური მუშაობის წარმატებით წარმართვისთვის.

კონკრეტული ჯგუფური დავალების მზადების პროცესში აუცილებელია, ყველა განმარტება კონკრეტულად, რაც შეიძლება მარტივი ენით მივცეთ მოსწავლეებს, სანამ მათ ჯგუფებად დავკოფდეთ. სასურველია, ასევე მცირე რეჟეტიცია ან მაგალითის დემონსტრირება მთელი კლასისათვის. თუმცა, თუ მოსწავლეები უკვე შეჩვეულნი არიან ამ ტიპის მუშაობას, დავალების მიცემის პროცესი მარტივდება.

მუშაობის დაწყებამდე მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რა დროში უნდა შესარულონ დავალება. მასწავლებელს კი მოფიქრებული უნდა ჰქონდეს დამატებითი სამუშაო მათვის, ვინც სხვებზე ადრე დაამთავრებს.

კიდევ ერთი აუცილებელი პროცედურაა მოსწავლეთა გაადგილება ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე. შეუძლებელია მოსწავლეებმა დისკუსია გამართონ თანაკლასელებთან, რომლებიც მათთან ზურგშექცევით ან სხვა რიგში სხვდან. ისინი ერთად უნდა ისხდნენ. ეს პროცესი ხშირად განსაკუთრებით მტკიცნეულად აღიქმება, რადგან მას თან სდევს გარკვეული მოძრაობა და, მაშასადამე, ხმაურიც. საბედნიეროდ, ხმაურის დონე კლებულობს, რაც უფრო ნაცნობი ხდება ეს პროცედურა მოსწავლეებისთვის. მოძრაობა კი დატვირთული გონიერივი სამუშაოს შემდეგ მათთვის განტვირთვის საშუალება და ახალ დავალებაზე გადასვლის სიგნალია. არ იქნებოდა გამართლებული იმის მტკიცება, რომ მცირე და დიდ ჯგუფებში მუშაობა მხოლოდ თანამედროვედ აღჭურვილ საკლასო ოთახშია შესაძლებელი. ჩვეულებრივმა მერხმა თავისუფლად შეიძლება დაიტიოს მოსწავლეთა მთელი ჯგუფი, თუ მას სკამებს ყველა მხრიდან დაუდგამთ.

ჯგუფური მუშაობის პროცესი

როცა ჯგუფები მუშაობას იწყებენ, მასწავლებლის როლი იცვლება. ახლა იგი დამკირვებელია, რომელიც დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ყველაფერს, რაც კლასში ხდება. იგი მერხებს შორის მოძრაობს, აკირდება ჯგუფებს, აღრიცხავს დადებით და უარყოფით მომენტებს მათ მუშაობაში. ამ დროს ჩანაწერების გაკეთება ამ ინფორმაციის მოგზაურებით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა (საერთო შეცდომების განხილვის, ახალი გაკეთილების დაგეგმვის ან მოსწავლეთათვის ინდიკირდულური რჩევების მიცემისათვის). ამასთანავე, დიდი სიცრობილე საჭირო, რომ მოსწავლეების ყურადღება მთელი ამ ხნის განმავლობაში დავალებაზე იყოს კონცენტრირებული, და არა მასწავლებელსა და მის ჩანაწერებზე.

ამდენად, მასწავლებელი ცდილობს, არ ჩაერიოს ჯგუფური მუშაობის პროცესში, თუ ამის განსაკუთრებული საჭიროება არ არსებობს. ასეთი საჭიროება კი საქმაოდ ხშირად ჩნდება და, შესაბამისად, მასწავლებელი სხვადასხვა ფუნქციას იღებს საკუთარ თავზე:

• თუ მოსწავლეებმა არასწორი მიმართულებით წარმართეს მუშაობა და ნათელი ხდება, რომ ისინი ვერ მივლენ სწორ შედეგამდე, მასწავლებელი მათ ხელახლა აძლევს ინსტრუქციებს, უკონკრეტიზებს დაგალებას, ან აძლევს რჩევას;

• თუ მოსწავლეებს დაგალების შესასრულებლად სჭირდებათ რამე სახის ფაქტობრივი ინფორმაცია (მაგ. ვერ გაიხსენეს კონკრეტული სიტყვა ან ფრაზა უცხო ენის გაკვეთილზე, ფორმულა - ქიმიის გაკვეთილზე, თარიღი - ისტორიის გაკვეთილზე), მასწავლებელს აქვს არჩევანი ან თავად შესასრულოს ლექსიკონის, ენციკლოპედიის თუ სახელმძღვანელოს ფუნქცია, ან მიანიშნოს მათ, სად შეიძლება ამ ინფორმაციის მოქმნა;

• თუ საჭიროა რომელიმე ჯგუფის წახალისება და გააქტიურება, მასწავლებელს შეუძლია, ჩაერთოს მის მუშაობაში, როგორც ერთ-ერთი წევრი. ეს განსაკუთრებულ ტაქტს მოითხოვს, რადგან მასწავლებლის მიმართ მოსწავლეთა პატივისცემა მის აზრს განსაკუთრებულ წონას სძენს და თანაბარი დისკუსიის გამართვა საქმაოდ მნელი ხდება. თუ ამ საფრთხის თავიდან აცილება მოხერხდა, მოსწავლეებიც და მასწავლებელიც განსაკუთრებულ სიამოვნებას იღებენ ამგვარი თანამშრომლობისგან;

• თუ რომელიმე ჯგუფს განსაკუთრებით უჭირს, ან ვიციოთ, რომ იგი შედარებით სუსტი მოსწავლეებისაგნაა დაკომპლექტებული, შეიძლება მასწავლებელმა მათ მეტი დრო დაუთმოს და ინდივიდუალურად იმუშაოს მათთან. მიუხედავად ამისა, რომელიმე ჯგუფის უგულებელყოფა არ არის გამართლებული.

როცა მასწავლებელი რწმუნდება, რომ ყველა ჯგუფი ჩართულია დაგალების შესასრულებაში, მას შეუძლია დროებით უფრო პასიური როლი აირჩიოს. იგი იყავებს ადგილს, საიდანაც თვითონ მთელ კლასს ხედავს, მაგრამ თავად არ არის მოსწავლეთა ყურადღების ცენტრში.

ამ ეტაპზე საქმაოდ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ხმაურის დონე კლასში. მისი კონტროლირებისთვის აუცილებელია, მოსწავლეები ჯგუფში ისხდნენ ერთმანეთის პირისპირ და ერთმანეთთან ახლოს; მასწავლებელს შეუძლია აკრძალოს ადგილიდან წამოღვამა და სხვა ჯგუფებთან გადალაპარაკება; წინასწარ უნდა შევათანხმოთ მათთან რამე ნიშანი, რითიც ისინი შეკითხვის ან დახმარებისთვის მოვიხმობენ; შეიძლება ჯგუფის ერთ-ერთ წევრს დავავალოთ მისივე თანაჯგუფელთა ხმაურის კონტროლი. თუ რომელიმე ჯგუფი განსაკუთრებით ხმამაღლა საუბრობს, მასწავლებლის მიახლოება და ჩურჩულით დასმული შეკითხვა ან რამე კომენტარი ხშირად საკმარისია იმისთვის, რომ მოსწავლეებმაც ხმას დაუწიონ.

ჯგუფური მუშაობის დასკვნითი ეტაპი

ჯგუფური მუშაობა წყდება წინასწარ დათქმულ დროს ან მაშინ, როცა ჯგუფების უმრავლესობას მზად აქვს საბოლოო შედეგი. ზოგადად, უმჯობესია შევაჩეროთ მოსწავლეები მაშინ, როცა ისინი (ნაწილი მაინც) ჯერ კიდევ სიამოვნებით ასრულებენ ამ დავალებას. თუ ჩვენ დაველოდებით, სანამ ბოლო ჯგუფიც დაასრულებს მუშაობას, ეს ნიშნავს, რომ კლასის დანარჩენი ნაწილი ამ დროს არაეფექტიანად იყენებს. ამიტომ, როგორც კი შევნიშნავთ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა (დაახლოებით 60%) მზადაა მუშაობის შედეგების წარმოსადგენად, ან დავალებისადმი ინტერესმა იკლო, შეგვიძლია გამოვაცხადოთ: „ბავშვები, 3 წელი (ეს დრო შეგვიძლიათ განსაზღვროთ საჭიროების მიხედვით) დაგრჩათ დავალების შესასრულებლად. ზუსტად 3 წელში ყველა ჯგუფი წარმოადგენს თავის ნამუშევარს.“

დავალების დასრულების შემდეგ უთუოდ უნდა იყოს დრო გამოყოფილი შედეგების შეჯამებისთვის. უმეტეს შემთხვევაში ეს საერთო საკლასო მუშაობის ფორმით ხდება. შედეგების შეჯამება სხვადასხვა ფორმას იდგას თავად დავალების მიზნებიდან გამომდინარე. ეს შეიძლება იყოს სწორი პასუხი შეკითხვაზე, ან სავარაუდო ვარიანტების დაჯგუფება დაფაზე, ზეპირი პრეზენტაციები ან მომზადებული ოვალსაჩინოებების (პოსტერების, რუკების, ნახაზების) გამოფენა კედლებზე. ამ ეტაპზე მასწავლებლის მთავარი მიზანია, თავისი ყურადღებით, შექმნით, ნამუშევრის დადებით მხარეებზე ყურადღების გამახვილებით აჩვენოს, რომ აფასებს მოსწავლეების მიერ გაწეულ სერიოზულ შრომას და მონდომებას. კრიტიკული შენიშვნების მირითადი ნაწილი კი მასწავლებლის მომავალ სამუშაო გეგმაში უნდა იყოს გათვალისწინებული.

თქვენ უკვე შეგვიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ ყველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხებებს და გაუცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე მიეცით მოსწავლეებს ნათელი ინსტრუქციები და დავალების შესრულების მოდელი; წინასწარ განსაზღვრეთ და შეატყობინეთ, როგორ აპირებთ მათი ნამუშევრის შეფასებას;
- აუცილებელია, სწორად წარგმართოთ მოსწავლეთა და ჯგუფების, გადაადგილების პროცესი და არ მოვერიდოთ თანმხლებ სირთულეებს;
- ჯგუფების მუშაობის დროს მასწავლებელი შეიძლება მოგვევლინოს დამკვირვებელად, ინფორმაციის წყაროდ, რიგით მონაწილედ ან კონსულტანტად. ყველა ამ როლის კომბინირება და მონაცელეობა უზრუნველყოფს დავალების წარმატებას;
- ჯგუფური მუშაობა წყდება მაშინ, როცა ჯგუფების უმრავლესობა მზადაა შედეგის წარმოსადგენად. დაგვიანებული ჯგუფების გამო არ უნდა დაზარალდნენ უფრო სწრაფი და აქტიური მონაწილეები;
- მუშაობის დასასრულს მიეცით მოსწავლეებს დრო შედეგების პრეზენტაციისა და განხილვისთვის. ამ დროს მასწავლებლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა მიერ მიღებულ შედეგებში დადგებითი მხარეების წინა პლანზე წამოწევა და ინიციატივის წახალისება.

ქცევის წესები

ამ თავის წარითავის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს კლასში ქცევის წესები და პროცედურები;

როგორ უნდა მოვიქცეთ წესების შემუშავებისას;

როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან წესრიგის დარღვევა;

რა ზომებს უნდა მივმართოთ წესების დარღვევის შემთხვევაში.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს შემდეგი მონოლოგით: „ბაგშებო, მე მინდა გაგაცნოთ კლასში ქცევის წესები, რომლებიც მოელი წლის მანძილზე უნდა დაიცვათ. პირველი, არავითარი დაგვიანება; მეორე, კლასში აკრძალულია სირბილი, ხმაური და ჩხუბი; და მესამე, გაგეთილზე მე ვერ ავიტან უწესრიგო და მოუმზადებელ მოსწავლეს. იმედია, თქვენთვის ამ წესების გამეორება აღარ დამჭირდება და მაშინ ჩვენ უპრობლემოდ ვიმუშავებთ მთელი წლის განმავლობაში.”

როგორ შეაფასებდით ამ მიმართვას? რამდენად ევექტური იქნება ქცევის წესების ამ ფორმით მიწოდება მოსწავლეთათვის? რატომ?

2. რა გზით შეიძლება კლასში შევქმნათ გარემო, სადაც წესრიგის დარღვევა იშვიათი მოვლენა იქნება?

3. რა ხერხებს იყენებთ მოსწავლეების მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში?

მასწავლებელთა დიდი ნაწილი ახალ კლასთან შეხვედრას მოსწავლების გაცნობასთან ერთად ერთობლივი მუშაობის ძირითად წესებზე საუბრით იწყებს. ეს ბუნებრივიცაა. მასწავლებელი პირველი დღიდანვე ზრუნავს იმაზე, რომ შექმნას ეფექტიანი სასწავლო გარემო, ანუ გარემო, სადაც მოსწავლეს ყველა პირობა აქვს, რომ ისწავლოს და დასახულ სასწავლო მიზნებს მიაღწიოს. ეს კი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სწორად ორგანიზებულ გარემოში, რომელშიც მუშაობის წესები და პრინციპები ყველასთვის კარგადაა ცნობილი და ამიტომაც მათ დაცვაზე, ყოველდღიური საჭიროებებისა და დეტალების მოგვარებაზე მინიმალური დრო იხარჯება. მხოლოდ მაშინ შეიძლება მოსწავლეთა მთელი დრო და ენერგია უშეალოდ სწავლისაკენ მიგმართოთ, როცა გაკვეთილს აქვს ნათელი სტრუქტურა, როცა მოსწავლეებმა ზუსტად იციან, რა ეჩატავ რას ელის მათგან მასწავლებელი, როდის რა ქმედება მისაღები და რა – მიუღებელი. ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობა ქცევის წესების შემუშავება და მათი თანმიმდევრულად გატარებაა.

წესებზე საუბრისას გამოყოფენ თრ ჯგუფს:

- ა) ზოგადი წესები, ანუ საქმაოდ მრავლისმომცველი ფორმულირება იმისა, თუ რაგვარ საქციელს მოელის მასწავლებელი მოსწავლეებისგან (მაგ. „ყურადღებით ვიყოთ გაკვეთილზე და შევასრულოთ ყველა დავალება“);
- ბ) კონკრეტული პროცედურები, ანუ უფრო დეტალური განმარტება იმისა, თუ როგორ განვახორციელოთ ესა თუ ის ქმედება.

წესები

ქცევის წესების შემუშავება არც ისე მარტივია, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩენოს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ წესებმა უნდა არეგულიროს მოსწავლეთა მოქმედებები გარკვეული დროის განმავლობაში. ამიტომ ლოგიკურია, რომ მათ შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი სწორედ მოსწავლეებმა შეასრულონ. ქცევის წესები ყველაზე შედეგიანია მაშინ, როცა ისინი მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის პროდუქტია. ამ შემთხვევაში მოსწავლეებს უნდებათ პასუხისმგებლობის შეგრძნება. წესების შემუშავების პროცესის სწორად წარმართვისთვის აუცილებელია გვახსოვდეს, რომ:

1. სასურველია, წესების რაოდენობა არ აღემატებოდეს 4-6-ს. ამაზე მეტი უკვე მნელად დასამახსოვრებელია მოსწავლეებისთვის და მნელად გასატარებელი მასწავლებლისათვის. სასურველია, მოვერიდოთ საერთო სასკოლო წესების, ან მოსწავლეობა ქცევის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების გამეორებას, რადგან მათი დაცვა თავისთავად მოეთხოვება ყველა მოსწავლეს;

2. წესები უთუოდ უნდა ჩამოყალიბდეს პოზიტიური ფორმით, ანუ მოვერდოთ სიტყვებს „ნუ“, „არ“, „აკრძალულია“. ასევე, სასურველია, წესი მასწავლებელზეც ვრცელდებოდეს. მაგალითად, ხაცვლად წესისა „ნუ იჩხუბებთ“, ფორმულირება ასეთი უნდა იყოს: „კონფლიქტები მშვიდობიანად მოვაგაროთ“;

3. წესები ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს ფორმულირებული. მაგალითად, ფრაზები, როგორიცაა „კარგი საქციელი“, „უწესრიგო“, „ხშირი დარღვევა“ შეიძლება დამაბნევებით აღმოჩნდეს, რადგან, შესაძლოა, მოსწავლეებმა მათ სხვადასხვა ინტერაქცია მისცენ. თუმცა, შესაძლებელია, კონკრეტულ წესებს დავამატოთ ერთი საკმაოდ ზოგადიც, რომელიც მოიცავს ყველა იმ ასპექტს, რომლებიც დანარჩენი წესების მიღმა დარჩა. მაგალითად, „პატივი ვცეთ როგორც საკუთარ თავს, ასევე სხვებს“;

4. როგორიც არ უნდა იყოს წესი, კონკრეტული თუ ზოგადი, მას აუცილებლად სჭირდება განმარტება და სერიოზული განხილვა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ მისი გათავისება. მათ აუცილებლად ზუსტად უნდა ესმოდეთ, რას გულისხმობს ეს წესი და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის დარღვევას. სწავლის დაწყებიდან პირველი 2-3 კვირის მანძილზე წესების განხილვას ხშირად უნდა დავუბრუნდეთ, მაგალითად, მოვაწყოთ დისკუსია. რაც არ უნდა გასაგებად ავსხნათ წესი თავიდან, მაინც არაერთხელ მოგვიწევს მასთან დაბრუნება და მოსწავლეებისთვის შეხსენება. ყოველივე ეს საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ, უდავოა, რომ დახარჯული დრო მთელი წლის განმავლობაში დისციპლინის მრავალი დარღვევის თავიდან აცილებით ანაზღაურდება;

5. მოსწავლეები არ დაემორჩილებიან წესს, თუ მას უმნიშვნელოდ მიიჩნევენ. მათ უნდა იცოდნენ, რომ ეს წესი არსებობს არამხოლოდ იმიტომ, რომ მასწავლებელმა ასე მოისურვა. დაუქსაბუთოთ მოსწავლეებს, რომ კლასში ქცევის წესები ემსახურება მათივე მიზნების მიღწევას. ეს მიზნები კი შეიძლება იყოს

როგორც სასწავლო (მაგალითად, მასალის ან კონკრეტული უნარ-ჩვევის დაუფლება), ასევე სოციალური ხასიათისა (მაგალითად, თანაკლასექლთა პატივისცემა). წესის დაცვა გაცილებით უფრო ადგილად შეიძლება უხრუბრევლეყოთ, თუ წესი თავად მოსწავლეების მონაცილეობითაა შემუშავებული;

6. წესები უნდა გამოვაკრათ თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებს ეს ჩამონათვალი მუდამ თვალწინ ჰქონდეთ და, საჭიროების შემთხვევაში, ხელის უბრალო მოძრაობით შეგვებლოს მათზე მინიშნება.

პროცედურები


პროცედურა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც არაფორმალური წესი, რომელიც იმას გულისხმობს, თუ კონკრეტულად რა და როგორ უნდა გაეკოდეს. სწორედ პროცედურების ერთობლიობა აყალიბებს გაკვეთილის სტრუქტურას. დადგენილი პროცედურების განხორციელება სისტემატური, რუტინული, ყოველდღიური უნდა გახდეს, ანუ მოსწავლე მათ უნდა ასრულებდეს ჩვევის დონეზე, მექნიკურად, თითქმის გაუაზრებლად. მაგალითად, თუ გვინდა პრაქტიკულად განხორციელდეს წესი „ზარის დარეკვისას ყველა და ყველაფერი მზად უნდა იყოს გაკვეთილისთვის“, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რა ნივთები დასჭირდებათ (მაგ. ფანქარი, ფარგალი), შევაჩიოთ ისინი, რომ საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე მერხზე დააღავონ ყველა ეს ნივთი, ვასწავლოთ, სად უნდა იყოს ჩანთა გაკვეთილის განმავლობაში და ა.შ. მაშასადამე რუტინა არის ხშირი გამეორებით დასწავლილი ქმედება, ან მოსწავლის რეაქცია მასწავლებლის მინიშნებაზე. გამოცდილ მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ ამგვარი რუტინა ყველა სტანდარტული სიტუაციისთვის (მაგალითად, გაკვეთილის დაწყება, დამთავრება, დავალების რვეულების აკრება, გარეთ გასვლის თხოვნა) და სწავლის დაწყებიდან პირველ თრ კვირას მაინც დიდ დროს უთმობენ ამ პროცედურების ყველა მოსწავლისათვის სწავლებას, სანამ ეს ცოდნა მექანიკურ ჩვევაში არ გადავა. საწინააღმდეგო შემთხვევაში, ერთსა და იმავე საორგანიზაციო საკითხზე საუბარი და შენიშვნების მიცემა მათ მთელი წლის განმავლობაში უხდებათ, რასაც გაცილებით მეტი დრო მიაქვს.

რაც უფრო მაღალ კლასში არიან მოსწავლეები, მით ნაკლებ დროს უთმობენ მასწავლებლები პროცედურებზე მუშაობას, რადგან ითვლება, რომ მათი ძირითადი ნაწილი მოსწავლეებისთვის უკვე დაწყებითი კლასებიდანაა ცნობილი. თუმცა არც ერთ ეტაპზე არ შეიძლება მათი სრული უგულვებელყოფა, მითუმეტეს, რომ მაღალ კლასებში ჩნდება სრულიად ახალი პროცედურების დაუფლებლობა

(მაგალითად, ქიმიის დაბორატორიაში ცდების ჩატარებისთვის საჭირო უსაფრთხოების ზომები).

ქცევის წესებისა და პროცედურების დაცვა

როგორც ქცევის წესების შემუშავებისას, ისე მათი დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და გატარების დროს გადამწყვეტი ფაქტორია, თუ განვითარების რა საფეხურზე იმყოფებიან მოსწავლეები. სწორედ მათი ასაკობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე გადაწყვეტს მასწავლებელი, რა ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს წესები და რა სტრატეგიები უფრო შედეგიანი იქნება მათი დაცვისათვის.



საფეხური	ასაკობრივი მახასიათებლები	სტრატეგიები
I - III კლასები	<ul style="list-style-type: none"> • არ იცნობენ კლასზი ქცევის უმარტივეს წესებს; • უჭირთ უურადღების ხანგრძლივი დროით კონცენტრაცია; • მასწავლებლის შექმბა და მოწონება მათთვის უადრესად მნიშვნელოვანია; • სკოლა, როგორც უცხო გარემო, იწვევს მღელვარებას, განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ გაუვლია საბავშვო ბაღი; 	<ul style="list-style-type: none"> • ნათლად და მარტივად ჩამოყალიბებული ქცევის წესები; • ქცევის წესების დაცვისთვის ხშირი წახალისება; • წესის დარღვევისას მსუბუქი, მაგრამ თანმიმდევრული ზომები; • პირველი დღეებიდანვე თბილი ურთიერთობის დამყარება თოთოვეულ მოსწავლესთან
IV - VI კლასები	<ul style="list-style-type: none"> • მასწავლებლის მოწონება კვლავ მნიშვნელოვანია, მაგრამ თანატოლთა აზრი უფროდაუფრო მეტ წონას იძენს; • უურადღებას აქცევენ მასწავლებლის ემოციების ყველა გამოვლინებას (მაგ. მასწავლებლის დიმილს ან წესილს პრობლემურ სიტუაციებში); • თანდათან ყალიბდება საკუთარი და 	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეებთან აკადემიურ თუ სოციალურ საკითხებზე რეგულარული კომუნიკაციის გზების ძიება, მაგ. დღიურების წერა და ა.შ.; • სიტყვითაც და საქმითაც დამტკიცება, რომ მოსწავლეთა აკადემიური წინსვლა და კეთილდღეობა წვენთვის მნიშვნელოვანია;

	<p>სხვათა გრძნობებისა და მოტივების გააზრების უნარი;</p> <ul style="list-style-type: none"> • ხშირი აკადემიური ან სოციალური პრობლემების შემთხვევაში ჩნდება სკოლის გან თავის დაღწევის მზარდი სურვილი. 	<ul style="list-style-type: none"> • წახალისება იმისა, რომ მოსწავლეებმა იფიქრონ ერთმანეთის გრძნობებზე, განსაკუთრებით კონფლიქტის და უთანხმოების შემთხვევაში; • არამოტივირებულ პრობლემურ მოსწავლეებთან ახლო ურთიერთობის შენარჩუნება.
VII-IX კლ.	<ul style="list-style-type: none"> • მასწავლებლებთან ნაკლებ თბილი ურთიერთობა ყალიბდება; • ხშირია მასწავლებლის მოტყუების მცდელობა; • თანაბროლების აზრი და მათ შორის პოპულარობა უდიდეს მნიშვნელობას იძენს; • ხშირდება უხეში ქცევის და სხვათა დაშინების მცდლობები. 	<ul style="list-style-type: none"> • მოსწავლეებთან ერთად კლასგარეშე დონისძიებებში მონაწილეობა; • მოსწავლეები ნაკლებად ცდილობენ მოატყუონ მასწავლებელი, ვისგანაც პატივისცემს და მხარდაჭერას გრძნობენ, მაგრამ კურადღების მოდუნება მაინც დაუშვებელია; • თანაბარი კურადღება უხეშის და აგრესის ყველა გამოყლინების მიმართ: ასეთი ქცევის ფარული მიზეზების კვლევა;
X-XII კლ.	<ul style="list-style-type: none"> • ხშირად ხწავლის ნაცვლად სოციალური და რომანტიული ურთიერთობები ჰქცევა ყურადღების ცენტრში; • ხშირია თანაკლასელთა უარყოფითი დამოკიდებულება იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებიც მასწავლებლის ქების დამსახურებას ცდილობენ; • ქცევის ნორმების დარღვევა თანატოლებში პოპულარობის მოხვეჭის გზად მიიჩნევა; • ძალადობის და აგრესის ტენდენცია ძლიერდება. 	<ul style="list-style-type: none"> • დონისძიებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას ემსახურება როგორც კლასში, ისე კლასის გარეთ; • მოსწავლის შექება პირადი შეხვედრისას და არა მთელი კლასის წინაშე; • პრობლემური ქცევის და მისი უარყოფითი შედეგების განხილვა მოსწავლეებთან ერთად.

		<ul style="list-style-type: none"> • აგრესის საწინააღმდეგო წინასწარი ზომები ძალადობის თავიდან ასაცილებლად.
--	--	---

რა თქმა უნდა, არის ტენდენციები, რაც საერთოა ყველა საფეხურისთვის. მკლევართა უმრავლესობა ამტკიცებს, რომ კარგი საქციელისთვის მოსწავლის შექმნა, წახალისება გაცილებით უფრო ეფექტიანი სტრატეგიაა დისციპლინის დაცვისათვის, ვიდრე წესის დარღვევის გამო მისი დასჯა. ამიტომ წარმატებული მასწავლებლები პრევენციას (წინასწარი დონისძიებები უარყოფითი ქმედების თავიდან ასაცილებლად) და რეაქციას შორის არჩევანს პირველის სასარგებლოდ აკომედებს. ისინი ახერხებენ, დარღვევა თავიდან აიცილონ, ან მისი პირველი სიმპტომების გამომჟღავნებისთანავე აღკვეთონ იგი. სერიოზული დარღვევის შემდგომი რეაგირება არასოდესაა ასე ეფექტური.

პრევენცია

ქცევის წესების დარღვევა და დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივის-ცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა შექმნილი. ამგარი გარემოს შექმნისთვის კი უნდა გვახსოვდეს, რომ

- მოსწავლე მეტი ხალისით ემორჩილება მასწავლებელს, რომელიც უყვარს და რომელსაც პატივს სცემს. ამიტომ, ვიცნობდეთ მოსწავლეებს, მათ მდგომარეობას და ხასიათს, ვეცადოთ, ვაგრძნობინოთ ჩვენი მზრუნველობა. წესებს თბილი ურთიერთობის გარეშე „აჯანყებამდე“ მივყაროთ;
- მოსწავლეს არ სცალია წესების დასარღვევად, როცა იგი საქმითად დაკავებული. ამიტომ დეტალურად დაგვგეგმოთ გაპვეთოლი და შევეცადოთ, მთელი დრო საინტერესო, მნიშვნელოვანი დაგალებებით შევასოთ;
- მოსწავლის ქცევაზე დადებითად აისახება, როცა მან იცის, რომ მასწავლებლები თანამშრომლობენ მის მშობლებთან და ოჯახის წევრებთან. ანუ ყველა უფროსი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს მის ცხოვრებაში, ერთობლივი ძალებით იღწვის

მისივე კეთილდღეობისთვის;

• მასწავლებლის მაგალითს ხშირად მეტი ძალა აქვს, ვიდრე ათეულობით წესს და მეაცრ მოთხოვნას. წესს, რომელსაც მასწავლებელი თავად ემორჩილება, სამართლიანად და აუცილებლად მიიჩნევენ მოსწავლეებიც.

მასწავლებელს არ ავიწყდება საყვედურის თქმა, თუ გაპვეთილის განმავლობაში მოსწავლემ ერთხელ მაინც დაარღვია რომელიმე წესი. მაგალითთად, დამოუკიდებელი მუშაობისას გადაულაპარაკა გვერდით მჯდომ მეტობარს. ეს, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, იგივე მოსწავლე შევაქოთ, თუ მან შეძლო მოელი გაკვეთილის განმავლობაში არც ერთხელ არ გადაეხვია წინასწარ დადგენილი წესებისათვის. „გამოვტკიროთ“ მოსწავლე კარგი ქცევის მომენტში და არა მარტო წესრიგის დარღვევისას. შექება (ხშირ შემთხვევაში) ხტიობლია იმ მოსწავლისთვის, ვინც იგი დაიმსახურა, ამასთან, დანარჩენი კლასის ყურადღებასაც მიაპყრობს პოზიტიურ მაგალითს. მოსწავლის შექებისას, სასურველია, გავითვალისწინოთ რამდენიმე რჩევა:

1. შევაქოთ კონკრეტული ქმედება, კონკრეტული წესის კარგად შესრულება. ზოგადი ფრაზები (მაგ. კარგია, ყოჩად) მალე ცვდება და თან მოსწავლისთვის შეიძლება ბუნდოვანი დარჩეს, რისთვის დაიმსახურა ეს შექება. ამიტომ, უმჯობესია, დავაკონკრეტოთ რას ვგულისხმობთ. მაგ. „ააა, შენი წიგნები არაწვეულებრივად სუფთა და მოწესრიგებულია, ყოჩად.“;

2. დავაჯილდოთ მონძომება, მცდელობა და არა შედეგი. თუ ეხედავთ მოსწავლის ქცევაში პროგრესს, თუნდაც იგი მთლიანად ვერ ახერხებდეს ჩვენი მოთხოვნების დაქმაყოფილებას, შევაქოთ იგი და ვაგრძნობინოთ, რომ მისი მცდელობა მხედველობიდან არ გვრჩება;

3. მშობელთან დარეკვას, ან წერილს მასწავლებლები ძირითადად სერიოზული დარღვევების შემთხვევაში მიმართავენ. მაგრამ რატომ არ უნდა შევატყობინოთ მშობლებს მოსწავლის წარმატებები? ბევრი მასწავლებლის დაკვირვებით, ეს ხერხი უაღრესად უვარებულია მოსწავლეების მოტივაციის გასაძლიერებლად.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გამართლებულია მოსწავლეთა წახალისების მიზნით რამესახის ჯილდოს დაწესება. ასეთი ჯილდო შეიძლება იყოს მაგალითად სტიკერი (ჩასაწებელი ფერადი სურათი), რამე პრივილეგია (მაგ. ჯგუფის ლიდერად დანიშნა), მოსწავლეების საყვარელი აქტივობა (მაგ. თამაში) და ა.შ. როგორც ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, არის სა-

ფრთხე, რომ ამ წახალისებამ ერთგვარი მოქრთამგის სახე მიიღოს. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, შეთანხმება წინასწარ უნდა შედგეს და არავთარ შემთხვევაში დარღვევის შემდეგ. ყოვლად გაუმართლებელია, მოსწავლეს, რომელიც ნებართვის გარეშე დადის კლასში, მივმართოთ:

ო. გვ. 78

„გიო, თუ ახლავე დაუბრუნდები შენს ადგილს, დღეს შენ იქნები გუნდის კაპიტანი“. ფაქტობრივად, მოსწავლე ჯილდოვდება ცუდი საქციელისოვის, ხოლო სხვები, ვისაც წესრიგი არ დაურღვევია, მასწავლებლის ყურადღების მიღმა რჩებიან. ეს არის სტიმული მოსწავლეებისათვის მომავალშიც წესრიგის დარღვევის გზით გამოსტყონ მასწავლებელს ჯილდო.

წახალისებისა და კარგი ქცევის დაჯილდოების საკითხები უფრო დეტალურად განხილულია თავში ქცევის თვითმართვის შესახებ.

რეაქცია

რაც უნდა წარმატებით გამოვიყენოთ პრევენციის ხერხები, ქცევის წესებისა და პროცედურების დარღვევის შემთხვევები კლასში მაინც იქნება. მასწავლებლის პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, თუ რამდენად აღრეულ ეტაპზე შენიშვნას იგი დისციპლინის დარღვევის ნიშნებს და რამდენად სწრაფად და უმტკიცნეულოდ მოახერხებს მათ ადგეთას.

არის შემთხვევები, როცა დარღვევის იგნორირება გამართლებულია. უნდა გვასხოვდეს, რომ მასწავლებლის რეაგირების შედეგად მთელი კლასის ყურადღება პრობლემურ ქცევაზე გადადის. ჯერ ერთი, ეს აბროლებს გაკვეთილის ნორმალურ მიმდინარეობას და მეორეც, წესრიგის დამრღვევს შეიძლება საყოველთაო ყურადღება სასურველადაც მიაჩნდეს. ამ მიზეზების გამო, მასწავლებელმა შეიძლება თვალი აარიდოს დარღვევას, თუ

- ეს გამონაკლისი შემთხვევაა, ან გამოწვეულია უზვეულო გარემო პირობებით (მაგ. სასწავლო წლის ბოლო დღე, ან მოსწავლეების პირად ცხოვრებაში რამე განსაკუთრებული ხდება);
- ქცევა ბუნებრივია მოსწავლეთა განვითარების მოცემულ საფეხურზე (მაგ. დაწყებითი კლასების მოსწავლეების მოუსვენრობა ხანგრძლივად ერთ ადგილზე ჯდომის შემდეგ);
- დარღვევა ხელს არ უშლის სასწავლო პროცესს და არ

მიიპყრობს მოსწავლეების უურადღებას (მაგ. გიამ დავალების მიცემის შემდეგ ამოიღო ჩანთიდან ფანქარი, რომელიც წესის მიხედვით თავიდანვე მერხზე უნდა ყოფილიყო).

მაშინაც კი, როცა მასწავლებელი ჩარევას საჭიროდ ჩათვლის, უნდა ვეცადოთ, წესრიგის დამრღვევი, რამდენადაც შესაძლებელია, შეუმჩნევლად დავუპირუონო სამუშაოს. მაგალითად, როცა მასალის ახსნისას შევნიშნავთ, რომ ერთი მოსწავლე სხვა რამითაა დაკავებული, შეიძლება რამე ესტრიტ ვანიშნოთ ჩვენი უკმაყოფილება, ან, უპრალოდ, დავდგეთ მასთან ახლოს. შეიძლება, ასევე, ბუნებრივად ჩაეურთოთ მისი სახელი საუბარში, მაგ. „ამ რიცხვების ჯამი, ნინო, როგორც ჩვენ უპვე ვიციო, ტოლია...“.

როცა ამგვარი ტაქტიანი მცდელობა უშედეგოა, მასწავლებლი იმულებულია, სხვა ზომებს მიმართოს. წლის დასაწესში წესების შემუშავებისთანავე უნდა განისაზღვროს, რა სახის დარღვევას რა რეაგირება მოჰყვება. აუცილებელია, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა უკეთა ამ ზომას არასასიამოვნოდ, მაგრამ სამართლიანად და დარღვევის შესაფერისად მისწნევდეს. სშირ შემთხვევაში ჩამონათვალი 3-დან 7-მდე სხვადასხვა დონისძიებას მოიცავს.

ქვემოთ მოყვანილია ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება დალაგდეს დისკიპლინის დარღვევისთვის გათვალისწინებული ზომები ნაკლებ სერიოზულიდან უფრო სერიოზულამდე:

1. სიტყვიერი შეხერხება, რომ უპვე განხილული და შეთანხმებული წესებიდან ერთ-ერთი ისრუება;
2. შეხერხების 5 წეთის დაკარგვა (ამ დროში მოსწავლე ახრულებს რამე დავალებას გაკვეთილზე დაკარგული დროის ასანაზურებლად);
3. შეხერხების 10 წეთის დაკარგვა (ან გაკვეთილების შემდეგ 10 წეთით დატოვება);
4. გაკვეთილების შემდეგ 20 წეთით დატოვება;
5. შეხერხების მოყლი დროის დაკარგვა და სატელეფონო ზარი შეიძლებოთან;
6. მოსწავლის გაგ ზაგნა დირექტორთან, ან დირექტორის მოადგილებთან.

იმისთვის, რომ წინასწარ შემუშავებულმა ზომებმა შედეგი გამოიდოს, მასწავლებელი უთუოდ ბოლომდე თანმიმდევრული უნდა იყოს. თუ დადგენილი წესი დაირღვა, ამას რეაგირება უნდა მოჰყვეს იმისდა მიუხედავად, ვინ ჩაიდინა ეს, ან რამდენად მნიშვნელოვანი საქმით ვიყავით დაკავებული, როცა ეს მოხდა. თუნდაც ერთი გამონაკლისის დაშვება უაღრესად სახიფათო პრეცენდენტს ქმნის. ამიტომაც

ექსპერტები გვირჩევენ, რომ არ შემოვიდოთ წესი, თუ არა ვართ მზად იგი ყოველთვის, ეველა პირობებში დავიცხათ.

ეს სიმტკიცე და თანმიმდევრულობა უთუოდ უნდა შეერწყას მოსწავლისადმი ტაქტიან, მზრუნველ დამოკიდებულებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ კლასთან ურთიერთობაში მასწავლებლის მთავარი იარაღი სიმშვიდეა. აღელვებულ მასწავლებელს გაუჭირდება, გამოიყენოს მთელი თავისი სიბრძნე, გამოცდილება და სოციალური უნარ-ჩვეულები პრობლემის გადაჭრისთვის. ამასთან, ემოცია გადამდებია. მასწავლებლის რისხვაში შეიძლება აგრესია გამოიწვიოს მოსწავლეებში, ან პირიქით, გაართოს ისინი (ძირითად უფრო სი კლასების მოსწავლეების შემთხვევაში). ამიტომ, სასურველია, გავითვალისწინოთ რამდენიმე რჩევა:

- არც ერთ პრობლემურ სიტუაციაში არ უნდა გადავცდეთ ტაქტის და თავაზიანობის საზღვრებს. თუ შესაძლებელია, უმჯობესია სერიოზული შენიშვნა მოსწავლეს პირადი საუბრისას, და არა მთელი კლასის წინაშე, მივცეთ;
- ჟველა შენიშვნა უნდა ესებოდეს კონკრეტულ საქციელს, მოქმედებას და არა მოსწავლის პიროვნებას. მაშინ იგი ნაკლებად შეურაცხმულობელია და ნაკლებ აგრესიასაც იწვევს მოსწავლის მხრიდან;
- ჟველა შენიშვნა უნდა იყოს კონკრეტული და ლაკონური; მოვერიდოთ მოსწავლესთან დებატებში შესვლას ამა თუ იმ საქციელის თოაბაზე. დარღვევის მომენტში ჩვენი პრიორიტეტი უნდა იყოს ნორმალური სასწავლო პროცესის რაც შეიძლება სწრაფად ადგანა. საქციელის დეტალური განხილვისთვის სხვა, უფრო შესაფერისი დრო შეიძლება შევარჩიოთ, როცა ორივე მხარე შეძლებს დაწყნარებულად მსჯელობას;
- შევეცადოთ, დავივიწყოთ დაძაბულობის შესახებ, როგორც კი მოსწავლე დაქმორჩილება ჩვენს მოთხოვნას. მადლობა გადაგუხადოთ მას სწრაფი რეაგირებისთვის და ვაგრძნობინოთ, რომ სწორედ ამგვარ საქციელს ველით მისგან მომავალშიც.

კლასის მართვის თვალსაზრისით, მასწავლებლის გამარჯვება არის არა მოსწავლის დამორჩილება, არამედ ის, რომ მოსწავლე სწავლობს ახალ, უფრო სწორ, კლასისთვის შესაფერ და სოციალურად გამართლებულ ქცევას.

თქვენ უმაგ შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწევის შემცირებულ უკულა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაუცით პასუხები.

მირითადი დასკგნები და რეკომენდაციები:

- გაპეტოლის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მისი სტრუქტურის დადგენა, რაც ყოველდღიური ქცევის წესების შემუშავებას და მათ თანმიმდევრულ გატარებას გულისხმობს;
- ქცევის წესები უნდა იყოს ადვილად გასაგები და დასამასხოვრებელი, პოზიტიური ფორმით, ნათლად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული;
- პროცედურა განსაზღვრავს ქცევის წესის განხორციელების კონკრეტულ გზებს. პროცედურის დაცვა რუტინის სახეს იღებს;
- ქცევის წესებსა და პროცედურებზე მუშაობას მასწავლებელმა დიდი დრო უნდა დაუთმოს, განსაკუთრებით, სწავლის დაწყებიდან 2-3 კვირის განმავლობაში;
- წესების დაცვის გამო მოსწავლის წახალისება გაცილებით უფრო ეფექტური სტარტეგიაა დისციპლინის დაცვისათვის, ვიდრე წესის დარღვევის გამო მისი დასჯა. ამდენად, მასწავლებელმა უნდა იცოდეს, თუ როგორი ზომები მიიღოს წესის დარღვევის შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა გზით შეიძლება დარღვევების თავიდან აცილება.

ქცევის თვითმართვა

ამ თავის წარითხების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს ქცევის თვითმართვა;

რას გულისხმობს სამიზნე ქცევა და როგორია მასწავლებლის როლი სამიზნე ქცევის განსაზღვრაში;

როგორ უნდა წარიმართოს თვითდაკვირვების პროცესი;

რა შემთხვევაშია უმჯობესი „განმტკიცების“ სხვადასხვა ფორმის გამოყენება.

სიტუაცია

გაკვეთილზე ნუცა ხშირად ნებართვის გარეშე იწყებს ლაპარაკს. მასწავლებლის დასმულ შეკითხვაზე პასუხს ხელის აწევის გარეშე წამოიძახებს და დაფიქრებას არავის აცლის. ნაჩქარევი პასუხები ყოველთვის სწორი როდია, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის, სხვა დროსაც იგივე გაიმეოროს. დისკუსიის დროსაც ხშირად შეაწყვეტინებს თანაკლასელებს საუბარს და არავის აცლის აზრის დასრულებას. მასწავლებელმა სცადა, ტაქტიანად მიენიშნებინა ნუცასთვის, რომ ნებართვის გარეშე ლაპარაკის დაწყება ეწინააღმდეგება კლასში ქცევის წესებს. როცა ამან შედეგი არ გამოიღო, გაკვეთილის შემდეგ დაიბარა და პირადად ესაუბრა. ნუცა დაეთანხმა მასწავლებელს, რომ მისი ქცევა მიუღებელია და დაპირდა, რომ ეს აღარ განმეორდებოდა. მეორე დღეს იგი მაქსიმალურად შეეცადა თავისი დაპირება შეესრულებინა, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. მესამე დღიდან ნუცა კვლავ ძველებურად იქცეოდა.

ნუცა გრძნობს, რომ მისი ქცევა ხელს უშლის მასაც და თანაკლასულებსაც, მაგრამ უჭირს ქცევის შეცვლა. რა ხერხს შეიძლება მიმართოს მასწავლებელმა, რომ დაეხმაროს ნუცას ამ პრობლემის დაძლევაში?

არ არის ადვილი, უზრუნველვყოთ მოსწავლის ადეპგატური ქცევა კლასება და სკოლაში. კიდევ უფრო როგორია, ვასწავლოთ მოსწავლეს, თუ როგორ აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარ მოქმედებებზე, ჩამოვუყალიბოთ მას ქცევის თვითმართვის უნარ-ჩვევები. სწორედ ეს წარმოადგენს მასწავლებლის უნიშვნელოვანებას ამოცანას.

თვითმართვა არის ადამიანის უნარი, გააცნობიეროს და მართოს საკუთარი ქცევა. აქ იგულისხმება მოსწავლის უნარი, თავად დაისახოს მიზანი (მაგალითად, რომელიმე კონკრეტული ქცევის შეცვლა), ხოლო შემდეგ დაგეგმოს და განახორციელოს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ღონისძიებები. იმის გადასაწყვეტად, რომელი ქცევა უნდა შევცვალოთ და რომელი შევინარჩუნოთ, აუცილებელია ზუსტად ვაფასებდეთ ჩვენს ქმედებებს. მოსწავლეებს საგმაოდ უჭირთ საკუთარი ქცევის ობიექტურად შეფასება. მაგალითად, მოსწავლე შეიძლება ვერც ხვდებოდეს, რომ საკლასო დავალებისთვის გამოყოფილი დროის ნახვარზე მეტს კლასის თვალიერებასა და მერჩე წრიალში ატარებს. ამდენად, ის ვერ ხვდება, რატომ ვერ ასწრებს დავალების დასრულებას და რატომაა მისი შედეგები ასე დაბალი. ამიტომაც ქცევის თვითმართვის სხვადასხვა ასპექტს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის უნარები და სტრატეგიები, რომლებსაც მოსწავლე იყენებს საკუთარ ქცევაზე დაკვირვებისა და საჭირო ცვლილებების განხორციელებისათვის. ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისთვის მოსწავლემ და მასწავლებების ერთად უნდა იმუშაონ. ეს არის საკმაოდ როგორი პროცესი, რომელიც რამდენიმე ეტაპად შეიძლება დაიყოს:

- I. მიზნის (სამიზნე ქცევის) განსაზღვრა;
- II. თვითდაპვირვების მეთოდის შემუშავება;
- III. წახალისების ფორმების შერჩევა;
- IV. თვითდაპვირვების სისტემის გამოყენება;
- V. თვითგანმტკიცება.

I. მიზნის განსაზღვრა

მოსწავლე და მასწავლებელი ერთად განსაზღვრავენ, მოსწავლის რა ქმედებაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. მგვარი ქმედებების არჩევანი საქმაოდ ფართოა და დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აღიქვამს ორივე მხარე განსაკუთრებით პრობლემურად. სწორედ იმ ქცევას, რომლის შეცვლას ან ჩამოყალიბებასაც ვისახავთ მიზნად, შეიძლება ვუწოდოთ სამიზნე ქცევა.

ბუნებრივია, რომ მოსწავლეები მეტად არიან დაინტერესებული მიზნის მიღწევით და ამიტომ მეტსაც აღწევენ, როცა ეს მიზანი თავს მოხვეული კი არა, მათ მიერვეა განსაზღვრული. ეს ფაქტორი არსებითია თვითმართვის უნარის განვითარებისთვის. ამიტომ, სასურველია, შევქმნათ სიტუაციები, სადაც მოსწავლე თავად შეძლებს, გადაწყვიტოს, რა მიზნის მიღწევა სურს. მაგალითად, შეიძლება ვკითხოთ მას, რამდენი ახალი ინგლისური სიტყვის სწავლას შეძლებს თემის დასრულებამდე, ან რამდენ ხანში შეძლებს თანაკლასელთან კონფლიქტის მოგვარებას.

მასწავლებლის ტაქტსა და პროფესიონალურობა დამოკიდებული, რომ ქცევა, რომელიც მასწავლებელს პრობლემურად მიაჩნია, მოსწავლისთვისაც იქცეს მიზნად. არც თუ ისე რთულია, გავაღვიძოთ მოსწავლის ღირსების შეგრძნება, მისი სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა და დავანახოთ მას, რომ მისი ქცევა გავლენას ახდენს არა მხოლოდ მისივე, არამედ სხვების ყოფაზეც.

სამიზნე ქცევად შეიძლება იქცეს კლასში სავარჯიშოს დროზე დასრულება, საშინაო დავაღების ჩაბარება, საკუთარ აღგილზე ყოფნა მთელი გაკვეთილის მანძილზე, მასწავლებლის შეკითხვაზე პასუხის გაცემის ფორმა, შესასრულებელ სამუშაოზე ყურადღების კონცენტრაცია, თანაკლასელებისადმი მიმართვის ფორმები და ა.შ.

იხ.
I -
გვ. 77

სასურველია, თვითმართვის პროცესის მიზნად განისაზღვროს პოზიტიური ქცევა და არა წესრიგის დარღვევა. მაგალითად, მოსწავლის ყურადღება შეიძლება მივაპყროთ იმას, თუ რამდენჯერ შეგვაწყვეტინა მან გაკვეთილი უადგილო წამოძახილით ან შეკითხვით. თუმცა უფრო ეფექტური იქნება, თუ ამის ნაცვლად იგი აღრიცხავს, რამდენჯერ ანიშნა მან მასწავლებელს ხელის აწევით (ანუ დადგენილი წესის მიხედვით) აზრის გამოთქმის სურვილი და გამოძახებისას დასვა გაკვეთილთან დაკავშირებული შეკითხვა. დადებით, მისაღებ ქცევაზე ყურადღების გამახვილებით მასწავლებელი საზს უცვამს, რომ მთელი ამ პროცესის მიზანია სასურველი ქცევის განმტკიცება,

და არა წესის დარღვევისთვის დასჯა. ამგვარად განსაზღვრული სამიზნე ქცევა უფრო მისაღებია მოსწავლისთვისაც.

ამასთან, სამიზნე ქცევა არ უნდა იყოს ზოგადი, რათა გაადვილდეს მისი აღრიცხვა. არასაკმარისად კონკრეტულია განსაზღვრება „რამდენად პატივისცემით ვექცევი თანაქლასელებს“, რადგან ამის დათვლა ან გაზომვა პრაქტიკულად შეუძლებელია. სამაგიეროდ, საკმაოდ ადვილად შეიძლება მოსწავლეს, თუ რამდენჯერ დაარტყა კლასებს, ან პირიქით, რამდენჯერ უპასუხა მას თავაზიანი ფრაზით (ამ ფრაზების ჩამონათვალიც შეიძლება წინასწარ განისაზღვროს).

სამიზნე ქცევის განსაზღვრას აუცილებლად უნდა მოჰყეს მისი დაგენერაციური განხილვა მოსწავლისთვის გასაგებ ენაზე. „სამუშაოზე ფოკუსირებული“ შეიძლება მისთვის ითარგმნოს, როგორც „წერს, კითხულობს ან პასუხობს შეკითხვებს განსაზღვრულ დროში“. შეიძლება მას ვთხოვთ, მოყვანოს ამ ქცევის მაგალითები, ან აღწეროს იგი თავისი სიტყვებით. მთავარია, მოსწავლეს ზუსტად ესმოდეს, კონკრეტულად რა ქცევას უნდა დააკვირდეს.

მიზნის განსაზღვრის ეტაპზე მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს, რომ მიზანი იყოს რეალისტური, მაგრამ არც ძალიან ადვილად მისაღწევი. შეიძლება წავახალისოთ იგი და დავანახოთ, რომ ამ ამოცანის გადაჭრა შესაძლებელია (მაგ. გავიმსხვეოთ სხვა მოსწავლეების მაგალითით). ზოგჯერ საჭირო ხდება იმის ახსნაც, რომ სრულყოფილებას არ უნდა ველოდოთ და შეცდომის გარეშე რთული ამოცანისთვის თავის გარომევა შეუძლებელია.

II. ოვითდაკვირვების მეთოდის შემუშავება

მოსწავლესთან ერთად მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, როგორ მოხდება სამიზნე ქცევის აღრიცხვა. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ცხრილი ან სქემა და ხშირად, დროის გაზომვის რამე მექანიზმი: წამზნომი, მაღვიძარა და ა.შ. მაგალითად, მოსწავლეს მერჩხე უდევს მარტივი ცხრილი, რომელშიც აღნიშნავს მის მიერ სამიზნე ქცევის სწორად განხორციელების ყველა შემთხვევას (მაგ. რამდენჯერ აწია ხელი წამოძახების ნაცვლად).

არსებობს სხვაგარი ცხრილებიც, რომლებშიც მასწავლებლის სიგნალზე მოსწავლემ უნდა აღრიცხოს, ასრულებს თუ არა სამიზნე ქცევას მოცემულ მომენტში. მაგალითად, მაღვიძარას ყოველ სიგნალზე მოსწავლემ ცხრილში „+“ ან „-“-ით უნდა აღნიშნოს, მუშაობს თუ არა მასწავლებლის მიერ მიცემულ დავალებაზე. აქ არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რას აკეთებდა მოსწავლე წუთის წინ ან თუნდაც ბოლო 5 წუთის მანძილზე აღირიცხება მხოლოდ ის, თუ რას აკეთებს იგი, როცა სიგნალი გაისმის. ამ მეთოდის გამოყენებისას დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერვალს სიგნალებს შორის. უმჯობესია, დაგინეროთ

უფრო სანმოკლე შუალედიდან (შეიძლება 30 წამიდანაც კი) და ეს დრო თანამდებით გავზარდოთ. აუცილებელია, რომ მოსწავლეები ვერ ხედავდნენ სათს და სიგნალი ყოველთვის მოულოდნელი იქნას.

მოსწავლის შედეგების გაუმჯობესებასთან ერთად იზრდება ინტერვალი სიგნალებს შორის. ბევრი მასწავლებელი საჭიროდ მიზნევს, გაართულოს თავად დავალებაც. სიგნალის გაგონებისას მოსწავლე 0-დან 5 ქულამდე აფასებს საპუთარ ქცევას წინა სიგნალის შემდგომ პერიოდში.

0 ქულას უწერს იგი საპუთარ თავს, თუ ბოლო ორ სიგნალს შორის ინტერვალში არც ერთხელ არ განუხორციელებია სამიზნე ქცევა (მაგ. არ უმუშავია საკლასო დავალებაზე);

1 ქულა – ამ პერიოდში სამიზნე ქცევა ერთხელ მაინც განხორციელდა ან ხორციელდებოდა ძალიან მცირე დროის განმავლობაში;

2 ქულა – სამიზნე ქცევა ხორციელდებოდა ნახევარ დროზე ნაკლებ პერიოდში;

3 ქულა – სულ მცირე ნახევარი დროის მანძილზე;

4 ქულა – თითქმის მთელი დროის მანძილზე;

5 ქულა – იდეალური ქცევა სიგნალებს შორის პერიოდში.

მოსწავლის მიერ შევსებულმა ცხრილმა შეიძლება ასეთი სახე მიიღოს:

თვითდაპვირვების ფორმა - ქვთი

- ყოველ 10 წელში აღნიშნე, როგორ ასრულებ საკლასო სამუშაოს
 + თითქმის სულ გმუშაობდი
 1/2 დაახლოებით ნახვარი დრო გმუშაობდი
 - თითქმის არ გმუშაობდი

9.00-9.10	9.10-9.20	9.20-9.30	9.30-9.40	9.40-9.50	9.50-9.00
+	+	1/2	-	შესვენება	+

10.00-10.10	10.00-10.20	10.00-10.30		10.00-10.10	10.00-10.10
1/2	-	+	შესვენება		

III. წახალისების ფორმების შერჩევა

წახალისება თვითმართვის სისტემის ფუნქციონირების მნიშვნელოვანი ელემენტია. ზოგი მოსწავლის დაინტერესებისათვის საკმარისი აღმოჩნდება თავადის ფაქტორი, რომ თვითონ აპონტროლებს და აფასებს საკუთარ ქცევას. თუმცა უმრავლეს შემთხვევაში საჭირო ხდება დამატებითი განმამტკიცებლები, ანუ რეაგირების ფორმები, რომლებიც ხელს უწყობენ სასურველი ქცევის განტკიცებას. ამგვარი განმამტკიცებლების შერჩევა მოსწავლის განვითარების საფეხურის და ინტერესების გათვალისწინებით ხდება. თვითმართვის უნარის ჩამოყალიბების ეტაპების მიხედვით განმამტკიცებლები ასე განლაგდება:

იხ. I -
გვ. 77

საწყის ეტაპზე - კონკრეტული განმამტკიცებლები, მაგალითად, რვეულში ჩახაკრავი ლამაზი სურათები (სტიკერი), სპეციალური ბარათები, რომლებიც ჯილდოს მისაღებად უნდა დააგროვონ;

მეორე ეტაპზე – სახალისო აქტივობა, მაგალითად თამაში, კომპიუტერზე მუშაობა, ჯგუფებს შორის შეჯიბრება; პრივილეგია, მაგალითად, ჯგუფის ლიდერობა, მწკრივის თავში დგომა, მასშავლებლის დახმარება რვეულების აკრებაში ან რამე სხვა საქმიანობაში;

მესამე ეტაპზე – სოციალური წახალისება, მაგალითად, ნამუშევრის გამოფენა ან მიღწევების წარმოქმნა თანაკლასელთა წინაშე და ა.შ.

მეოთხე ეტაპზე – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უფლება, მაგალითად, მოსწავლე წყვეტს, რა აქტივობებში სურს მონაწილეობის მიღება, რა გარემოში იმეცადინოს, როდის არის დასრულებული მისი სამუშაო, რა პროდუქტი წარმოადგინოს შრომის შედეგად და ა.შ.

თვითმართვის უნარის განვითარების ბოლო ეტაპზე იმდენად ძლიერია მოსწავლის შინაგანი მოტივაცია, რომ წახალისების საჭიროება ფაქტობრივად არ არსებოს (თუმცა ზოგჯერ მაინც შეიძლება დამატებითი სტიმულის სახით მისი გამოყენება). ამ საფეხურზე მყოფი მოსწავლისთვის თავად ფაქტი, რომ მას შეუძლია, აკონტროლოს საკუთარი ქცევა და მიიღოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები, სატმარისი სტიმულია.

ხშირ შემთხვევაში განმამტკიცებლების შერჩევა მოსწავლის ასაკობრივ მახასიათებლებზეა დამოკიდებული.

საფეხური	ასაკობრივი მახასიათებლები	ეფექტური განმამტკიცებლები
I-III კლ.	მოითხოვენ ჯილდოს დაუყოვნებლივ, სწორი საქციელის ჩადენისთანავე	<ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული განმამტკიცებლები, მაგ. ფერადი სურათი ან სტიკერი; • მასწავლებლის შექმნა და ღიმილი; • პრივილეგიები, მაგ. ჯგუფის ლიდერობა; • უფროსების მოვალეობები, მაგ. დაგალების რეენერგების აკრძალვა, ყვავილების მორწყვა.
IV-VI კლ.	იზრდება უნარი იმისა, რომ დაელოდონ ჯილდოს, ანუ ისინი ამ-ჯობინებენ, მოგვიანებით მიიღონ დიდი ჯილდო, ვიდრე მცირე, მაგრამ დაუყოვნებლივ	<ul style="list-style-type: none"> • კონკრეტული განმამტკიცებლები გამოიყენება იშვიათად, მხოლოდ მრავალფეროვნებისთვის; • დადგებითი შეფასება, მაგ. სპეციალური ბარათები, რომელებსაც მოსწავლე გარკვეული პრიორიტეტის მნიშვნელზე აგროვებს, რათა რამე უფრო დიდი ჯილდო მოიპოვოს; მოსწავლეს მიენიჭება სპეციალური ურველკვირეული „სერტიფიკატი“ (მნიშვნელოვანია, რომ წლის განმავლობაში ყველა მოსწავლემ შეძლოს ამგვარი სერტიფიკატის მიღება რამე ქცევისთვის); • თავისუფალი დრო, მაგ. ხატვის, თამაშის, კომპიუტერზე მუშაობისთვის. სასურველია, აგრეთვე, დავგეგმოთ ხანმოკლე ექსკურსია (მაგ. პარკში ან მუზეუმში).

საფეხური	ასაკობრივი მახასიათებლები	ეფექტური განმამტკიცებლები
VII-IX ქლ.	თანატოლების მზარდი სურვილი	<ul style="list-style-type: none"> თავისუფალი დრო კლასებთან ურთიერთობისთვის, მაგალითად, დაგადლების დროულად დამთავრების შემთხვევაში; ინდივიდუალური საუბარი მოსწავლესთან; მასწავლებლის დადებითი შეფასება კონკრეტული ქმედებისათვის, უმჯობესია პირად საუბარში.
X-XII ქლ.	საბოლოო მიზნისთვის სურვილების დამორჩილების უნარი; სწრაფვა პასუხისმგებლობისა და აღიარებისკენ.	<ul style="list-style-type: none"> ხშირად მიგანდოთ გადაწყვეტილების მიღება მოსწავლეებს. თვითმართვის უნარის თანდაონობით ჩამოყალიებებასთან ერთად მათ შეიძლება თავად გადაწყვიტონ, მასალაზე რა თანმიმდევრობით და რა ფორმით იმუშავებენ; ხელი შევუწოთ მათი მიღწევების პოპულარიზაციას წევნთვის ხელმისაწვდომი საშულებებით

რასაკვირველია, თვითმართვის უნარი ავტომატურად როდი ვითარდება ასაკის მატებასთან ერთად. არც თუ ისე იშვიათი შემთხვევაა, როცა დამამთავრებელ კლასებშიც კი მოსწავლეებს ჯერ კიდევ არ აქვთ სრულად ჩამოყალიბებული თვითმართვის უნარი. ამგვარ შემთხვევებში მასწავლებელი თავად განსაზღვრავს, რა სახის განმამტკიცებლებია საჭირო ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

ქცევის თვითმართვის უნარზე მუშაობისას, მასწავლებელი ცდილობს, თანდათან უფრო მაღალი დონის განმამტკიცებლები შესთავაზოს მოსწავლეს. ამასთან, ეს გადასვლა თანდათანობითი უნდა იყოს. უპე ნაცნობ განმამტკიცებლებთან ერთად, მოსწავლეს ვთავაზობთ უფრო მაღალი დონისას და დროთა განმავლობაში ვცდილობთ, ძველი მოლიანად ახალი ტიპის განმამტკიცებლებით ჩავანაცვლოთ.

რაც მთავარია, განმამტკიცებელი მართლაც სასურველი და ღირებული უნდა იყოს მოსწავლისთვის. ამიღომ იგი ერთობლივი შეთანხმებით უნდა შეირჩეს. თუმცა ზოგჯერ მასწავლებელი, რომელიც კარგად იცნობს მოსწავლის ხასიათს და მისწავლებებს, უფრო ზუსტად პოულობს წახალისების ეფექტიან ფორმას, კიდრე თავად ბავშვი.

არსებობს იმის საშუალებაც, რომ მოსწავლეებს შევთავაზოთ არჩევანი განმამტკიცებლებს შორის. ამისთვის მასწავლებლები იყენებენ სპეციალურ ბარათებს, ან ფერად ჩხირებს, რომლებსაც მოსწავლე იღებს სამიზნე ქცევის სწორად განხორციელების შემთხვევაში. გარკვეული რაოდგნობის ბარათების ან ჩხირების დაგროვების შემდეგ მოსწავლეს შეუძლია, აირჩიოს რა ჯილდოც სურს. მალე თავად ბარათებიც წახალისების ფორმად იქცევა, რადგან ისინი განმამტკიცებლებთან ასოცირდება.

IV. თვითდაკვირვების სისტემის გამოყენება

როცა სამიზნე ქცევა, მისი აღრიცხვის და წახალისების ფორმები განსაზღვრულია, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს ამ სისტემის კარგად გააზრებაში და ასწავლოს მისი პრაქტიკულად გამოყენება. ეს მოითხოვს პირად შეხვედრებს და დეტალების დაზუსტებას. ამას მოსდევს მცირე ექსპერიმენტები, როცა მოსწავლე უპე ცდილობს სისტემის დანერგვას და გაპერილზე აკვირდება და აღრიცხავს სამიზნე ქცევას. ამ ეტაპზე მასწავლებლის მოგადეობაა, აკონტროლოს მოსწავლის დაკვირვების სიზუსტე. თვითდაკვირვების უნარის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, თუ რამდენად ზუსტად აღრიცხავს მოსწავლე თავის ქცევას. მაგალითად, წამახალისებელ ქულას მიიღებს მოსწავლე, რომელიც გეუბნება, რომ 20 წელიანი დამოუკიდებელი სამუშაოს დროს მხოლოდ 3 წელი დაუთმო დაგადებას, თუ ეს ემთხვევა ჩვენს შეფასებას.

სამაგიეროდ, ქულას ვერ მიიღებს მოსწავლე, რომელმაც 15 წუთი იმუშავა, მაგრამ თავის ანგარიშში მეტ დროს აჩვენებს.

ხშირად რამდენიმე დღე მაინც სჭირდება იმას, რომ მოსწავლემ სათანადო სიზუსტით შეძლოს თავისი ქცევის აღრიცხვა. ამ დღეების მანძილზე მასწავლებელმა სისტემატურად უნდა შეადაროს თავისი დაკვირვების შედეგები მოსწავლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციასთან. შემდეგ ეტაპებზე მასწავლებლის სისტემატური კონტროლი საჭირო აღარ არის, მაგრამ მოსწავლისთვის მოულოდნელი პერიოდული შემოწმება მაინც სასარგებლოა. ოუ დამთხვევა მოსწავლისა და მასწავლებლის მონაცემებს შორის 80%-ზე დაბალია, საჭიროა, კალავ შეგახსენოთ მას თვითდაკვირვების პროცედურის დეტალები და წვენც უფრო ხშირად შევამოწმოთ. გამოკვლევები აჩვენებს, რომ ასეთი ტუშილის შემთხვევები თვითდაკვირვების დროს საკმაოდ იშვიათია და მოსწავლეებს, რომლებმაც კარგად იციან სისტემის გამოყენება, უმრავლეს შემთხვევაში ზუსტი მონაცემები მიაქვთ მასწავლებელთან.

V. თვითგანმტკიცება

თვითმართვის სტრატეგიების გამოყენების შედეგად მოსწავლის ქცევა თანდათან უახლოებება დასახულ მიზანს. როცა ნათელი ხდება, რომ სისტემა მოქმედებს, სასურველია, თანდათან შევამციროთ განმამტკიცებლების გამოყენება და ავამაღლოთ სტანდარტი. ოუ, მაგალითად, თავიდან მოსწავლე ჯილდოვდებოდა დაგალებაზე კონცენტრაციის ყოველი 5 წუთისათვის, ბოლოს მისი მიზანია, მთელი გაკვეთილის მანძილზე საკუთარი ქცევის კონტროლი. ეს ცვლილება თანდათანობითი უნდა იყოს, რადგან განმამტკიცებლების სწრაფად გაქრობაში შეიძლება ძველი ქცევის აღდგნა გამოიწვიოს.

მასწავლებლის საბოლოო მიზანია, მოსწავლეს რეალისტურ თვითშეფასებასთან ერთად ჩამოუყალიბდეს თვითგანმტკიცების უნარი. მოსწავლეს შეიძლება დაგეხმაროთ მისთვის ყველაზე სასურველი განმამტკიცებლის პოვნაში, რომლითაც შეუძლია საკუთარი თავი დააჯილდოოს მიზნის მიღწევისთვის. ერთისთვის ეს შეიძლება იყოს თავისუფალი დრო და მეცადინეობისგან დასვენება, მეორესთვის რამე საქმიანობა (მაგ. ფეხბურთის თამაში), მესამესთვის კი მიზნის მიღწევისგან მიღებული ქმაყოფილების გრძნობა აღმოჩნდება საკმარისი. თვითგანმტკიცება არანაკლებ ეფექტურია, ვიდრე მასწავლებლის მიერ გამოყენებული განმამტკიცების ნებისმიერი ხერხი.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თვითმართვის უნარის ჩამოყალიბება რთული და ეტაპობრივი პროცესია. იგი დიდ დროს და ძალისხმევას მოითხოვს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის

მხრიდან, მაგრამ უდავოა, რომ ამ გზით შეიძლება მოსწავლის ქცევაში გრძელვადიანი ცვლილებების მიღწევა, რომლებიც დადგებით გავლენას ახდენს მოსწავლის თვითშეფასებასა და აკადემიურ წარმატებაზე.

თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დასაწყისში მოცემულ კველა შეკითხვაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაეციოთ პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეპომქნდაციები:

- ქცევის თვითმართვა არის მოსწავლის უნარი, შეაფასოს საკუთარი ქცევა, განსაზღვროს მიზანი ქცევის შეცვლის თუ შენარჩუნების თვალსაზრისით, დაგეგმოს და განახორციელოს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო დონისძიებები;
- თვითმართვის უნარის ჩამოყალიბებისთვის მასწავლებელი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს სამიზნე ქცევის განსაზღვრასა და თვითდაკვირვების მეთოდის შემუშავებაში;
- თვითმართვის მნიშვნელოვანი კომპონენტია განმტკიცება, ხოლო განმტკიცების ფორმების შერჩევა დამოკიდებულია მოსწავლის ასაკობრივ მახასიათებლებსა და მისი განვითარების საფეხურზე;
- თვითმართვის უნარის ჩამოყალიბების პროცესში მასწავლებელმა დახმარება უნდა გაუწიოს მოსწავლეს თვითდაკვირვების სისტემის სწორად გამოყენებაში და რეალურ თვითშეფასებაში.

კონფლიქტების მოგვარება

ამ თავის წარითხების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას ნიშნავს კონფლიქტი და რა იწვევს კონფლიქტურ სიტუაციებს;

რა პირობები უნდა შექმნას მასშავლებელმა კლასში მოსწავლეთა აგრესიის თავიდან ასაცილებლად;

რა უნდა გააკეთოს მასშავლებელმა კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვისათვის;

როგორ უნდა მოამზადოთ მოსწავლეები, რომ მათ დამოუკიდებლად შეძლონ კონფლიქტების მოგვარება.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა ფორმით უნდა ჩაერიოს მასშავლებელი კონფლიქტურ სიტუაციაში?

2. თუ მასშავლებელმა მოახერხა სიტუაციის განმუხტვა და მოსწავლეები დაუბრუნდნენ სამუშაოს, შეიძლება თუ არა კონფლიქტი ამოწურულად ჩაითვალოს?

სიტუაცია 1.

ხელოვნების გაკვეთილზე ქეთის შემთხვევით დაეღვარა სადებავი და გააფუჭა თათას თითქმის დამთავრებული ნახატი. თათამ ჩათვალა, რომ ქეთიმ ეს შეგნებულად გააკეთა და მათ შორის ხმამაღალი შედაპარაკება დაიწყო. შემდეგ კონფლიქტმა კიდევ უფრო სერიოზული სახე მიიღო.



მასწავლებელმა სცადა, სიტუაცია განემუხტა. მან თათა კორიდორში გაიყვანა და ყურადღებით უსმინა მის საუბარს, სანამ გოგონა ბოლომდე არ დაიცალა აგრესიისგან. მასწავლებლის კომენტარები შემოიფარგლებოდა მხოლოდ თანაგრძნობის გამოხატვით: „აა, გასაგებია“, „მართლა?“, „ეს მართლაც ცუდად მოსვლია“ და ა.შ. მასწავლებელმა ლოგიკურად გადაიტანა საუბარი გოგონას ინტერესზე ხატვის მიმართ, საუბარი გაუბა გამოფენებზე და ამით მთლიანად ჩაცხოვ მისი აგრესია.

კონფლიქტი ჩნდება მაშინ, როცა ორი ან მეტი პიროვნების, ჯგუფის თუ გარკვეული მხარეების მიზნები, ღირებულებები და ქმედებები ერთმანეთს ვერ ეთავსებიან. კონფლიქტს იწვევს აზრთა სხვა-დასხვაობაც რამე საკითხის ირგვლივ. უდავოა, რომ კლასში, სადაც განსხვავებული ინტერესების, მიზნებისა და ხასიათის მქონე ბავშვები არიან შეკრებილნი, ხშირად იქმნება საფუძველი კონფლიქტის წარმოშობისთვის. თავად კონფლიქტის არსებობა ბუნებრივი, ყოველდღიური მოვლენაა და მისი მოგვარების საუკეთესო გზა კონსტრუქციული გადაწყვეტაა (იგულისხმება კონფლიქტების მოგვარება მოლაპარაკებისა და დაპირისპირებული მხარეებისგან გარკვეულ კომპრომისებზე წასვლის გზით). კონფლიქტის კონსტრუქციული გადაწყვეტის დროს:

- ვთარდება როგორი სააზროვნო უნარ-ჩვევები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, პრობლემის შემოქმედებითი გადაჭრის უნარი და ა.შ;
- ვთარდება გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი;
- ვალიბდება მოულოდნელი გარემოებებისთვის თავის გართმევის და სტრესის დაძლევის უნარი, რაც მოსწავლის მაღალი სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების მაჩვენებელია;
- ურთიერთობები კლასში (მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ან თავად მოსწავლეებს შორის) უფრო მაღალ საფეხურზე გადადის, კლასში იზრდება ერთსულოვნება, ერთმანეთის ნდობა და პატივისცემა.

კონფლიქტის არსებობა პრობლემად იქცევა მხოლოდ მაშინ, როცა ვერ ვახერხებთ სიტუაციის გაკონტროლებას, როცა კონფლიქტის შედეგად ერთ-ერთი მხარე მაინც ზარალდება. თუ მოსწავლემ არ იცის კონფლიქტის მოგვარების გზები, მოსალოდნელია, რომ მან აგრესიას და ძალადობას მიმართოს. ბევრი ახალგაზრდისთვის აგრესია (სიტყვიერი თუ ფიზიკური) პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზაა. შემტევებაში, მათ ძალის გამოყენება კი არ სიამოვნებთ, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოგვეჩვნოს, არამედ პრობლემის მოგვარების სხვა გზას ვერ ხედავენ. ამას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს:

1. ზოგჯერ მოსწავლეები ფიქრობენ, რომ მიზნების მისაღწევად ძალის გამოყენება მისაღები ხერხია; ამის გარეშე თანატოლებმა ისინი შეიძლება სუსტად ჩათვალონ და დაჩაგრონ;

2. მოსწავლეებს არა აქვთ სოციალური უნარ-ჩვევები, ანუ კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღებისა თუ თვითმართვის უნარ-ჩვევები და ამიტომ ვერ ახერხებენ, ააგონ და შეინარჩუნონ პოზიტიური ურთიერთობები სხვა ადამიანებთან. მათ არ იციან, როგორ დაუშეგობრდნენ თანატოლს, რა მისაღები ფორმით მიიპყრონ მასწავლებლის ან სხვა უფროსის ყურადღება და როგორ გამოხატონ თვითი ემოცია, მაგ. სიბრაზე.

სკოლაში აგრესიამ სხვადასხვა ფორმა შეიძლება მიიღოს. იგი შეიძლება გამოიხატოს პერიოდული კინქლაობით, ან რომელიმე მოსწავლის გამუდმებული სიტყვიერი თუ ფიზიკური შევიწროებით და დევნით (მაგ. ფულის ან სხვადასხვა ნივთის წარომევა, შეურაცხმყოფელი მეტსახელის შერქმევა და სხვ.). ამგვარი დევნის მსხვერპლი, ჩვეულებრივ, ხდება მოსწავლე, რომელიც, სხვა მოსწავლეებთან შედარებით, სუსტი ან მორცხვია, ადამიანებთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები ნაკლებად აქვს განვითარებული და ამიტომ მეგობრებიც ნაკლები ჰყავს, ან რამე, მაგალითად, რელიგიური ან სოციალური (მაგ. დარიბული ჩაცმულობა) ნიშნით განსხვავდება უმრავლესობისგან. სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ სკოლის მოსწავლეების უმრავლესობას საკუთარ თავზე გამოუცდია თანატოლთა აგრესის რამე გამოვლინება. გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ აგრესორი, უმრავლეს შემთხვევაში, ბიჭია, არ შეესაბამება სიმართლეს. ბიჭები უფრო ხშირად მიმართავნ ფიზიკურ აგრესიას, ხოლო გოგონები, ძალის ნაცვლად, სიტყვების იუნივერსიტეტების მათ შეიძლება დასცინონ თანატოლს, გაავრცელონ მასზე ჭორი, ჟესტებითა და მიმიკით გამოხატონ მის მიმართ ზიზდი. აგრესის ეს ფორმები მსხვერპლისათვის არანაკლებ მტკიცნეულია, ვიდრე ფიზიკური შეურაცხეოფა.

როცა აგრესია დიდი ხნის მანძილზე ვლინდება, იგი სერიოზულ კვალს ტოვებს ორივე მხარის ფსიქიკაზე. მსხვერპლს შეიძლება ჩამოუყალიბდეს არასრულფასოვნების კომპლექსი, დაპარგოს საკუთარი თავის რწმენა, მდელვარებისა და შიშის გამო გაუარესდეს მისი აკადემიური მაჩვენებლები. მეორე მხრივ, აგრესორს უყალიბდება ანტისაზოგადოებრივი მიდრეკილებები, რაც, ხშირ შემთხვევაში, კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობით სრულდება.

ამდენად, მოსწავლეები უნდა დავარწმუნოთ, რომ აგრესია არ არის უცემებული გზა კონფლიქტების მოგვარებისთვის. ამ მიმართულებით მუშაობა კლასთან შეხვედრის პირველი დღიდანვე უნდა დავიწყოთ. უპირველეს ყოვლისა, უაღრესად მნიშვნელოვანია კლასში თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს შექმნა. სკოლაში მოს-

წავლებს შორის ხანგრძლივი, ხშირად მრავალწლიანი ურთიერთობები ყალიბდება და კონფლიქტის შემთხვევაში ორივე მხარე უნდა გრძნობდეს, რომ დროებითი უთანხმოება გაცილებით ნაკლებმის შენჯლოვანია, გიღრე მათი ურთიერთობის შენარჩუნება. ამ უკანასკნელის მიღწევა კი შესაძლებელია, თუ მოსწავლებს საერთო ინტერესები აქვთ, თუ თითოეულის წარმატება დამოკიდებულია ყველა დანარჩენის აქთილდღეობასა და თანადგომაზე. ამ მიზნის მისაღწევად:

- მოსწავლეები კარგად უნდა იცნობდნენ მასწავლებელსაც და ერთმანეთსაც. ამისთვის წლის დასაწყისშივე დაგვეგმოთ აქტივობები ან პროექტები, რომელთა მიზანიც ერთმანეთის სხვადასხვა კუთხით გაცნობაა. მაგალითად, ვთხოვოთ მოსწავლეებს, მოიტანონ 4-5 ნივთი, რომელიც ყველაზე უკეთ მოგვითხოობს მათ შესახებ და გააცნონ ეს ნივთები თანაკლასელებს; მოვაწყოთ გუნდური შეჯიბრება, გავაკეთოთ კედლის გაზეთი, დავდგათ წარმოდგენა, ან განვახორციელოთ ნებისმიერი პროექტი, რაც მოსწავლეების ერთობლივ მუშაობას მოითხოვს;

- სწავლების პროცესში რაც შეიძლება ხშირად გამოვიყენოთ თანამშრომლობითი მეთოდი, სადაც მოსწავლეები ერთობლივად ასრულებენ დავალებას, სხინას ამოცანას და ა.შ. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის აქტიურ ურთიერთობას და ასწავლის მათ პასუხისმგებლობის გაზიარებას. თანამშრომლობითი მეთოდი ავითარებს მოსწავლეებში სოციალურ უნარ-ჩვევებს და ამგვარად ამზადებს მათ კონფლიქტური სიტუაციების კონსტრუქციული გადაჭრისათვის. მოსწავლეები სწავლობენ თავიანთი აზრის დიად და ლოგიკურად ჩამოყალიბებას, სხვისი მოსაზრების მოსმენას, კომპრომისის ძიებას, თანატოლისთვის დახმარების აღმოჩენას, ერთმანეთის შექმნას, საყვედურის მისაღები ფორმით გამოხატვას და ა.შ. მასწავლებელი თავად უნდა იძლეოდეს პიროვნების პატივისცემის და თავაზიანი დამოკიდებულების მაგალითს. პატივი ვცეთ მათ და დავაფასოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები, მათი ასაკობრივი, ინტელექტუალური, ეროგული თუ რასობრივი მახასიათებლები და იგივე მოვითხოვოთ მოსწავლეებისგანაც. მაგალითად, თუ ჩვენ ირონიულად მივმართავთ მოსწავლეს მცდარი პასუხის შემთხვევაში, მოსალოდნელია, მოსწავლეებმაც ჩათვალონ, რომ ერთმანეთის შეურაცხეოფა, აგრესის გამოვლინება დაუშვებელია და ამგვარი ქცევის ყველა მცდელობას დაუყოვნებელი რეაქცია მოჰყვება.

ამგვარ გარემოში იზრდება მოსწავლის თვითშეფასება, საკუთარი თავისადმი რწმენა, ყალიბდება მასში ეთიკური დირექტულებები,

როგორიცაა პატიოსნება, სამართლიანობა, ტოლერანტობა, საკუთარი თავისა და სხვების პატივისცემა. ამიტომაც ნაკლებმოსალოდნელია აგრესიული რეაგირება სხვათა ქცევასა და კონფლიქტურ სიტუაციაზე. ამასთან, იგი ფინანსურირად უკეთაა მომზადებული კონფლიქტის მოგვარებაში პოზიტიური როლის შესრულებისთვის.

მიუხედავად მასწავლებლის მცდელობისა, აგრესის გამოვლინების შემთხვევები მაინც იქნება. სიტუაცია, როცა ორი მოსწავლე ერთ-მანეთს უყვირის და ხელის დასარტყმელადაც მიიწევს, არც თუ ისე უჩვეულოა სკოლებში. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მასწავლებელი?

1. შორიდანვე შევაფასოთ სიტუაცია. განვსაზღვროთ, ვინ მონაწილეობს კონფლიქტში და რა ვიციო ჩვენ მათ შესახებ; როგორ აღიქვამებ ისინი ჩვენს გამოჩენას. ამ შეფასების შედეგად, კონფლიქტის სერიოზულობიდან გამომდინარე, შეიძლება მოვუხ-მოთ დამხმარეს, სხვა მასწავლებელს ან დირექტორს (მაგ. ზე-მოთაღწერილ სიტუაციაში მასწავლებელმა შენიშნა, რომ თათა გაცილებით უფრო აგრესიულად იქცეოდა, ვიდრე ქვეთი და ჩათვალი უმჯობესი იქნებოდა, თათას გასაუბრებოდა. მან ისიც გაიაზრა, რომ ამ შემთხვევაში მისი ავტორიტეტი საკმარისი იქნებოდა კონფლიქტის განსამუხტად);

2. გვახსოვდეს, რომ ჩვენი მიზანია, განვმუხტოთ სიტუაცია ისე, რომ არავინ დაზიანდეს და არც ერთი მონაწილის თავმოყვარება არ შეიძლას;

3. შევეცადოთ, თავიდან მოვიშოროთ გარეშე პირები, მაყურებლები და სიტუაციას გავარიდოთ ერთ-ერთი მოჩეუბარი. თუ ეს არ ხერხდება, უნდა შევეცადოთ, რამე საშუალებით (მაგ. ხმის აწევით) ჩვენზე გადმოვიტანოთ მოსწავლეების ყურადღება (ჩვენს სიტუაციაში მასწავლებელმა საჭიროდ ჩათვალი თათას გაყვანა კლასიდან. ამით მან შეძლო კლასში სიმშვიდის აღდგენა);

4. შევეცადოთ, თავს მოვახიოთ რამე შეზღუდვა და თანდათანობით გაგამკაცროთ მოთხოვნა. მაგალითად, ჯერ მოვითხოვთ: „რაც გინდათ, ის თქვით, მაგრამ ხმას დაუწიეთ“. როცა ამ ბრძანებას დაემორჩილებიან, დაგამატოთ შემდეგი მოთხოვნა „უეგში სიტყვების გამოყენება შეწყვიტეთ“ და ა.შ.

5. დაგარწმუნოთ, რომ ამ საკითხის მოგვარება მშვიდობიანი საუბრით აჯობებს. შეიძლება ვუთხრათ, რომ ჩხუბის გაგრძელებას ყოველთვის მოახერხებენ და მასწავლებელი ამას ხელს ვერ შეუშლის, მაგრამ ჯერ შეიძლება სხვა ხერხი ვცადოთ;

6. დაგეხმაროთ მოსწავლეებს თავიანთი ემოციების მოთვაზი. ამისთვის ხშირად საკმარისია, რომ მათ ყურადღებით

და თანაგრძნობით მოვუსმინოთ. მოსმენისას

ა) სახით, ჟესტებით შევეცადოთ, გამოვხატოთ, რომ ყურა-
დღება მთლიანად მათკენ გვაქვს მიპყრობილი;

ბ) კითხვებით გთხოვთ ბუნდოვანი, გაუგებარი ეპიზოდე-
ბის განმარტება;

გ) ვაგრძნობით, რომ გვესმის მათი პრობლემის და სატკიფა-
რის სერიოზულობა;

დ) დავაცადოთ, მთლიანად ამოწურონ თავიანთი სათქმელი,
გამოხატონ ჰველა ემოცია;

ე) გავიმეოროთ, შევაჯამოთ მათი ნათქვამი და შევამოწმოთ,
რომ მნიშვნელოვანი არაფერი გგრჩება.

7. დავეხმაროთ მოსწავლეს გამოსავალის პოვნაში. შევთავა-
ზოთ მას კონფლიქტის მოგვარების შესაძლო ვარიანტები,
ან, უბრალოდ, მივცეთ საშუალება, დირსეულად, თავმოყვარეობის
შეულახავად გამოვიდეს შექმნილი მდგომარეობიდან. მაგალითად,
შევთავაზოთ მას სხვაგან, უფრო წყნარ ადგილას შეხვედრა და
საუბარი. სასურველია, ამ დროს მოვახერხოთ მოსწავლის ყურა-
დღების გადატანა რამე დაღებით ემოციასა და ქმედებაზე (მო-
ცემულ სიტუაციაში მასწავლებელმა თათას ყურადღება ხატვაზე
გადაიტანა).

აგრესის ფაქტის აღკვეთა მხოლოდ პირველი ნაბიჯია კონფლიქ-
ტური სიტუაციის მოგვარებისკენ. ჩვენ მიერ აღწერილ შემთხვევა-
შიც, თუმცა მასწავლებელმა წარმატებით დააწყნარა მოსწავლეები და
თავიდან აიცილა კონფლიქტის გართულება, პრობლემა შეიძლება არც
კი იყოს საბოლოოდ მოგვარებული. სავსებით შესაძლებელია, თათასა
და ქეთის შორის მეტოქეობას ხანგრძლივი ისტორია და საკმაოდ
ღრმა ფესვები ჰქონდეს. მასწავლებელს ხშირად სერიოზული როლის
შესრულება უხდება მოსწავლეთა კონფლიქტის დარგებულირებაში. ამ
დროს მან სხვადასხვა მიდგომა შეიძლება გამოიყენოს:

I. დირექტიული მიღგომის შემთხვევაში მასწავლებელი
თავად იძლევა მითითებებს, თუ რა უნდა გააკეთონ მოსწავლეებმა.
იგი არ ეთათბირება კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, არამედ
თავად იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას. რასაკვირველია,
ეს გადაწყვეტილება სამართლიანი და ობიექტური უნდა იყოს,
მაგრამ მან შეიძლება ერთ-ერთ მხარეს მაინც დაუტოვოს უპ-
მაყოფილების გრძნობა და ამ შემთხვევაში კონფლიქტი საბო-
ლოოდ მოგვარებულად ვერ ჩაითვლება. ამდენად, დირექტიული
სტილის გამოყენება მისაღებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა
კონფლიქტური სიტუაცია კონტროლიდან გამოდის და დაუყოვნებ-
ელ ჩარევას მოითხოვს, რათა მოსწავლეთა უსაფრთხოება უჭვევებ-
არ დადგეს. ამ სტილს მივმართავთ მაშინაც, როცა კონფლიქტი

იმდენად უმნიშვნელოა, რომ მასზე დიდი დროის და ენერგიის დახარჯვა არაა გამართლებული;

II. მასწავლებელი-არბიტრი კურადღებით ისმენს ორივე მხარის მოსაზრებებს და პრობლემის არსები ჩატვირთვის შემდეგ ეჭ-ბნება მათ, რა უნდა გაკეთდეს. ეს საქმაოდ ეფექტური მიდგომაა, რადგან კონფლიქტში მონაწილე მხარეებს თავიანთი პოზიციების გამოხატვის საშუალება ეძლევათ და თანაც შედეგი საქმაოდ მოკლე დროში მიიღწევა. ამ სტილის ნაკლი ისაა, რომ მოსწავლეები თავად ვერ იღებენ ინიციატივას პრობლემის მოგვარების პროცესში და კონფლიქტის სიღრმისეული მიზეზებიც შეიძლება აუქსენელი დარჩეს;

III. მასწავლებელი-მოსამართლე მონაწილეობს ისეთი კონფლიქტების მოგვარებაში, როცა ერთმა მხარემ მეორეს აშკარა ზიანი მიაუყენა და საჭირო ხდება სამართლიანობის აღდგენა. ამ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა მოუსმინოს მხარეებს და გადაწყვიტოს, ვინ არის დამნაშავე. ბავშვები ხშირად მიანდობენ ხოლმე უფროსს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას. მასწავლებელსვე ევალება ამ დროს განსაზღვროს „სასჯელის ზომა“; ანუ რა შედეგები უნდა მოჰყვეს მიუღებელ ქმედებას მისი ჩამდენისათვის.

სამივე მიდგომას, ზოგიერთი დადგებითი მხარის მიუხედავად, ერთი საერთო ნაკლი აქვს. ვერც ერთი მათგანი ვერ შეუწყობს ხელს მოსწავლეთა დამოუკიდებლობის განვითარებას, კომპრომისზე წასვლის და ერთმანეთთან შეთანხმების მიღწევის უნარის ჩამოყალიბებას. ამიტომ, თუნდაც ამ მიდგომებით მოხერხდეს ერთი კონკრეტული კონფლიქტის მოგვარება, ეს ვერ გამოადგება მოსწავლეს იმის მოდელად, თუ როგორ შეიძლება მოიქცეს მომავალში ახალი კონფლიქტების წარმოშობისას. ამიტომაც, ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მასწავლებელს შეუძლია გააკეთოს, არის ის, რომ მოამზადოს მოსწავლეები კონფლიქტების მოგვარებაში აქტიური როლის შესრულებისთვის და მიანდოოს მათ ინიციატივა. ამისათვის, ვასწავლოთ მოსწავლეებს მოლაპარაკების წარმართვა და მოვამზადოთ ისინი კონფლიქტში მედიატორის როლის შესრულებისთვის.

მოლაპარაკებები

როცა კონფლიქტზეა საუბარი, შეიძლება დაგვრჩეს შთაბეჭდილება, რომ ერთი მხარე მოგებული უნდა დარჩეს და მეორე წაგებული. კონფლიქტის მოგვარეების კონსტრუქციული გზის ძიება კი გულისხმობის ისეთი გადაწყვეტილების პონას, რომლის შედეგადაც ორივე მხარე მოგებული დარჩება. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანი დამნაშავეის პონა და საკუთარი სიმართლის დამტკიცება კი არა, არამედ პრობლემის უფრო დრმად გააზრება

და ორივე მოდავისთვის მეტ-ნაკლებად მისაღები გამოსავალის პოვნაა.



სიტუაცია 2.

რატი და გიორგი თანაკლასელები არიან. ისინი მუდამ კინკლაობენ და მათი ჩეუბი ხშირად შლის სასწავლო პროცესს. მასწავლებელმა ჩათვალა, რომ მოლაპარაკებების გზა ოპტიმალური საშუალებაა მათი კონფლიქტის მოსაგვარებლად. მან დაითანხმა ორივე მოსწავლე ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობაზე. მასწავლებელი შეეცადა, შეექმნა ოფიციალურ მოლაპარაკებებთან მიახლოვებული გარემო, რამაც ბავშვების ინტერესი გააღვიფა. პირველ რიგში, რატიც და გიორგიც შეეცადნენ, გაერკვიათ, რა ხდებოდა მათ შორის, რა პრეტენზიები ჰქონდათ ერთმანეთთან. ამის შემდეგ მასწავლებელმა სთხოვა მათ, ჩამოეთვალიათ ურთიერთობის მოგვარების გზები. ორივე მოსწავლემ აღიარა, რომ ჩეუბი სკოლაში არ შეიძლება და შეთანხმდნენ, რომ ამ დღიდან სკოლის ტერიტორიაზე მაინც მოერიდებოდნენ დია დაპირისპირებას, თუმცა

დამეგობრებაზე ორივემ უარი განაცხადა. ამგვარად, შედგა შეთანხმება, რომელიც ბავშვებმა ხელის ჩამორთმევით განამტკიცეს. ამ დღის შემდეგ სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა და ეს გაუმჯობესება არამარტო სკოლაში, არამედ სკოლის გარეთ მათ ურთიერთობაზეც აისახა.

როგორც ამ მაგალითიდან ჩანს, კონფლიქტის მოგვარება მოლაპარაკებების გზით რამდენიმე საფეხურად იყოფა:

1. განვსაზღვროთ პრობლემის არსი

სწორი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია, თუ პრობლემა თავიდანვე სწორად არ იქნა განსაზღვრული. ორივე მხარეს უნდა ესმოდეს, რა ხდება რეალურად, ხომ არ არსებობს უფრო სიღრმისეული პრობლემა, რომლის კონკრეტული გამოვლინებაც ეს კონფლიქტი გახდა. ამ ეტაპზე მოსწავლეებმა უნდა შეძლონ, გულწრფელად ჩამოაყალიბონ, რა სურთ და რას განიცდიან მოცემულ სიტუაციაში. ეს საუბარი არ უნდა გადაიზარდოს ურთიერთობრალდებებსა და შეურაცხეოფაში. ამიტომ წინასწარ უნდა შეთანხმდნენ, რომ მოსწავლეები არ შეაწყვეტინებენ ერთმანეთს და არ გამოიყენებენ მიმართვის უხეშ ფორმებს. ამასთან, უმჯობესია, მათ, ძირითადად, საკუთარ თავზე ისაუბრონ, ანუ გამოხატონ ის, თუ თავად რა განიცადეს თანატოლის ქმედების შედეგად და რატომ. მაგალითად, „მე თავი ძალიან შეურაცხეოფილად ვიგრძენი, როცა შენ ასეთი სიტყვებით მომმართვ, რადგან ეს ყველას ესმოდა.“ ამასთან, მოსწავლემ შეიძლება განმარტოს, თუ რა სურს მას. „მე მინდა, რომ შენ ცოტა პატივისცემით მელაპარაკო, განსაკუთრებით, როცა მოელი ჩვენი კლასი ისმენს“.

იმისათვის, რომ კონფლიქტის არსი ორივე მხარემ გაიაზროს, აუცილებელია, მათ უკრადღებით მოუსმინონ ერთმანეთს. მოსმენა კი ამ შემთხვევაში მოითხოვს იმას, რომ საკუთარი ქმოციები დროებით გვერდზე გადავდოთ და მოწინაადმდეგის გაგებას შევეცადოთ. კონფლიქტის მოგვარების პროცესში ეს ალბათ ყველაზე როული ეტაპია. მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ აქტიური მოსმენის უნარ-ჩვევების გამოყენება, კითხვების დასმა თანამოსაუბრის პოზიციის, დამოკიდებულების დასაზუსტებლად. ერთ-ერთი ხერხი, რასაც ხშირად იყენებენ მოლაპარაკებისას, არის ის, რომ ვთხოვთ მოსწავლეს, ხელახლა ჩამოაყალიბოს ის, რაც თანამოსაუბრისგან მოისმინა. ამ დროს მას უხდება თავისი რეაქციის, ბრაზის დროებით მაინც მოთოვგა და ობიექტურობის შენარჩუნება.

იბ. II -
გვ. 132

2. განვსაზღვროთ კონფლიქტის გადაჭრის შესაძლო გზები

მოსწავლეები ცდილობენ, ერთად მოიფიქრონ და ფურცელზე ჩამოწერონ ამ კონფლიქტის მოგვარების ყველა შესაძლო ვარიანტი. მოსწავლეებს შეიძლება დავვხმაროთ კითხვებით: „რა შეიძლება შევცვალოთ ჩვენს ქცევაში?“ „რა წესი შეიძლება შემოვიდოთ?“ „კიდევ ხომ არ არსებობს რამე ვარიანტი?“ ამ ეტაპზე არ არსებობს მიუღებელი შემოთავაზება. ჩვენი მიზანია, არ გამოგვრჩეს არც ერთი შესაძლო ხერხი, რომელმაც შეიძლება კონფლიქტის მოგვარებას შეუწყოს ხელი.

3. შევარჩიოთ ორივე მხარისთვის მისაღები ვარიანტი

კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზების მაქსიმალურად სრული სიის შედგენის შემდეგ მოსწავლეები სათითაოდ განიხილავენ თითოეულ ვარიანტს. ისინი ცდილობენ, უპასუხონ კითხვებს: როგორია თითოეული ვარიანტის დაღებითი და უარყოფითი მხარეები? რა საკითხები რჩება მოუგვარებელი თითოეული ამ გზის არჩევისას? რა მოხდება, თუ ამ ხერხს ვცდით? საბოლოოდ, მხარეები უნდა შეთანხმნდენ ჩამოთვლილთა შორის ყველაზე მისაღებ ვარიანტზე. შეთანხმება აუცილებლად დეტალური უნდა იყოს, ზუსტად უნდა დავაღიოთ, ვინ რას გააკეთებს, სად და როდის. ამგვარი დეტალების წინასწარ გარევეის გარეშე შეთანხმება შეიძლება არ შესრულდეს.

4. შევაფასოთ შეთანხმების შედეგები

კონფლიქტის მოგვარების შერჩეული ხერხის განხორცილებისას, აუცილებელია, მოსწავლეებს ესმოდეთ, რომ ეს ჯერ კიდევ საცდელი ვარიანტია და ამ გზამ შეიძლება არც გაამართოლოს. ამიტომ პარალელურად უნდა დაიწყოს შედეგებზე დაკვირვება და შეფასება. მოსწავლეები მუდმივად უსვამენ საკუთარ თავს შეკითხვებს: მოგვარდა კი პრობლემა? ყველა კმაყოფილია შედეგებით? ხომ არ უნდა შევცვალოთ რამე? თუ მხარეები მიღწეულ შედეგებს არადამაქმაყოფილებლად მიიჩნევენ, საჭირო ხდება ცვლილებებზე, ან სრულიად ახალ ვარიანტზე შეთანხმება და მისი განხორციელება.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოსწავლეებს შორის მოლაპარაკების გზა ძალიან ეფუძებული შეიძლება იყოს კონფლიქტის მოგვარებისთვის. ამის ერთადერთი პირობა არის ის, რომ ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს ამის სურვილი და იყოს მზად კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმისთვის.

მედიაცია

კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების მეორე გავრცელებული გზაა მედიაცია, ანუ საკითხის გადაჭრა კონფლიქტში მესამე, ნეიტრალური პირის, მედიატორის, მონაწილეობით. ამ შემთხვევაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოდავე მხარეების მზაობას დისკუსიისა და საკითხის ერთობლივად მოგვარებისთვის. მედიატორი შეიძლება დაეხმაროს მხარეებს, მაგრამ იგი თვითონ ვერ გადაჭრის კონფლიქტს. პრაქტიკაში აჩვენა, რომ მედიაციის პროცესი ყველაზე შედეგიანი მაშინაა, როცა მედიატორის როლს კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეების თანაკლასელები ან თანასკოლებები ასრულებენ. ამას თანატოლთა მედიაცია ჰქვია. ასევე ეფექტური მედიატორები შეიძლება იყვნენ ამავე სკოლის მასწავლებლები. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მედიატორს აუცილებლად უნდა პქონდეს გავლილი სპეციალური მოსამზადებელი კურსი, როგორც ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხდება. ამიტომ, ჩვეულებრივ, მოწვევული სპეციალისტები ახორციელებენ სკოლის ზოგიერთი მოსწავლისა და მასწავლებლის მომზადებას, რის შემდეგაც მათ ეძლევათ მედიატორის როლის შესრულების უფლება. მედიაციის პროცესი ინერგება არა ერთ რომელიმე კლასში, არამედ მთელ სკოლაში და ეს მხოლოდ აღმინისტრაციისა და მშობლების აქტიური მხარდაჭერით შეიძლება განხორციელდეს. მედიაციის პროცესის წარმატებით განხორციელებისთვის

- მედიატორად უნდა შეირჩეს მოსწავლე, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს თანატოლთა შორის;
- მედიაციის დაწყებამდე უნდა განისაზღვროს ძირითადი წესები, რომელიც დაარეგულირებს მთელ პროცესს, მაგალითად, ერთმანეთისადმი მიმართვის ფორმებს, პირველად რომელი მხარე იწყებს საუბარს და ა.შ;
- მედიატორი თავად არ კარნახობს გადაწყვეტილებებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს და არ გამოხატავს თავის მხარდაჭერას რომელიმე მათგანის მიმართ. იგი რჩება აბსოლუტურად ნეიტრალური და მიუკერძოებელი;
- მედიატორს აუცილებლად უნდა პქონდეს აქტიური მოსმენისა და დია კითხვების დასმის უნარ-ჩვევები. მისმა შეკითხვებმა სტიმული უნდა მისცეს კონფლიქტში მონაწილე მოსწავლეებს, დიად გამოხატონ თავიანთი გრძნობები და დამოკიდებულება („რას გულისხმობდი, როცა თქვი, რომ...?“) და გადადგან ნაბიჯები ერთობლივი გადაწყვეტილების მისაღებად („რა უნდა მოხდეს, რომ ყველაფერი გამოსწორდეს?“);
- შეხვედრის ადგილი, დრო და ხანგძლივობა საკმაოდ მნიშვნელოვანია. პროცესს უნდა მიუცეს ოფიციალური მოლა-

პარაკებების ფორმა და ყველაფერი, რაც ამ დროს ხდება, უნდა იყოს კონფიდენციალური;

- მედიაციის პროცესი სრულდება გარკვეული ხელშეკრულებით, რომელშიც თანაბრადაა ასახული ორივე მხარის პოზიცია და დაკონკრეტულია, როგორ უნდა მოგვარდეს მსგავსი კონფლიქტური სიტუაციები მომავალში.

მოსწავლეთა შორის მოლაპარაკებები და მედიაცია გაცილებით მეტ დროს და ძალისხმევას მოითხოვს, ვიდრე კონფლიქტის მოგვარების სხვა გზები, მაგრამ შედეგებიც გაცილებით უფრო შორსმიმავალია. მცირდება აგრესიისა და ძალადობის დონე სკოლაში, იზრდება მოსწავლის თვითშეფასება, მისი პატივისცემა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, რაც, საბოლოო ჯამში, არამხოლოდ აუმჯობესებს სასწავლო გარემოს, არამედ ამზადებს მოსწავლეს წარმატებული ურთიერთობებისათვის მთელი ცხოვრების მანძილზე.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- კონფლიქტის მიზნების, ღირებულებების, ქმედებების შეუთავსებლობითაა გამოწვეული და იგი ბუნებრივი მოვლებაა სკოლაში;
- კონფლიქტის მოგვარებისთვის მოსწავლემ შეიძლება მიმართოს აგრესიას და ძალადობას, როცა იგი ამის მაგალითს უფროსებისგან ხედავს, ან არა აქვს სოციალური უნარ-ჩვევები;
- აგრესიის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა კლასში თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტობის ატმოსფეროს შექმნა;
- კონფლიქტის მოგვარებისთვის მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს დირექტიული მიდგომა, შეასრულოს არბიტრის ან მოსამართლის როლი. თუმცა არც ერთი ეს მიდგომა არ ამზადებს მოსწავლეს კონფლიქტების დამოუკიდებლად დარეგულირებისთვის;
- კონფლიქტების მოგვარებისთვის ყველაზე ეფექტურია, რომ მივანდოთ მოსწავლეებს ინიციატივა და მოვამზადოთ ისინი მოლაპარაკებებისა და მედიაციის ხერხების გამოყენებისთვის.

განათლება და კანონმდებლობა

ამ თავის წარითხოების შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რა ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი აქტები უნდა იცოდეს მასშავლებელმა;

როგორ უნდა შეუწყონ ხელი მასშავლებლებმა სკოლებში განათლების უფლების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციების დანერგვას;

როგორ უნდა გამოიყენონ მასშავლებლებმა სამართლებრივი აქტები სკოლაში.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. საქართველოს კანონმდებლობით რა ასაკიდან აქვს ბავშვს განათლების მიღების უფლება?
2. როგორ უნდა დაიცვან მასშავლებლებმა რელიგიური, ეთნიკური ან ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეთა უფლებები?
3. როგორ უნდა იზრუნონ მასშავლებლებმა ბავშვების კეთილდღეობისათვის?

ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების უფლება, რომელიც ადამიანის ერთ-ერთი უფლებამეტეული უფლებაა. როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა ითვალისწინებს ბავშვთა ამ უფლების დაცვას. მასწავლებლის მოვალეობაა, დაექვემდებაროს ამ კანონებს, რომელიც გულისხმობს თითოეული ბავშვის უზრუნველყოფას სრული ზოგადი განათლების მიღების თანაბარი უფლებით.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს, 6 წლის ასაკიდან მიიღოს ზოგადი განათლება საქართველოს ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. საქართველოში ზოგადი განათლება, რომელიც 12 წელს მოიცავს, სამსაჯებურიანია: დაწყებითი - 6 წელი, საბაზო - 3 წელი და საშუალო - 3 წელი.

საქართველოს კონსტიტუცია ყველას უზრუნველყოფს განათლების მიღების უფლებით და ანიჭებს მათ შესაძლებლობას, აირჩიონ სახელმწიფო ან ეკრძო განათლება. განათლების მიღებაში არავის არ უნდა შეეშალოს ხელი, ეროვნების, რასის, სქესის, ეთნოგური წარმომავლობის, ქონებრივი მდგრმარეობის, რელიგიური კუთხით განათლების ან სხვა სტატუსის მიუხედავად. ყველა ბავშვი ვალდებულია, მიიღოს დაწყებითი განათლება. საქართველოს კანონმდებლობით, ყველას აქვს უფასო ზოგადი განათლების მიღების უფლება. სახელმწიფო ვაჟერული დაფინანსებით უზრულევლყოფს ყველა მოსწავლეს. ყველა ბავშვისთვის განათლების უფლების უზრუნველყოფასთან ერთად, სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე. ამდენად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მოვალეობა, შექმნას ისეთი უსაფრთხო გარემო, რომელშიც მოსწავლეები ეფუქტიანად სწავლას შეძლებენ. მაშინაც კი, როდესაც მოსწავლეები დისციპლინური დარღვევებისთვის ისჯებიან, მასწავლებლებმა უნდა იზრუნონ ბავშვის ადამიანური დირსების შენარჩუნებაზე. მაგალითად, მოსწავლე, რომელიც სკოლაში გამუდმებით წეუბობს, სკოლის ადმინისტრაციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააშინოს, არ უნდა მიაკერძოს მას ფიზიკური თუ სიტყვიური შეურაცხოფა; ასევე, დაუშვებელია სადამსჯელო დონისძიებების გატარება სხვა მოსწავლეების თანდასწრებით.

საქართველო არის ისეთი საერთაშორისო კონვენციების მონაწილე ქვეყანა, როგორიცა გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საყველოთათ დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია და ასევე, ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენცია. იმ სფეროებში, რომელსაც საქართ-

ველოს კანონმდებლობა ვერ ფარავს, ბავშვის უფლებების დაცვის ოვალსაზრისით, საერთაშორისო კონვენციებში ასახული დებულებები უნდა იყოს გათვალისწინებული.

ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის 29-ე მუხლის თანახმად, მასწავლებლები უნდა დაეხმარონ მოსწავლეებს გონიერივ და ფიზიკურ განვითარებაში. ეს ნიშნავს, რომ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ სწავლისა და დასკენების საშუალება.

სასკოლო სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს სამოქალაქო განათლებას. სამოქალაქო განათლება მოიცავს როგორც ძირითადი ეთნიკური ჯგუფის, ასევე ეროვნული უმცირესობების, სხვა ეროვნებებისა და ეთნიკური დაჯგუფების პატივისცემის სწავლას. სამოქალაქო განათლების ნაწილია ისიც, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის, სახელმწიფო ენის, ისტორიის, ტრადიციების და ა.შ. მნიშვნელობა. მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ ერთმანეთის უფლებების დაცვის მნიშვნელობაც. საქართველოს ხელისუფლებამ, შესაბამისი კანონმდებლობის შემოღების გზით, უნდა უზრუნველყოს უმცირესობათა წარმომადგენელი ბავშვების უფლებების დაცვა. ამ მიზნით, სახელმწიფომ უნდა დაიცვას საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები. ასეთი ვალდებულებების დაცვის უმთავრესი გარანტი კი მოქმედი კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოვყანაა.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. ოქმცა, საქართველოში არსებობს სხვა რელიგიური უმცირესობები, რომელთა პატივისცემაც საქართველოში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანის ვალდებულებაა. საქართველოში ცხოვრობენ ებრაელები, მუსულმანები, არამართლმადიდებელი ქრისტიანები და ა.შ. დაუშვებელია უმცირესობათა ამ ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების რელიგიურ ცერემონიებში, ლოცვებში, ან მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურებაში იძულებით ჩართვა.

რწმენის თავისუფლების დარღვევის მაგალითია, როდესაც მასწავლებელმა კლასიდან გააგდო ებრაელი მოსწავლე იმ მიზეზით, რომ მას ეფარა ებრაული რელიგიური თავსაბურავი.

მსგავსი მოპერობა იქრძალება არამხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და ზოგადი განათლების შესახებ კანონით, არამედ ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით (რელიგიის თავისუფლება).

მოსწავლეები ზოგჯერ უვებიან ანეკდოტებს სხვა ეთნიკურ წარმომადგენლებზე. თუ მასწავლებელი კლასში ასეთ ხუმრობას გაიგებს, აუცილებლად უნდა აუსხანას მოსწავლეებს, თუ რატომაა დაუშვებელი ამგვარი საუბარი. მასწავლებელი არ უნდა ჩაერთოს ასეთ ხუმრობაში და იზრუნოს, რომ ადარ განმეორდეს მსგავსი საქციელი.

საქართველოში სახელმწიფო ენა ქართულია. მაგრამ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ენობრივი ბარიერის გამო, არა-ვითარ შემთხვევაში არ უნდა ეთქვას უარი განათლების მიღებაზე. მასწავლებელი ვალდებულია, ხელი შეუშალოს მოსწავლეების მხრიდან მშობლიურ ენაზე საუბრის გამო მათ დაცინვასა და დამცირებას. მასწავლებელმა ბავშვებს უნდა ასწავლოს ტოლერანტობა და პატივისცემა ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ. მასწავლებლის მხრიდან დაუშვებელია უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის მშობლიურ ენაზე საუბრის აკრძალვა. მასწავლებელს მოეთხოვება, დაიცვას მათი ინდივიდუალური და კოლექტიური უფლება, შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული თვითმყოფადობა.

სასურველია, ბავშვებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად შემუშავდეს დამატებითი დახმარების პროგრამა მათთვის, ვისთვისაც ქართული არაა მშობლიური ენა.

თქვენ უკვე შეგიძლიათ, იპოვოთ პასუხი ამ თავის დახასწყისში მოცემულ კვეთა შეაითხეაზე. დაუბრუნდით კითხვებს და გაეცით პასუხები.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მასწავლებლისთვის მოსწავლეების კეთილდღეობაზე ზრუნვა არამხოლოდ მორალური, არამედ კანონით გათვალისწინებული მოვალეობაა;
- მასწავლებელმა უნდა იზრუნოს იმაზე, რომ მოსწავლეები ფიზიკურად უსაფრთხო სასწავლო გარემოში იმყოფებოდნენ. ბავშვის უსაფრთხოების დაცვა მოიცავს დისციპლინური წესების დაცვას და სქოლის გარეთ ბავშვის უფლებების შედახვის ნებისმიერ შემთხვევაზე სათანადო რეაგირებას;
- მასწავლებელმა უნდა იზრუნოს ბავშვის დირსების დაცვაზე, გარგად უნდა იცნობდეს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ყველა სამართლებრივი მქანიზმი უნდა გამოიყენოს ბავშვის უფლებების დასაცავად;
- დაუშვებელია, მასწავლებელი განსხვავებულად მოეპყრას სხვა ეროვნული ოუ რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეებს, მათი კანონიერი ინტერესების საზიანოდ.

მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას მოიცავს მასწავლებლის უფლებები;

რას მოიცავს მასწავლებლის მოვალეობები;

მასწავლებელსა და მოსწავლესთან დაკავშირებული რა ინფორმაცია უნდა იყოს შენახული კონფიდენციალურად.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა არის მასწავლებლის პროფესიული ვალდებულება?
2. მოსწავლის შესახებ რა ინფორმაცია უნდა შეინახოს მასწავლებლმა კონფიდენციალურად?
3. რა უნდა გაკეთდეს, თუ სკოლაში ყოფნის პერიოდში ბავშვის უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება?
4. რა ზომებს უნდა მიმართოს სკოლამ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, რათა ოქენი, როგორც მასწავლებლის უფლებები იყოს დაცული?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და, აგრეთვე, სკოლა, რომელშიც მუშაობს მასწავლებელი, პასუხისმგებელია მასწავლებლების უფლებების დაცვაზე.

მასწავლებლის ძირითადი უფლებები ჩამოთვლილია „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში. მათ შორისაა, გამოხატვისა და შექმნების თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება,

სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება და ა.შ.

- გამოხატვის თავისუფლება - უფლება, მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დამუშაოს ან გაავრცელოს გარკვეული ინფორმაცია ან იდეები, ასევე გამოიყენოს სკოლის რესურსები ასეთი ინფორმაციისა და იდეების მოსაძიებლად, დასამუშავებლად ან გასავრცელებლად (ზოგადი განათკების შესახებ კანონის მე-14 მუხლი).
- სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება ნიშნავს მოსწავლის და მასწავლებლის უფლებას, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება ან კვლევა იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.

მასწავლებლები სარგებლობენ იმ საყოველთაოდ აღიარებული უფლებებითაც, რომლებიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ კანონში, მაგრამ გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან. თავის მხრივ, სკოლა ვალდებულია, მასწავლებელს გააცნოს მისი უფლებები და თავისუფლებები. მასწავლებლების დროული ინფორმირებულობა შეამცირებს მათი უფლებების უკანონოდ შეზღუდვის შემთხვევებს.

ეველა მასწავლებელს უფლება აქვს, თანაბარ პირობებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ისარგებლოს კანონმდებლობით დაცული უფლებებითა და თავისუფლებებით.

ქვემოთ მოყვანილი შემთხვევა ნათლად აღწერს მასწავლებლის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტს, რის საფუძველზეც მასწავლობა სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლება.

სიტუაცია 1.

ნანა 2 წლის მანძილზე ასწავლიდა სკოლაში უცხო ენას. სამუშაოზე აყვანამდე ნანამ ამავე სკოლაში 1 წლიანი სტაჟირება გაიარა. გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ნანა გერმანული ენის პედაგოგია. თუმცა, მას სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები კვლავ სტაჟირად მოიხსენიებდნენ და ამ საფუძვლით ზღუდვავდნენ მას მასწავლებლისთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობაში. მაგ. ზემოაღნიშნულის საფუძვლით, ნანას უარი უთხრეს, მონაწილეობა მიეღო სკოლის სამეურვეო საბჭოს მუშაობასა და არჩევნებში. უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის ადმინისტრაციას ასეთი დამოკიდებულება მხოლოდ ნანას მიმართ გააჩნდა.

სიტუაციის სამართლებრივი ანალიზი:

შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, ნანა დასაქმებული იყო სკოლის მასწავლებლად. შრომით ურთიერთობაში დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციული მოპყრობა, რაც არათანაბარ პირობებში აყენებს პიროვნებას სხვა დასაქმებულებთან შედარებით. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონი უფლებას ანიჭებს მასწავლებლს, რომელიც, ამავდროულად, პედაგოგიური საბჭოს წევრია, გაწევრიანდეს სამეურვეო საბჭოში. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობის დაკომპლექტება ხდება არჩევნების გზით. ამრიგად, სამეურვეო საბჭოს არჩევნებში თავისი კანდიდატურის წამოყენების უფლება აქვს ნებისმიერ მასწავლებელს.

პრობლემის გადაწყვეტის გზა

მასწავლებელი უფლებამოსილია, თავისი უფლებების დასაცავად გაასაჩივროს სკოლის ნებისმიერი არასამართლებრივი ქმედება. სკოლამ უნდა შექმნას საჩივრის განხილვის ეფექტიანი და მიუკერძოულებელი სისტემა, რაც, თავის მხრივ, დარღვეული უფლებების დაცვის ერთგვარ სამართლებრივ გარანტის წარმოადგენს. კანონმდებლობის მიხედვით, სკოლაში საჩივრების განმხილველი ორგანო სამეურვეო საბჭო. დაინტერესებულ პირს საჩივარი შეუძლია წარადგინოს აგრეთვე სკოლის დირექტორის სახელზეც. თუ მიღებული პასუხი არ იქნება დამაკმაყოფილებელი, მასწავლებელს უფლება აქვს, სკოლის ხელმძღვანელობის უკანონო ქმედება გაასაჩივროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა წარადგინოს თავისი დასაბუთებული პრეტენზია შესაბამის ორგანოში წერილობითი სახით.

მოქალაქეთა განცხადებებსა და საჩივრებზე, რომლებიც სამინისტროს სისტემაში მომხდარ დარღვევებს შექმნას, რეაგირებას ახდენს გენერალური ინსპექცია, სამინისტროს სისტემაში შემავალი ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

კონფიდენციალობა მნიშვნელოვანია მასშავლებლებისათვის. ამიტომ თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მოსწავლეების ოჯახის წევრებს, საზოგადოებისა და მედიის წარმომადგენლებს არ უნდა პქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ პერსონალური ინფორმაცია მასშავლებლის შესახებ მისი ნებართვის გარეშე.

ასევე, დაცული უნდა იყოს მასშავლებლის აკადემიური უფლებები. საქართველოს კანონმდებლობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების შესაბამისად, მასშავლებელს უფლება აქვს, ასწავლის თავისი საგანი (საგნობრივი ჯგუფი) სახელმწიფოს, სამინისტროს, რელიგიური ორგანიზაციების ან მშობლების მხრიდან ცენტურის გარეშე.

დაუშვებელია მასშავლებელზე ზეწოლა არააკადემიური მიზეზების გამო მოსწავლის შეფასების შედეგების შეცვლის მიზნით (მაგ. საზოგადოების გამოჩენილი წევრების ან თანამშრომელი მასშავლებების შვილების ნიშნების და სხვ).

მასშავლებელი დაცული უნდა იყოს ძალადობისაგან მოსწავლეების, თანამშრომლების, მოსწავლეების ოჯახის წევრების ან საზოგადოების სხვა წარმომადგენელთა მხრიდან. ძალადობის აღკვეთისა და მასშავლებლის პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გადაუდებელი და აუცილებელი ზომების მიღება სკოლის ვალდებულებაა. მასშავლებლის უსაფრთხოების დაცვა კი გულისხმობს სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების უფლების დაცვასაც. სკოლამ ყველა ღონე უნდა იხმაროს ძალადობის ფაქტების გამოსავლენად და, საჭიროების შემთხვევაში, სამართალდამცავი ორგანოების დროული ინფორმირებისათვის.

მომდევნო სიტუაცია ასახავს შემთხვევას, როდესაც მასშავლებელს შეელახა შრომითი უფლება.

სიტუაცია 2.

დღილა ასწავლიდა რუსულ ენასა და ლიტერატურას ერთ-ერთ საჯარო სკოლაში 6 წლის მანძილზე. მან გაიმარჯვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის შესაბამისი უწყების ერთობლივ პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, ის მონაწილეობას მიიღებდა მასშავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამაში რუსეთის ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებაში. რუსეთის ფედერაციაში გამგზავრებამდე დღილა შეუთანხმდა სკოლის დირექტორს, რომ დაბრუნების

შემდეგ კვლავ გააგრძელებდა თავის ძველ კლასთან მუშაობას. შესაბამისად, დირექტორმა გამოსცა ბრძანება მისთვის ანაზღაურების გარეშე შექმნების მიცემის შესახებ.

1 ტრიმესტრიანი საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ლეილა დაბრუნდა სკოლაში, სადაც შეიტყო მისი გათავისუფლების შესახებ. იღოვთნიდა, რომ დირექტორმა იგი ბრძანების საფუძველზე სამსახურიდან დაითხოვა მისი შვებულების ამოწურვამდე 2 კვირით ადრე.

კითხვა: კანონიერი იყო თუ არა ლეილას გათავისუფლება?

სიტუაციის სამართლებრივი ანალიზი

დირექტორის ქმედება არღვევს ”ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით გარანტირებულ მასწავლებლის უფლებას ”აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც 6 წელიწადში ერთხელ უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით”. (“ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ”გ” ქვეპუნქტი), ისევე როგორც, საქართველოს შრომის კოდექსს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია დასაქმებულთან ხელშეკრულების მოშლა შვებულების პერიოდში.

პრობლემის გადაწყვეტის გზები

ლეილას უფლება აქვს, მიმართოს სკოლის დირექტორს და მოითხოვოს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა. ასეთ შემთხვევაში, მიმართვის ფორმა წერილობითი უნდა იყოს. თუ 14 დღის განმავლობაში დირექტორმა არ მოახდინა რეაგირება გათავისუფლებული მასწავლებლის მიმართვაზე, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გათავისუფლების შესახებ დირექტორის ბრძანების ბათილად ცხობა და იძულებით გაცდენილი დროის განმავლობაში ხელფასის ანაზღაურება. მნიშვნელოვანია, რომ ლეილას შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი გათავისუფლების შესახებ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის განმავლობაში. ამ ვადის ნებისმიერი, თუნდაც საპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში სასამართლო არ განიხილავს ლეილას სარჩელს.

ქვემოთ მოცემული სიტუაცია განსხვავდება დანარჩენი მაგალითებისგან, ვინაიდან აღწერს ისეთ შემთხვევას, რომლის გადაწყვეტის გზა უშეალოდ არ არის კანონმდებლობით მოწესრიგებული.

სიტუაცია 3.

თქვენ გიორგის ქართულს ასწავლით. მას ყოველთვის პრობლემები აქვს ერთაქცევაში და დავალებასაც თითქმის არასოდეს ასრულებს. თქვენ სკოლის დირექტორს ხთხოვთ, რომ მომავალ კვირას, გაკვეთილების დასრულების შემდეგ დანიშნოს საერთო შეხვედრა გიორგის მშობლებთან. დირექტორი გიორგის მამას უთანხმებს შეხვედრას მომავალი თოხშაბათისათვის. თუმცა გიორგის მამა თქვენთან დაუყოვნებლივ შეხვედრას გადაწყვეტს. იგი პირდაპირ თქვენს საქლასო თაახში შემოდის. თქვენ შუა გაკვეთილზე ხართ და მშობელს ხთხოვთ, გარეთ დაგელოდოთ, ვიდრე გაკვეთილები დამთავრდება. გიორგის მამა უარს ამბობს გასვლაზე და დაუყოვნებლივ მოითხოვს მის შვილთან დაკავშირებული პრობლემების განხილვას.



როგორი უნდა იყოს სკოლის რეაქცია მსგავს შემთხვევაში?

ასეთ ვითარებაში სკოლის აღმინისტრაცია არ უნდა ჩაერიოს მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობაში და თავისუფლება უნდა მისცეს მათ პრობლემის მოგვარების პროცესში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მსარეები ვერ შეთანხმდნენ სიტუაციიდან გამოსავალზე.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი?

ამ სიტუაციაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მასწავლებელს, რომლის ინიციატივაც იყო მშობელთან ერთობლივი შეხვედრის ორგანიზება. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სიტუაციების გადაჭრის გზაზე არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით და პრობლემის მოგვარების ტკირთი მეტწილად მასწავლებელს აკისრია. მასწავლებელმა მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ მამა აღელვებულია და დაუყოვნებლივ მოითხოვს მასთან შეხვედრას. შესაძლებელია, რომ მასწავლებლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევაში მეტად გაზარდოს მამის უკმაყოფილება, ხოლო კლასში მყოფი მოსწავლეები არ უნდა გახდნენ დაძაბული ვითარების შემსწრევი. ამრიგად, დასაშვებია, მასწავლებელმა შექვიტოს სასწავლო პროცესი და დათანხმდეს მშობელს გასაუბრებაზე კლასის გარეთ. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელმა ამის შესახებ უნდა აცნობოს სკოლის ადმინისტრაციას ან, თუ შესაძლებელია, ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანდასწრებით გაესაუბროს აღელვებულ მშობელს.

მასწავლებელი სარგებლობს არამხოლოდ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით, არამედ მას ეკისრება გარევული მოვალეობებიც. მასწავლებლის მიერ საკუთარი პროფესიული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება მოიცავს: მოსწავლისთვის ხარისხიანი განათლების მიცემას, მის პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე ზრუნვას, პროფესიული ეთიკის დაცვასა და სხვ.

მასწავლებლის ერთ-ერთი მოვალეობაა ეთიკურად და პასუხისმგებლობით მოეკიდოს საკუთარ პროფესიას. საზოგადოებაში მასწავლებელი ერთ-ერთი ყველაზე სანდო და პატივსაცემი პიროვნება უნდა იყოს. იგი უნდა ცდილობდეს, გაამართლოს მშობლის მოლოდინი, რომ შვილები იღებენ ხარისხიან განათლებას უსაფრთხო და მზრუნველ გარემოში. მასწავლებელი უნდა იცავდეს საქართველოს კანონმდებლობას, როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ისე სკოლის გარეთ.

მასწავლებლები ვალდებული არიან, დაიცვან ეთიკის ნორმები მოსწავლეებთან და მშობლებთან ურთიერთობისას. დაუშვებელია მისი მხრიდან მოსწავლისათვის ფიზიკური ზიანის მიენება, ან ისეთი ქმედების განხორციელება, რაც საფრთხეს უქმნის ბავშვის უსაფრთხოებას და ლაბავს მის ღირსებას. ასევე, მასწავლებელმა არ უნდა მიაჟენოს მოსწავლეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

სიტუაცია 1.

თიკო, მეშვიდეეკლასელი გოგონა, კლასში დაგვიანებით შედის. უკვე მეხუთე დღეა, რაც თიკო, დაახლოებით, ნახევარი საათით იგვიანებს ბაქვეთილზე.

აღნიშნული სიტუაცია შეიძლება სხვადასხვანაირად განვითარდეს:

1. მასწავლებელი საკლასო ოთახში დაგვიანებით შემოსულ თიკოს დამცინავად ეუბნება: „დიდი მადლობა, რომ შემოგვიერთდი, თიკო. რამე პრობლემა გაქვს, რის გამოც სკოლაში დროულად ვერ მოდიხარ? კარგი მოსწავლები, ნებისმიერი პრობლემის მიუხედავად, ყოველთვის ახერხებენ სკოლაში დროულად მოსვლას. დაგვიანებით მოსვლას, სულ ნუ მოხვალ...“ ცხადია, თიკო შერცხვებილია. ის ჩუმად ჯდება და გაკვეთილის განმავლობაში ხმას საერთოდ არ იდებს.

2. მასწავლებელი თიკოს კლასში შესვლის ნებას რთავს. როდესაც გაკვეთილი მთავრდება, ის სხვა მოსწავლეებისაგან ცალკე იხმობს თიკოს და ეფთხება მიზეზს, რომლის გამოც იგი გაკვეთილზე აგვიანებს. თიკო უხსნის, რომ მის სახლთან ავტობუსის განხერების განრიგი შეცვალეს და ახლა ყოველი 10 წუთის ნაცვლად მხოლოდ 20 წუთში ერთხელ შეუძლია გამოჰყვეს ტრანსპორტის. მასწავლებელი მადლობას უხდის თიკოს ახსნა-განმარტებისათვის და ეუბნება, რომ უკათესია, თუ დილით უფრო ადრე გამოვა სახლიდან, რათა მეტი დრო პქონდეს წამოსასვლელად.

მეორე სცენარში მასწავლებელი თვლის, რომ უმჯობესია, კლასის წინაშე არ გაკიცხოს თიკო. ცალკე ესაუბრება და იგებს, რომ ბავშვს განსაკუთრებული გარემოების გამო უწევს კლასში დაგვიანება. ეს ეხმარება მასწავლებელს, მოაძებნინოს თიკოს პრობლემის გადასაჭრელი გზები.

მასწავლებლის მოვალეობაა, მიიღოს შესაბამისი ზომები, თუ ეჭვს აიღებს მოსწავლის წინააღმდეგ რამე სახის ძალადობასთან დაკავშირებით. ეს მოიცავს ინფორმაციას ბაგშვზე მშობლის, მასწავ-

ლებლის, ნებისმიერი სხვა პირისა თუ მეორე ბავშვის მხრიდან განხორციელებული ძალადობის შესახებ.

მასწავლებლის ერთ-ერთი მოვალეობაა მოსწავლის უფლების დაცვა კონფიდენციალობასთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სკოლაში თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნონ, მათი პირადი ინფორმაცია არ უნდა გაიცეს სხვა პირებზე. ინფორმაცია, რომელსაც მასწავლებელი კონფიდენციალურად უნდა ინახავდეს, მოიცავს მოსწავლეების ნიშნებს, სწავლასთან თუ ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებს. ინფორმაცია მოსწავლის შესახებ არ უნდა გაიცეს სხვა მოსწავლეებზე და არც სხვა პირებზე მშობლების, მუქრვის, ბებისა და ბაბუის გარდა, ასევე არც საზოგადოების რომელიმე წარმომადგენელზე, ან იმ მასწავლებლებზე, რომლებიც უშუალოდ არ ასწავლიან მოსწავლეს, რაღაც მათ არ შეუძლიათ მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ხელი შეუწყონ მოსწავლის პრობლემების გადაჭრას და შეიძლება ინფორმაცია მხოლოდ არასასურველი მიზნით გამოიყენონ.

სიტუაცია 2.

ხათუნა მასწავლებელი შესვენების დროს სამასწავლებლოში შედის. მან ეს-ესაა დაასრულა გაცვეთილი, რომლის მსვლელობისას პრობლემა შეექმნა ერთ-ერთ მოსწავლეებთან - თამართან. თამარმა უარი თქვა, შეესრულებინა მასწავლებლის მითითებები და უხეშად შეეპასუხა მას. ხათუნა იძულებული გახდა, დირექტორისთვის მოეხმო, რათა მოსწავლე კლასიდან დაეთხოვა მისი ცუდი ქცევის გამო. ორი მასწავლებელი, რომელიც თამარს არ ასწავლის და სხვა ბავშვის მშობელი, რომელიც სკოლაშია მოსული, სამასწავლებლოში სხედან. ბუნებრივია, ხათუნა გადიზიანებულია. როდესაც სამასწავლებლოში შემოდის, მასწავლებები ეკითხებიან, რა მოხდა.



აღნიშნული სიტუაცია შეიძლება სხვადასხვანაირად განვითარდეს, გთავაზობთ ორ ვარიანტს:

1. ხათუნა მასწავლებელი იწყებს თამართან დაკაგშირებული პრობლემის დეტალურად აღწერას. ის მოსწავლეს ცუდად ახასიათებს. ერთ-ერთი მასწავლებელი თამარის გვარს კითხულობს და ხათუნაც პასუხობს. მოგვიანებით, სახლში დაბრუნებული მასწავლებლები ოჯახებში ყვებიან თამარის შესახებ. სამასწავლებლოში მყოფი შშობელიც თამარის დედას ურეკავს და უყვება მომხდარის შესახებ.

2. ხათუნა მასწავლებელი ზოგადად აღწერს, რომ რა-
დაც პრობლემა პქონდა მოსწავლესთან. ის არ ახსენებს
მოსწავლის სახელს და არც სხვა ინფორმაციას იძლევა მის
შესახებ.

მეორე შემთხვევა მასწავლებლის სწორ რეაქციას აღწერს. დეტა-
ლური ინფორმაციის გაცემა, როგორიცაა, გთქათ, მოსწავლის სახელი
და გვარი, მოსწავლის უფლების დარღვევაა. მასწავლებელს მო-
სწავლის შესახებ ინფორმაციის განხილვა შეუძლია მხოლოდ
მშობლებთან, სკოლის ხელმძღვანელობასა და იმ მასწავლებლებთან,
რომლებიც აღნიშნულ მოსწავლეს ასწავლიან.

მოსწავლის შესახებ ჩანაწერები საიმედო ადგილას უნდა ინ-
ახებოდეს სკოლაში. მოსწავლის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი
უნდა იყოს მხოლოდ სკოლის ადმინისტრაციის, სკოლის ფსიქოლოგე-
ბის, მოსწავლის მასწავლებლების და მშობლებისათვის.

მოსწავლის ნიშნებთან, ისევე როგორც მოსწავლის მიერ ჩადენილ
დისციპლინურ დარღვევებთან დაკავშირებული ინფორმაციაც ასევე
კონფიდენციალურია. საშინაო დავალების, ტესტებისა და გამოცდე-
ბის ნიშნები მხოლოდ მოსწავლეებზე და მათ მშობლებზე უნდა
გაიცეს. ნიშნები, მოსწავლეების გვარ-სახელების თანხლებით, არ
უნდა გამოიკრას საკლასო ოთახში და არც ხმამაღლა უნდა გამოცხ-
ადდეს.

ბევრი პოტენციური პრობლემა შეიძლება ავიცილოთ თავიდან,
თუკი მოსწავლის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურად შეინახ-
ება. მაგალითად, ეს დაიცავს დაბალი ნიშნების ქონე მოსწავლეებს
და მათაც, ვინც დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინეს, თანაკლასელთა
მხრიდან დაცინებისაგან. ასევე, თავიდან აგვაცილებს მოსწავლეთა
დაპირისპირებას ნიშნების შედარების საფუძველზე და მასწავლებ-
ლის მიერ გამოყენებული შეფასების მეთოდების ეჭვეჭუშ დაყენებას.
აგრეთვე, ეს ხელს შეუწყობს კლასში წესრიგის შენარჩუნებას, რათა
მოსწავლეთა მხრიდან ერთმანეთის ნიშნების განხილვამ არ შეაფერ-
ხოს სასწავლო პროცესი.

მოსწავლეებთან ურთიერთობაში მასწავლებელი აუცილებლად სა-
მართლიანი და მიუკერძობებელი უნდა იყოს. მან არ უნდა განასხვავოს
მოსწავლეები რელიგიური, ეთნიკური, სოციალური თუ გენდერული
ნიშნით.

სიტუაცია 3.

გაგა მასწავლებელი ისტორიის გაპეტილზე ყოველთვის სვამს შეკითხვებს. ჩვეულებრივ, ის იმ მოსწავლის პასუხს იღებს, რომელიც პირველად აწევს ხელს. კლასში ბიჭები უფრო სწრაფად წევენ ხელს. შესაბამისად, მასწავლებელი ბიჭებს უფრო ხშირად აძლევს პასუხის გაცემის საშუალებას, ვიდრე გოგონებს. ქვეთის დედა გაგა მასწავლებელს ხვდება და ეკითხება, თუ რატომ არ იძახებს მის ქალიშვილს საპასუხოდ.

აღნიშნული სიტუაცია სხვადასხვანაირად შეიძლება განვითარდეს, მაგალითად:

1. როდესაც ქვეთის დედა გაგას ეკითხება, თუ რატომ არ იძახებს გოგონებს საპასუხოდ, გაგა ეუბნება: „უბრალოდ, ქვეთი უფრო სწრაფი უნდა იყოს. თუ უნდა რომ ცხოვრებაში გამოიყენოს ის, რასაც სწავლობს, ისიც უნდა ისწავლოს, როგორ გამოიყენოს.” გაგა განაგრძობს მისი სტრატეგიის გამოყენებას და კვლავ გოგონებთან შედარებით სწრაფ ბიჭებს აძლევს პასუხის გაცემის საშუალებას.

2. მშობლის შეკითხვის შემდეგ გაგა იმავე პასუხს სცემს. თუმცა, მოგვიანებით აცნობიერებს, რომ მართლაც, ძირითადად, ბიჭების პასუხს იღებს, რადგან ისინი პირველები წევენ ხელს. იგი გადაწყვეტს, რომ კითხვის დასმის შემდეგ ცოტა ხნით დაიცადოს, რათა დაინახოს, თუ რამდენ მოსწავლეს აქვს პასუხი მზად. აღმოაჩენს, რომ ხშირად ბევრმა გოგონამ იცის სწორი პასუხი, მაგრამ უფრო მეტს ყოყმანობს სანამ ხელს აწევს. ამის შემდეგ იგი მოსწავლეს აძლევს პასუხის გაცემის შესაძლებლობას.

თქვენ უკვე შევიძლიათ, დაუბრუნდეთ და უასეულო ამ თავის დასაწყისში დასმულ კითხვებს

ძირითადი დასკვნები და რეგომენდაციები:

- მასწავლებლის უფლებები დაცული უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ადგილობრივი სკოლის მიერ;
- მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა იცოდნენ საკუთარი უფლებების შესახებ, რათა, მათი დარღვევის შემთხვევაში, დაუყოვნებლად მიმართონ უფლებამოსილ ორგანოებს;
- მასწავლებელი ვალდებულია, იზრუნოს ბავშვის უფლებების დაცვასა და უსაფრთხო და მზრუნველი გარემოს შექმნაზე;
- ასევე, მასწავლებელი ვალდებულია, სასწავლო პროცესში თანაბრად ჩართოს ყველა ბავშვი, მიუხედავად მისი სქესის, ეთნიკური, რელიგიური, სოციალური წარმოშობისა და სპეციალური საჭიროებისა.

მოსწავლის უფლებები და გალდებულებები

ამ თავის წარითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რას მოიცავს ბავშვის უფლებები და გალდებულებები;

რას ნიშნავს გამოხატვის თავის უფლება;

რა უნდა გააკეთოს სკოლამ ბავშვის უფლებების დასაცავად.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, სკოლამ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?
2. რა უნდა მოიმოქმედოს მასწავლებელმა და სკოლამ ბავშვის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად?
3. რა ზომებს უნდა მიმართოს მასწავლებელმა ბავშვის მიერ დისციპლინური დარღვევის შემთხვევაში?
4. რა უფლებებით სარგებლობს და რა მოვალეობები ეკისრება მოსწავლეს სკოლაში?
5. რა საშუალებებით შეუძლია სკოლას ხელი შეუწყოს და დაიცვას მოსწავლის გამოხატვის თავის უფლება?

მოსწავლეების უფლებაა, ისტავლონ უსაფრთხო და დაცულ გარე მოში. საკლასო ოთახში თუ მის გარეთ, მოსწავლეები დაცული უნდა იყენებ ძალადობისაგან მასწავლებლების, ადმინისტრაციის ან სხვა მოსწავლეების მხრიდან. მასწავლებლებმა არასოდეს არ უნდა შეუქმნან

საფრთხე მოსწავლეების კეთილდღეობას და ხელი უნდა შეუშალონ მოსწავლეების ჩართვას არაკანონიერ თუ არაეთიკურ ქმედებებში. თუ მოსწავლე საფრთხეს გრძნობს კონკრეტული მასწავლებლისგან, ან იმ გარემოში, სადაც იმყოფება, ამის შესახებ აუცილებლად უნდა აცნობოს სკოლის დირექტორს. სკოლის ხელმძღვანელობის მოვალეობაა, მოახდინოს სათანადო და დროული რეაგირება მოსწავლის საჩივარზე, მოსწავლის კეთილდღეობის დასაცავად.

მოსწავლის უფლებაა, დაცული იყოს მისი პირადი საიდუმლოება: სკოლა ვალდებულია, არ გაავრცელოს მოსწავლის პერსონალური მონაცემები, გარდა ამისა, დაუშვებელია მათ მოვთხოვოთ პირადი ინფორმაციის გამქდაგნება. მეტიც, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია დისციპლინური მონაცემებისგან განცალკევებით უნდა ინახებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მონაცემები საჯარო ინფორმაციაა. თუმცა, მასწავლებელმა იმგვარად უნდა აცნობოს ეს ინფორმაცია თითოეულ მოსწავლეს, რომ არ შეიძლა მათი დირსება და დამცირებულად არ იგრძნონ თავი.

სიტუაცია 1.

ნინო მებუთე კლასელებს ასწავლის. მისმა მოსწავლეებმა ეს-ესაა დაწერეს ტესტი მათემატიკაში. გიორგი ნინოს ერთ-ერთი მოსწავლეა. იგი უოველთვის ძნელად სწავლობდა მათემატიკას და კვირაში ორჯერ კერძო მასწავლებელთან დამატებით მეცადინეობს. გიორგი ტესტის შედეგებს ელოდება.

1. მათემატიკის ტესტის შემდეგ ნინო კლასის წინაშე ხმადლა აცხადებს თითოეული მოსწავლის ნიშანს. მოსწავლეები, რომლებმაც კარგი ან უმაღლესი შეფასება მიიღეს, გახსარებულები არიან. როდესაც მასწავლებელი კლასის წინაშე ამბობს, რომ გიორგიმ ერთი ქულა მიიღო, ზოგი მოსწავლე მას თანაგრძნობით უცექრს, ზოგი კი მის დაცინვას იწყებს. გიორგი ცდილობს, თანაკლასელებთან ერთად გაიცინოს, მაგრამ თავს დამცირებულად გრძნობს. იგი ფიქრობს, რომ მათემატიკის სწავლას აზრი არ აქვს, რადგან მოულ მის ძალისხმევას მაინც ასეთი დაბალი ქულა და თანაკლასელების გარკვეული ნაწილის დაცინვა მოსდევს.

2. მათემატიკის ტესტის შედეგ ნინო სათითოდ იძახებს მოსწავლეებს თავის მაგიდასთან, რათა აჩვენოს შედეგები. იგი მოსწავლეებს უკავება, რომ გაკვეთილის მსვლელობისას ერთმანეთთან არ უნდა განიხილონ ეს ნიშნები და რომ ნიშნები პირადი ინფორმაციაა. როდესაც ნინო გიორგის აჩვენებს საკუთარ ნიშანს, მას შეახსენებს, რომ შედეგის გასაუმჯობესებლად კიდევ ძეგრი მუშაობაა საჭირო და თუ გიორგი იძეჯითებს, ნიშანი ბევრად გაუმჯობესდება. გიორგი გულდაწყვეტილია, მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს, კიდევ უფრო მეტი იმეცადინოს ნიშნის გამოსასწორებლად.

მოსწავლეებს აქვთ უფლება, მოსთხოვონ მასწავლებელს ან სკოლის ხელმძღვანელობას, არ გაამხილონ მათი პირადი ინფორმაცია, არც ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემები უნდა იქნას განხილული სხვა მოსწავლეებთან ან იმ მასწავლებლებთან, რომლებიც აღნიშნულ მოსწავლეს უშუალოდ არ ასწავლიან.

საზოგადოებრივი წესრიგის ისეთი დარღვევისას, რომელშიც გამოყენებულია იარაღი, მოსწავლეების შესახებ ინფორმაციას ხშირად ითხოვენ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები. ასეთ ვითარებაში მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას მართებთ, თავი შეიკავონ მოსწავლის შესახებ ისეთი ინფორმაციის გავრცელებისგან, რომელიც ლაბავს მის დირსებას, მაგალითად, როგორიცაა ინფორმაცია მოსწავლის წარსული ყოფაქცევისა და დისციპლინური მონაცემების შესახებ. მოსწავლის მიმართ ნებისმიერი ქმედების განხორციელებისას ან მის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას დაცული უნდა იყოს ბავშვის ინტერესი. ამრიგად, მასწავლებელი თუ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, უნდა იყოს მაქსიმალურად კორექტული მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და ყოფაქცევის შესახებ ინფორმაციის გამედავნების დროს.

სიტუაცია 2.

დათო მეათეკლასელებს ასწავლის. ორშაბათ დილით, როდესაც დათო სკოლაში მივიდა, გაიგო, რომ მისმა მოსწავლემ, ბექამ, სხვა მოსწავლესთან იჩეუბა. ჩეუბის დროს ბექამ დანით დაჭრა მეორე მოსწავლე, რომელიც ახლა საავადმყოფოში იმყოფებოდა. მედიის წარმომადგენებებმა შეიტყვეს მომხდარის შესახებ და სკოლის გარეთ ელოდებიან, თუ როდის დამთავრებს დათო მუშაობას. გარეთ გამოსულ დათოს უურნალისტები კითხვებს უსვამენ ბექას ყოფაქცევას.

ვისა და აკადემიური მოსწრების შესახებ.



გთავაზობთ აღნიშნული სიტუაციის ორ შესაძლო დასასრულს:

1 დათო ჟურნალისტს უამბობს, რომ ბექას რთული ხასიათი აქვს და ემოციური პრობლემები გაუწნდა მას შემდეგ, რაც დედამისი საბერძნებელში წავიდა სამუშაოდ. შემდეგ ამატებს, რომ არ გაპირვებია ბექას ასეთ ინციდენტში მონაწილეობის ამბავი.

2. დათო ტელე-ჟურნალისტს ეუბნება, რომ ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ კონფიდენციალურია და რომ ჟურნალისტებმა ოფიციალური განცხადებისთვის სკოლის დირექტორს ან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილ წარმომადგენელს უნდა მიმართონ.

ორ მოსწავლეს შორის კონფლიქტის შემთხვევაში მშობლებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ მასწავლებლებს და სთხოვონ ინფორმაცია იმ მოსწავლის შესახებ, რომელსაც ჩეუბი მოუკიდა მათ შვილთან. მასწავლებლებმა თუ სკოლის ადმინისტრაციამ მშობლებთან ერთად უნდა განიხილოს მხოლოდ შემთხვევის დეტალები და ეცადონ, თავი შეიკავონ ისეთი ინფორმაციის გავრცელებისგან, რომელიც შეიძლება ეხებოდეს მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და საერთო ყოფაქცევას.

მოსწავლეებს უფლება აქვთ იცოდნენ, თუ რა შემთხვევაში და რა სახის დისციპლინური სახელები გამოიყენება კონკრეტულ სკოლაში. მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ სკოლის შინაგანაწესით დადგენილი წესით, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსწავლისა და მშობლისთვის. მოსწავლეებს უფლება აქვთ სკოლის დირექტორს თუ სკოლის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელს შეხვდნენ ოჯახის წევრის თანდასწრებით. ეკედა სახის სადამსჯელო დონისხივის, გაკვეთილებზე დასწრების დროებითი აკრძალვის ან სკოლიდან მოსწავლის გარიცხვის შესახებ, უნდა ეცნობოს მშობლებს.

სიტუაცია 3.

ლუკა ხშირად ქმნის პრობლემებს სკოლაში, ეუხეშება მასწავლებლებს და არღვევს ქცევის წესებს. მასწავლებლები ვერ ახერხებენ მის გამოსწორებას.

გთავაზობთ აღნიშნული სიტუაციის ორ შესაძლო დასასრულებლები:

1. მასწავლებლების ნაწილი სკოლის დირექტორს ლუკას გარიცხვის მოთხოვნით მიმართავს, რადგან იგი შლის სასწავლო პროცესს და ხელს უშლის სწავლაში სხვა მოსწავლეების. დირექტორი თანხმდება, მოსწავლეებს თავის კაბინეტში იბარებს და ეუბნება, რომ აუცილებლად უნდა მოიყვანოს ხვალ მშობლები, რათა გაატანოს სკოლიდან მისი საბუთები.

2. მასწავლებლები ხვდებიან სკოლის დირექტორს და მოითხოვენ, რომ ლუკა გაირიცხოს. თუმცა, ლუკას გარიცხვამდე, დირექტორი ნიშავს შეხვედრას მის მშობლებთან და ლუკას ეკედა მასწავლებელთან. აღმოჩნდა, რომ წლის დასაწყისში ლუკას მშობლები ერთმანეთს გასცილდნენ და ბავშვის საქციელი სწორებ ამის შემდეგ შეიცვალა. აგრეთვა, ლუკას

რამდენიმე მასწავლებელი ამბობს, რომ ლუკა მათთან წესი-ერად იქცევა. ისინი კოლეგებს უზიარებენ ზოგიერთ სტრატეგიას, რომლის საშუალებითაც ახერხებენ ლუკასთან დადებით ურთიერთობას. დირექტორი, მასწავლებლები და ლუკას დედა თანხმდებიან, მიმართონ იმავე სტრატეგიებს და არ იჩქარონ გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

მეორე ვარიანტის მიხედვით, ვიდრე სკოლა ისეთ რადიკალურ გადაწყვეტილებას მიიღებს, როგორიცაა მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა, აუცილებელია, შეისწავლონ საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტი და პრობლემის გამომწვევი მიხეზები. ამ პრინციპით, ლუკას საკუთარი საქციელის გამოსწორების, ხოლო მასწავლებელს პრობლემის გამომწვევ მიზეზებთან ბრძოლის შანსი მიეცა.

კანონმდებლობის თანახმად, მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს სკოლის დისციპლინურ კომიტეტს. ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთობული და ყველა ფაქტობრივი გარემოების სრულყოფილი შესწავლის შედეგად გამოტანილი.

საქართველო იცავს ბავშვთა უფლებების კონვენციას. ამ კონვენციის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას ბავშვების გამოხატვის უფლება და ასევე, კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, ბავშვს უფლება აქვს მისი აზრი მოისმინონ ნებისმიერი სასამართლო ან ადმინისტრაციული განხილვის დროს, მასთან დაკავშირებულ საქმეზე. გაერთიანებული ერების ბავშვთა უფლებების კონვენცია და ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია აღნიშნავს, რომ ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა გამოხატვის თავისუფლება. სკოლებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვის გამოხატვის თავისუფლების არა მხელოდ დაცვა, არამედ ამ უფლების განხორციელებისთვის ხელის შეწყობაც. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი იმის შესახებ, თუ რა დონისძიებები უნდა გაატაროს სკოლამ მოსწავლის გამოხატვის თავისუფლების დასაცავად:

- პატივისცემა იმ მოსწავლეების მიმართ, რომლებსაც სხვა მოსწავლეებისაგან ან მასწავლებლისაგან განსხვავებული აზრი გააჩნიათ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით;
- ტოლერანტულობისაკენ მოწოდება და იმ მოსწავლეების აზრის მიღება, რომლებიც უმრავლესობის აზრს ეწინააღმდეგებიან;
- საკამაოო საკითხებთან დაკავშირებული შემოქმედებითი წერილობითი სამუშაოს მიცემა;
- სადებატო კლუბის შექმნის ხელშეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, მასწავლებლის მეთვალყურეო-

ბის ქვეშ განიხილონ სხვადასხვა თემა;

• მასწავლებლებს შეუძლიათ წამოიწყონ დისკუსია საკამათო საკითხებთან დაკავშირებით ისტორიიდან, ან მიმდინარე მოვლენების შესახებ. მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა ასწავლოს საკლასო დისკუსიის წარმართვის მეთოდები და წესები (მაგ. ყველა მოსწავლე პატივისცემით უსმენს ერთმანეთს; არ დასცინიან განსხვავებული აზრის ქმონე თანაკლასელს და ა.შ.);

• კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, განსაზღვრულ დღეებში პრეზენტაციების მოწყობა მოსწავლეების მიერ საქუთარი რელიგიის, ენის, ეთნიკური წარმომავლობის, ოჯახური ტრადიციების თუ სხვა საკითხების შესახებ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და სკოლა პასუხისმგებელია დაიცვას ბავშვი რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ეროვნული ან სოციალური დისკრიმინაციისაგან. მოსწავლეებსაც ასევე აკისრიათ განსაზღვრული ვალდებულებები. ისინი რეგულარულად უნდა დაესწრონ გაკვეთილებს, დროულად გამოცხადდნენ სკოლაში და ეცვათ სასწავლო პროცესის შესაფერისად. მოსწავლეები პატივისცემით უნდა მოეპყრან მასწავლებლებსა და თანაკლასელებს, არ უნდა შელახონ სხვისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. აგრეთვე, მოსწავლეები უნდა დაემორჩილონ სკოლის მიერ შემოღებულ დისციპლინურ წესებს.

სიტუაცია 4.

ნიკა გამოირჩეოდა თავისი სიცელქით. ის განსაკუთრებით მოუსვენარი იყო მათემატიკის გაკვეთილზე. მათემატიკას ასწავლიდა ახალი მასწავლებელი. მასწავლებელმა ნიკას საქციელის შესახებ შეატყობინა მშობელს. ნიკამ იმ საღამოს საყვედურიც დაიმსახურა მამისაგან. მეორე დღეს, მათემატიკის გაკვეთილის მსვლელობისას, ნიკა ცდილობდა, გაპეტილი წამოძახილებითა და სასწავლო ნივთების სროლით ჩაეშალა. მან ცელქობაში აიყოლია რამდენიმე თანაკლასელი. ხოლო როდესაც მასწავლებელმა მოუწოდა მათ დისციპლინისკენ, ნიკამ უეხის დარტყმით დააზიანა კლასის წიგნების კარადა.

პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტი:

მათემატიკის მასწავლებელმა მიმართა დირექტორს თხოვნით, რომ მოეწიათ ნიკას მშობლები და მათთან ერთად მოეხდინათ შესაბამისი რეაგირება მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. დირექტორმა დააქმაყოფილა მასწავლებლის თხოვნა და მეორე დღისთვის დაიბარეს ნიკას მშობლები. შეხვედრას ესწრებოდა ნიკაც. დირექტორმა მოისმინა

ნიკასგან ახესნა-განმარტება ასეთი საქციელის მიზეზების შესახებ. ამის შემდეგ, ნიკას განემარტა მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, რომელიც გულისხმობდა სკოლის საკუთრების გაფრთხილებასა და სახ-წაგლო პროცესის ჩაშლის დაუშვებლობასაც. შინაგანაწესით დადგენილი წესით, სკოლის დირექტორმა 2 დღით დაითხოვა ნიკა სკოლიდან.

მოცემული მაგალითი იმის დასტურია, რომ მოსწავლეს გააჩნია უფლებები და, ამავდროულად, ეკისრება მოვალეობები, რომელთა შეუსრულებლობა წარმოადგენს სკოლის მიერ დადგენილი ქცევის წესების დარღვევას და იწვევს მოსწავლეზე შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების დაკისრებასაც. სკოლა ვალდებულია, გამოიყენოს დისციპლინური ზომები მხრივ სკოლის შინაგანაწესისა და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

თქმენ უკვე შეგძლიათ, დაუბრუნდეთ ამ თავის დასაწყისში დახ-მელ კითხებებს და გახვეთ პასუხები

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მოსწავლეებს აქვთ უფლება, ისწავლონ დაცულ და უსაფრთხო გარემოში;
- აკადემიურ წინსევლაში მოსწავლეებს ძალიან ეხმარებათ იმის ცოდნა, რომ მასწავლებლები მათ პატივს სცემენ;
- მასწავლებლები და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უნდა იცავდნენ მოსწავლეების შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას;
- მოსწავლეებმა უნდა დაიცვან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ასევე ადგილობრივი სკოლის მიერ დადგენილი დისციპლინური წესები და პატივი სცენ თანაკლასელების, მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების უფლებებს.

მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა

ამ თავის წარითხის შემდეგ თქვენ გევოდინებათ:

რა მნიშვნელობა აქვს მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობას;

რა სტრატეგიებს უნდა მიმართოს მასწავლებელმა მშობლებთან თანამშრომლობითი ურთიერთობების დასამყარებლად;

რა მოვალეობები ეკისრებათ მშობლებს სასწავლო პროცესში მონაწილეობისას;

რა მნიშვნელობა აქვს მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რას გულისხმობს მშობლებთან კარგი კომუნიკაცია?
2. დაასახელეთ კომუნიკაციის რამდენიმე ეფექტური სტრატეგია, რომელსაც მშობლებთან ურთიერთობისას იყენებთ;
3. დაასახელეთ სასკოლო ღონისძიებები, რომლებშიც შესაძლებელია მშობლების ჩართვა;
4. რა წესები უნდა დაიცვათ სასკოლო ღონისძიებებში მშობლების ჩართვისას?
5. რა ხერხს მიმართოთ, როცა მშობელი უგმაყოფილოა ბავშვის აკადემიური მიღწევებით?
6. რა ხერხს უნდა მიმართოთ, როცა მშობელი არ არის აქტიური და შვილის საგანმანათლებლო პროცესში საერთოდ არ იღებს მონაწილეობას?
7. რა როლი ეკისრება მშობელს ბავშვის მიერ დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში?

მშობლისა და მასწავლებლის კარგი ურთიერთობა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეფასებას. თუ ბავშვმა იცის, რომ მშობელი დაინტერესებულია შვილის აკადემიური წარმატებით, ეს დადებითად მოქმედებს მის მოტივაციაზე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება, რომ პერიოდულად მოიღოს ახალი მონაცემები ბავშვის აკადემიური მოსწრებისა თუ ქვევის შესახებ. აგრეთვე იმ მოთხოვნების შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაც ბავშვს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად სჭირდება.

კარგი კომუნიკაციის უნარი წარმატებული ურთიერთობის წინაპირობაა. კომუნიკაციის წახალისების სხვადასხვა ხერხი არსებობს. უმჯობესია, მასწავლებელმა ამაზე სასწავლო წლის დასაწყისიდანვე იზრუნოს. აცნობეთ მშობლებს მომავალი საკლასო ღონისძიებების, საშინაო დავალებების შესრულების ხარისხის, თქვენი მოლოდინისა და კლასის ორგანიზების საკითხების შესახებ.

ყოველთვის გააცანით მშობლებს ბავშვის დადებითი შედეგები. ეს საშუალებას მისცემს მათ, რომ შეაქონ ბავშვი. ამით კი ბავშვს თვითშეფასება აუმაღლდება.

სიტუაცია 1.

ლევანი ძალიან ბევრს მუშაობს, მაგრამ მისი აკადემიური მოსწრება დაბალია.

გთავაზობთ აღნიშნული სიტუაციის ორ შესაძლო გაგრძელებას.

1. მასწავლებელი ლევანს ეუბნება, რომ მან უფრო მეტი უნდა იმუშაოს, რათა მისი მოსწრება სხვა მოსწავლების მოსწრებას გაუტოლდეს. მასწავლებელი მას წერილს ატანს მშობლებთან. წერილის შინარხი ძირითადად ლევანის უშედეგო მცდელობასა და შრომას ეხება. წერილმა მშობლები დააფიქრა, მათ ლევანს უსაყვედურეს და ურჩიეს, რომ უფრო მეტი იმუშაოს.

2. მასწავლებელი წერილში ხაზს უსვამს ლევანის კარგ სამუშაო ჩვევებსა და ქვევას კლასში, თუმცა პარალელურად საუბრობს მის პრობლემაზეც. მშობლებს ეამაყებათ ბავშვის სიბეჭითე და ამ საიმაყის მიზეზს მასაც უზიარებენ. მეორე დღეს გაპევთოლზე დაბრუნებული ლევანი ბედნიერია და მასწავლებელს ეუბნება, რომ მშობლები გახარებულები არიან მისი მიღწევებით.

პირველ მაგალითში, წერილი დამთრგუნველი აღმოჩნდა როგორც მშობლების ასევე ლევანისოფლის. მეორე მაგალითში, მშობლებმაც და პედაგოგმაც იციან ლევანის აკადემიური სისუსტის შესახებ, მაგრამ ორივე მხარე ერთად მუშაობს მის წასახალისებლად და მოტივაციის კიდევ უფრო ასამაღლებლად. თითქოს დიდი არაფერი გაუკეთებია მასწავლებელს. მან მხოლოდ წერილი გაუგზავნა მშობლებს და მისი კარგი მუშაობის ჩვევა შეაფასა. მაგრამ მისი შრომის აღიარება დადგებითად იმოქმედებს ლევანზე და მის მოტივაციას უფრო აამაღლებს.

პრობლემის არსებობის შემთხვევაში აუცილებლად ჩააყენეთ საქმის კურსში მშობლები. დაუკავშირდით მათ პრობლემის გამწვავებამდე. მშობელზე უარყოფითად მოქმედებს, როცა ხედავს, რომ პრობლემა დიდი ხანია არსებობს და მან ამის შესახებ არაფერი იცის.

წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოიწვიეთ მშობლები ბავშვის მიღწევების განსახილველად. ხშირად გაუგზავნეთ წერილი და აუხსენით თქვენი საგნის მიზნები, ძირითადი ამოცანები, ბავშვის პრობლემები და მიღწევები.

კარგად ჩამოყალიბებული კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობაში. მშობელთან პირისპირ საუბარი ურთიერთობის აწყობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა, რადგან ეს საფუძვლად დაედება ერთობლივ მუშაობას საერთო მიზნის მისაღწევად. მშობელთან შეხვედრის წარმატებულად წარმართვისთვის მიზანშეწონილია რამდენიმე აუცილებელი წესის დაცვა. მაგალითად, სასურველია, თუ გამორთავთ მობილურ ტელეფონს, ან გადაიყენოთ ჩუმ რეჟიმში. ამით ხაზი გაესმება თქვენი საუბრის მნიშვნელობას და მშობლის მიმართ პატივისცემას. საუბრისთვის აირჩიეთ ისეთი ოთახი, სადაც შეგიძლიათ კარი ჩაკეტოთ. ამით დაანახებთ, რომ თქვენი საუბარი კონფიდენციალურია და ხელს შეუწყობთ გულწრფელი, უშუალო დამოკიდებულების გაჩენას. ყოველთვის გულთბილად შეხვდით მშობელს. ორგანიზებულობა შეხვედრას უფროს საქმიან ელფერს შესძენს. წინასწარ მოამზადეთ განსახილველი საკითხების ჩამონათვალი და, თუ კონკრეტული დავალების შესრულება ან სახელმძღვანელოს ათვისება უძნელდება მოსწავლეს, თან იქონიეთ ეს ნაშრომი ან სახელმძღვანელო. მოსწავლის ნაშრომის გამოყენება კარგი საშუალებაა პრობლემის ნათლად დემონსტრირებისთვის.

მშობელმა უნდა იგრძნოს, რომ თქვენ ემზადებოდით მასთან შესახვედრად. თუ მშობელი ნერვიულობს, შეგიძლიათ სხვადასხვა ხერხს მიმართოთ, რათა მან თავი უფრო თავისუფლად იგრძნოს. მაგალი-

თად, შეგიძლიათ ორივენი მოსწავლის მაგიდასთან დასხვეთ სასაუბროდ. თუ ერთ-ერთი მოსაუბრე ნერვიულობს და მოსაუბრებს შორის რამე ბარიერია, მაგალითად, მაგიდა, ეს უნდობლობის მომენტს უფრო ზრდის. ამიტომ, უმჯობესი იქნება, მშობელთან თანაბარი პოზიცია დაიკავოთ. სასურველი იქნება, თუ საუბრის დასაწყისშივე აგრძნობინებთ ბავშვის მიმართ თქვენს მზრუნველობასა და დადებით დამოკიდებულებას. პრობლემის წამოჭრამდე მოკლედ შეაჯამეთ მოსწავლის ძლიერი მხარეები. მშობელს, რა თქმა უნდა, ეამაყება შვილის მიღწევები. როცა მასწავლებელი საუბარს საყვედურით და შენიშვნით იწყებს, შეხვედრის ტონი ორმხივად თავდაცვითი ხდება. მშობელი შესაძლოა დაეჭვდეს მისი შვილისადმი თქვენს კეთილგანწყობაში. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეები, ცელქები და დაუმორჩილებლები, ვიღაცის საყვარელი შვილები არიან. მშობლები მოღიან იმ იმედით, რომ შვილის წარმატებებსა და დადებით მხარეებზე მოისმენენ ინფორმაციას. თქვენ უნდა აგრძნობინოთ, რომ კეთილგანწყობილი ხართ და ზრუნავთ მოსწავლის დადებითი უნარების განვითარებაზე.

ყურადღებით მოუსმინეთ მშობელს. მხედველობაში მიიღეთ მათი პრობლემები. მაგალითად, შეიძლება მან შემოგრივლოთ, რომ უჭირს დროის გამოძებნა იმისთვის, რომ შვილს წიგნი აკითხოს. ამ სიტუაციაში შეიძლება უპასუხოთ: „მე ვიცი, რომ რთულია დროის გამონახვა. იქნებ სცადოთ და სხვოვოთ ბავშვებს, ხმამაღლა წაიკითხოს, სანამ თქვენ სადილს ამზადებთ“. ასეთი პასუხი აგრძნობინებს მშობელს, რომ თქვენ გეხმით მისი და ცდილობთ, დაეხმაროთ პრობლემის გადაჭრაში.

ეცადეთ, შეხვედრისას სასაუბროდ მეტი დრო დაუთმოთ მშობლებს. დაუხატეთ კონკრეტული სიტუაცია და რჩევაც ჰქითხეთ. ამით ხაზს გაუსვამთ მათ კომპეტენტურობას და ხელს შეუწყობთ თანამშრომლობითი ურთიერთობის განმტკიცებას. მშობლებს განსაკუთრებით აინტერესებთ კონკრეტული დეტალები და თითქმის ყოველთვის ექნებათ კითხვების დასმის და წუხილის გამოთქმის სურვილი.

მშობელთან საუბრის დროს მოიყანეთ კონკრეტული მაგალითები მოსწავლის მიღწევების ან ქცევის დასახასიათებლად. თავი აარიდეთ ცალსახა დასხასიათებას, მაგალითად, „დათო სუსტია მათემატიკაში“. ამის ნაცვლად მოიყანეთ კონკრეტული მაგალითი: „წინა კვირაში დათოს ძალიან გაუჭირდა ორნიშნა რიცხვების შეკრება და ვერ მოახერხა დავალების დასრულება“. დაანახეთ მშობელს, რომ თქვენ კონკრეტულ პრობლემას ებრძვით და არა ბავშვებს.

ნეუ დაუტოვებით მშობელს შთაბეჭდილებას, რომ თავს ახვევთ თქვენს აზრს. მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ მასთან ერთად ცდილობთ პრობლემის გადაჭრას. „თქვენ უნდა აიძულოთ დათო, რომ მეტი იმუშაოს სადამობით“, ამის ნაცვლად, უმჯობესი იქნება, ასე მიმართოთ: „თქვენი ნათქ-

ვამიდან გამომდინარე, ვფიქრობ, უპრიანი ხომ არ იქნება, დათოს ყოველ საღამოს დამატებით 10 წელი ახალი სიტყვებისთვის რომ დაეთმო?“

პრობლემის გამწვავების შემთხვევაშიც კი თავი შეიკავეთ მშობლის დადანაშაულებისგან. ეს შედეგს არ მოგიტანო, მშობელს თავდაცვით პოზიციაში გადაიყვანს და, შესაძლოა, აღარც მოგისმინოთ.

შეეცადეთ, არ გამოიყენოთ პედაგოგიური ტერმინოლოგია. ილაპარაკეთ მარტივი და ყველასთვის გასაგები ენით. თუ აზრის გადმოსაცემად რომელიმე პედაგოგიური თეორიის მოშველიება გჭირდებათ, შეეცადეთ, გასაგებ ენაზე ახსნათ.

დაასრულეთ საუბარი იმედისმომცემ და პოზიტიურ ნოტაზე. დასახეთ მიზნები. შეაჯამეთ, როგორ შეუძლია მშობელს დახმარების გაწვეა. ახსენეთ შემდგომი გეგმები. გააგებინეთ მშობელს, რომ მისი მხარდაჭერა საჭირო და აუცილებელია.

თუ მშობელს მოსწავლის დისციპლინური პრობლემის გამო იბარებთ, მნიშვნელოვანია გარკვეული სტრატეგიის შემუშავება. ერთ-ერთ სტრატეგიად შეიძლება ქცევის აღწერა ჩაითვალოს.

სიტუაცია 2.

გოგა ნიჭიერი ბავშვია და განსაკუთრებით ხელმოკლე ოჯახში იზრდება. მასწავლებელმა გაიგო, რომ ის სხვა ბავშვებს პარაგს უჟღეს, ფანქრებს და სხვა წვრილმან ნივთებს. ერთ დღეს ფანქრის სათლელი, რომელიც სხვა მოსწავლეს ეკუთვნოდა, გოგას ჩანთიდან გადმოვარდა.

გთავაზობთ ადნიშნული სიტუაციის სამ შესაძლო დასასრულებლის.

1. ამ ინციდენტზე კლასმა თვალი დახუჭა, რადგან ყველამ იცის, რომ გოგას ოჯახი ძალიან ხელმოკლეა და ამიტომ გადაწყვიტეს, არ შეემჩნიათ. სათლელი მოსწავლეს დაუბრუნეს. ეს ამბავი არც გოგას მშობლებს შეატყობინებს.

2. გოგა გალანძლეს ქლასის წინაშე და აიძულეს ეთქვა, რომ აღარასოდეს იქურდებდა. მშობლები დაიბარეს და უთხრეს, რომ რაღაც უნდა იღონონ, რადგან ბავშვს აშკარად პრობლემა აქვს. მშობლები ვერ იჯერებენ და ფიქრობენ, რომ მასწავლებელმა შეცდომა დაუშვა. ამან მშობელსა და მასწავლებელს შორის ურთიერთობა ძალიან დაძაბა. მშობლებს დარჩათ შთაბეჭდილება, რომ მასწავლებელი გოგას მუდამ ავიწროვებს.

3. მასწავლებელი გაკვეთილის შემდეგ დაედაპარაკა გოგას და მშეკიდად ჰქითხა, რატომ მოიპარა სათლელი. გოგამ თქვა, რომ მას უნდოდა ეს ნივთები, მაგრამ მის ოჯახს არ ჰქონდა ფული. მასწავლებელმა თანაუგრძნო, მაგრამ აუხსნა, რატომ არ იყო ამ ნივთების მიღების სწორი გზა ქურდობა. გოგა გააფრთხილეს, რომ ქურდობის გამეორების შემთხვევაში, მის მშობლებს შეატყობინებდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაქრა რამდენიმე ნივთი. დაკარგული ნივთები გოგას ნივთებში იპოვეს. მასწავლებელმა უთხრა გოგას, რომ ის ძალიან უყვარს და თვლის, რომ ძალიან დიდი პოტენციალი აქვს, მაგრამ ამ მეორე შემთხვევის გამო იძულებულია, მშობლებს შეატყობინოს. გოგას მშობლები მოვიდნენ. მშობლებთან საუბრის დასაწყისში მასწავლებელმა განიხილა გოგას მიღწევები და მხოლოდ შემდეგ განიხილა პრობლემური სიტუაცია. მან აჩვენა რამდენიმე მოპარული ნივთი. თავდაპირველად გოგას დედა აცხადებდა, რომ არ შეიძლებოდა ამის ჩამდენი მისი შვილი ყოფილიყო. შემდეგ გოგას სოხოვეს, შემოსულიყო. გოგას დედა აკითხა, მოპარა თუ არა ეს ნივთები. გოგამ აღიარა. ამის შემდეგ მშობლებმა, მოსწავლემ და მასწავლებელმა ერთად განიხილეს, რა ზომებს მიიღებდნენ ქურდობის განმეორებით ჩადენის თავიდან ასაცილებლად, ან ჩადენის შემთხვევაში.

პირველი მიღვომა ბავშვს არაფრით ეხმარება. ქურდობის ჩვევის გამომუშავება არც მისოთვისაა კარგი და არც საზოგადოებისოფის. პრობლემის ასეთი სახით გადაწყვეტა მშობლებსაც არ აძლევს საშუალებას, აუხსნან ბავშვს, რატომ არის ქურდობა ცუდი. მეორე ვარიანტიც უშედეგორა, რადგან ბავშვის სხვების წინაშე შეურაცხყოფა ბავშვის თვითშეფასებაზე ცუდად იმოქმედებს და მას თანატოლებში უნდობლობისა და დაცინების ობიექტად აქცევს. მესამე მიღვომა, რა თქმა უნდა, ყველაზე შედეგიანია. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ცდილობს პრობლემის გადაჭრას ჯერ მეორე შანსის მიცემით და ბავშვთან ქურდობის მიზეზის განხილვით. როცა სიტუაცია მეორდება, მშობლებს მხოლოდ მაშინ იწვევს და უხსნის, რა ზომები მიიღო პირველ შემთხვევაში და ქურდობის დამატებიცებელი საბუთიც მოჰყავს. ის, ასევე, მაქსიმალურად ეცადა, გაეკრიტიკებინა დანაშაული და არა ბავშვი. მან ისაუბრა გოგას სხვა პიროვნული ღირსებების შესახებ, მაგრამ გააკრიტიკა და დაგმო ქურდობა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მან შეძლო პრობლემის მშობლებისოფის ისეთი ფორმით მიწოდება, რომ შესაძლებელი გახდეს პრობლემის ერთობლივად გადაწყვეტა.

მშობელი მოვალეა, აკონტროლოს გაკვეთილებზე ბავშვის ყოველ-დღიური დასწრება. მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი მხოლოდ მისი სკოლაში ყოფნით არ შემოიფარგლება. იგი, ჩვეულებრივ, საშინაო დაგალებებსა და სხვა დამატებით აქტივობებსაც მოიცავს, რომელთა წარმატებით განხორციელებაც ხშირად სწორედ მშობლებზეა დამოკიდებული.

სიტუაცია 3.

ირაკლი სკოლიდან ბრუნდება. ინგლისურში დავალებად მოკლე მოთხოვის წაკითხვა და მისი ერთგვერდიანი შინაარსი აქვს დასაწერი. ირაკლის საკმაოდ უჭირს ინგლისურის სწავლა. სახლში დედა დავალების შესრულებას სთხოვს.

აღნიშნული სიტუაცია შეიძლება ორნაირად განვითარდეს:

1. ერთადერთი მაგიდა, რომელთანაც ირაკლის შეუძლია მუშაობა, საერთო ოთახშია. ბებია სერიალს უყურებს და ირაკლის ტელევიზორის ხმაური ხელს უშლის. უმცროსი მმაც ხმაურით დარბის სახლში. ირაკლი მოედი საათი ზის და ცდილობს, მოთხოვის წაკითხოს, მაგრამ ერთი და იმ-ავე აბზაცის წაკითხვა ბევრჯერ უწევს იმის გამო, რომ ვერ ახერხებს ყურადღების კონცენტრაციას. ბოლოს გადაწყვეტის, რომ თავი დაანებოს დავალების შესრულებას.

2. ირაკლი ეუბნება დედას, რომ საერთო ოთახში ხმაურის გამო არ შეუძლია დავალების შესრულება. დედა პატარა მაგიდას პოულობს და ირაკლის ოთახში დგამს, ხურავს კარს და უმცროს შეიძლს არიგებს, რომ ოთახში არ შევიდეს, ვიდრე მისი მმაც დავალებას არ შეასრულებს. ირაკლი მოთხოვის კითხვას 45 წუთში ამთავრებს და შინაარსი თითქმის გასაგებია. მას უკვე შეუძლია დაწეროს თხზულება და მეორე დღეს მასწავლებელს აჩვენოს დავალება.

მეორე სცენარი უკეთესი მაგალითია. მოსწავლისათვის მშვიდი გარემოს შექმნა დავალების შესრულების აუცილებელი პირობაა. მშობლის ჩარევის გარეშე ირაკლის დავალება შესასრულებელი დარჩებოდა.

შშობლებმა შეიძლება აქტიური როლი ითამაშონ საერთო სასკოლო პრობლემის გადაწყვეტაში, თანხებისა და სხვა საჭირო რესურსების მოძიებაში. სკოლაშ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება, პირადად ან არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში. სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, მშობელს ყოველთვის შეუძლია გამოითხოვოს სკოლაში დაცული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია.

სკოლის მართვაში ან სასკოლო ღონისძიებებში მშობლის ჩართვის რამდენიმე გზა არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ მშობლები ერთიანდებიან სკოლის სამეურვეო საბჭოში, რომელიც სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი არჩევითი ორგანოა. გარდა ამისა, მშობლებს უფლება აქვთ, ჩამოაყალიბონ თრგანიზაცია და სკოლაშ პატივი უნდა სცეს მათ გადაწყვეტილებას. აგრეთვე სკოლა არ უნდა ჩაერიოს მშობელთა გაერთიანების საქმიანობაში.

ყველა სკოლაში მოიძებნება ძალიან აქტიური მშობლები, მაგრამ სკოლის მიმართ ნაკლებად კეთილგანწყობილი მშობლების ჩართვის მცდელობაც შეიძლება შედეგიანი აღმოჩნდეს. დედები, მამები, ბებია და ბაბუა შეგიძლიათ მოხალისეებად ჩართოთ სასკოლო ღონისძიებებში. ეს ბავშვის სწავლისადმი ინტერესის დემონსტრირებას ახდენს და მოსწავლის თვითშეფასებას ამაღლებს. მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვაში ბავშვის აკადემიური შესაძლებლობებიც კი შეიძლება გააუმჯობესოს. განათლება არის პროცესი, რომელიც მოიცავს თანამშრომლობას სკოლას, მოსწავლეებსა და მშობლებს შორის.

შეგიძლიათ დაუბრუნოდეთ ამ თავის დახასწიების მოცემულ კითხვებს და უპასუხოთ მათ.

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას;
- მასწავლებელს, ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით, შეუძლია წაახალისოს მშობლები და ჩართოს ისინი სასწავლო პროცესში;
- საუბრისას, სასურველია, ჯერ დაარწმუნოთ მშობელი, რომ კეთილგანწყობილი ხართ მისი შვილის მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ გადახვიდეთ პრობლემურ საკითხებს.

თანამშრომლებთან ურთიერთობა

ამ თავის წაკითხვის შემდეგ თქვენ გეცოდინებათ:

რამდენად მნიშვნელოვანია კეთილგანწყობილი სამუშაო ურთიერთობა სკოლის პერსონალთან (დირექტორი, მასწავლებელი და სხვა);

რა უნდა გაითვალისწინოს პედაგოგმა კონფლიქტურ და პრობლემურ სიტუაციებში;

რამდენად განსაზღვრავს თანამშრომლებთან ურთიერთობის ფორმები პედაგოგის პროფესიონალიზმს.

გაეცანით ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რას გულისხმობს კეთილგანწყობილი პროფესიული ურთიერთობა?
2. კოლეგებთან კონფლიქტის გადაჭრის რა სტრატეგიები არსებობს?
3. რამდენად დეტალურად უნდა იცნობდეს დირექტორი სკოლაში არსებულ სიტუაციას და მიმდინარე პროცესებს?
4. რატომ არის მნიშვნელოვანი კონფიდენციალობის დაცვა სასკოლო გარემოში?



თანამშრომლებსა და სკოლის სხვა პერსონალს შორის კეთილგანწყობილი თანამშრომლობითი ურთიერთობა მასწავლებლებისა თუ მოსწავლეებისთვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნის წინაპირობაა. მასწავლებლებს შორის უარყოფითმა დამოკიდებულებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მოსწავლის მიღწევებს და ხელი შეუშალოს ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვას. სკოლის საერთო წარმატება კეთილგანწყობილ/თანამშრომლობით პროფესიულ ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ერთი ძველი იაპონური ანდაზა ამბობს: „არც ერთი ჩვენგანი არ არის ისეთი გონიერი, როგორც ჩვენ ყველანი ერთად“. ერთად მუშაობა სამუშაოს დატვირთვას ამსუბუქებს. მასწავლებლის ერთ-ერთი მოვალეობაა, დიაროს და პატივი სცეს თანამშრომელთა უფლებებს. სასურველია, თუ პატივისცემა

აისახება როგორც უშუალოდ ქმედებაში (მაგ. დახმარების გაწევა), ასევე სასაუბრო ლექსიკაში.

პედაგოგმა ყოველთვის უნდა გამოიჩინოს პროფესიონალიზმი. ეს, შესაბამის ცოდნასთან ერთად, გულისხმობს მისაბაძ ქცევას სკოლაში და მის კედლებს გარეთ, შესაფერის ჩატმის სტილს, მზაობას ახალი იდეებისთვის, სამართლიან და სერიოზულ დამოკიდებულებას საქმიანობაში და კონფიდენციალობის დაცვას ბავშვებთან, მშობლებთან და კოლეგებთან ურთიერთობაში.

იბ. II -

გვ. 124;

132

მასწავლებელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სკოლის პროფესიული გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაში. საამისოდ საჭიროა კომუნიკაციის გარევეული სტრატეგიების ცოდნა. ოუ თანამშრომელთან ურთიერთობაში მაინც განხდება კონფიდენციალური სიტუაცია, მასწავლებელმა პრობლემის მოგვარება მხოლოდ მასთან, სხვა თანამშრომლებისგან დამოუკიდებლად უნდა შეძლოს. კონფიდენციალობის დაცვა ხელს შეუწყობს შემდგომში ურთიერთობის გამოსწორებას.

სიტუაცია 1

მარიამი სკოლაში 7 წელი მუშაობდა. თეონა ორი წლის წინ მოვიდა. მათ შორის კონფიდენციალური საკლასო ოთახთან დაკავშირებით წამოიჭრა. ორივე პედაგოგს ერთი და იმავე საკლასო ოთახის გამოყენება უწევდათ, ოლონდ სხვადასხვა საათებში. მარიამმა დაინახა, რომ თეონას მასალები მისთვის განკუთვნილ სივრცეზე მეტს იკავებდა. გარდა ამისა, სხვა პედაგოგისგან გაიგო, რომ თეონა მას სხვა მასწავლებლებთან ცუდად მოიხსენიებდა.

სიტუაცია შეიძლება ორი მიმართულებით განვითარებულიყო:

1. მარიამი შედის სამასწავლებლოში და თეონას-თან საკლასო ოთახის პრობლემის განხილვას იწყებს. თეონა იცინის და ეუბნება, რომ ზედმეტად წუხს ამ საკითხზე. მარიამს ეს კიდევ უფრო აბრაზებს და ხმას უწევს. საუბარი ნელ-ნელა ემსგავსება ყვირილს. პასუხად თეონაც უწევს ხმას და ახლა საკლასო ოთახის სივრცის ირგვლივ წარმოჭრილი პრობლემა სამასწავლებლოში ცხარედ განიხილება.

მოსწავლეები ოთახს ჩაუვლიან, ჩერდებიან და სანაძლეოს და-
ბენ იმაზე, თუ რომელი მასწავლებელი გაიმარჯვებს.

2. მარიამი დაუკავშირდა დირექტორს და სოხოვა, რომ
შეხვედროდა მას და თეონას ამ საკითხის ერთხელ და სამუდა-
მოდ გადასაწყვეტად. დირექტორთან საუბრის შემდეგ მარიამი
და თეონა სხვა კლასებში, სხვა პედაგოგებთან გადაანაწილეს.
დირექტორმა შეასესა თეონას, რომ მათი პრობლემის სხვა
პედაგოგებთან განხილვა არ მოახდენდა დადგბით გავლენას
საერთო სასწავლო გარემოზე.

მეორე სცენარში პრობლემის უკეთესად გადაწყვეტის გზაა მო-
ცემული. პედაგოგი მიბაძვის ობიექტია და ნებისმიერ სიტუაციაში
მას თავდაჭრილობა მართებს. კოლეგებს შორის გაჩენილი კონფლიქ-
ტური სიტუაცია (თუნდაც ძალიან უნიშვნელო), სასურველია, მათ
შორის მოვგარდეს და არ გახდეს საერთო დისკუსიის საგანი.

დირექტორი ზედამხედველობას უწევს სკოლაში მიმდინარე სას-
წავლო აღმზრდელობით პროცესს. ის არის საზოგადოებასა და სკო-
ლას შორის მაკავშირებელი რგოლი და სკოლის სახელით მოქ-
მედებს სკოლის გარეშე პირებთან ურთიერთობაში. ამიტომ არის
მნიშვნელოვანი მისთვის სკოლაში მიმდინარე ყველა საჭირობროტო
საკითხის შესახებ ინფორმაციის ფლობა. ეს ეხება კონფლიქტებს მოს-
წავლეებთან თუ მშობლებთან დაკავშირებულ პრობლემებს, სასწავლო
გეგმის სირთულეებს თუ ნებისმიერ სხვა წინააღმდეგობას, რომელიც
მასწავლებელს თავისი სამუშაოს შესრულებაში უშლის ხელს. ეს
ყოველივე სრულიად არ ნიშავს იმას, რომ დირექტორი თითოეული
მასწავლებლის ყოველდღიურ საქმიანობასა თუ საგაკვეთილო პრო-
ცესში აქტიურად უნდა იყოს ჩაბმული.

წარმატებული სასწავლო პროცესი გულისხმობს, რომ სკოლის
სელმძღვანელობა დარწმუნებულია პედაგოგის პროფესიონალიზმში,
კეთილსინდისიერებასა და ერთგულებაში. ეფექტური მუშაობისთვის
დადებითი შედეგის მომტანია სკოლის ხელმძღვანელ ორგანიზაციაში
აქტიური თანამშრომლობა და მათი აზრის გაზიარება.

სასურველია, რომ დირექტორმა ან სამეურვეო საბჭოს წარმო-
მადგენელმა იცოდეს თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებებისა და
გეგმების შესახებ. სშირად მასწავლებლების შეცდომა ისაა, რომ
ადმინისტრაციას მხოლოდ პრობლემის გამწვავების შემთხვევაში
აწვდიან ინფორმაციას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ
გარდა პრობლემური სიტუაციებისა, ადმინისტრაცია პოზიტურ მოვ-

ლენებთან დაკავშირებითაც უნდა ჩააყენოთ საქმის პურსში. ყოველივე ზემოაღნიშვნული სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა პრობლემის წარმოქმნისას ადმინისტრაციის წარმომადგენელს უნდა უხმოთ. ეს მხოლოდ იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ თქვენ ვერ მართავთ საგაკვეთოლო პროცესსა და თქვენი მოსწავლეების ქცევას. თუ საქმე უმნიშვნელო ქცევით პრობლემას ეხება, სასურველი იქნება, თუ ამ პრობლემის მოგვარების რამდენიმე სტრატეგიას თქვენი სკოლის იმ მასწავლებელთან განიხილავთ, რომელიც კლასს უკეთ აკონტროლებს.

სიტუაცია 2.

მიშას მაღალი აკადემიური მოსწრება აქვს, მაგრამ ხშირად გაკვეთილზე უკრალდებას ცელქობით იქცევს. როცა გრძნობს, რომ მასწავლებელი არ უკურებს, თავისი მერხიდან ქადალდს სხვა ბავშვებს ესვრის. როდესაც პედაგოგი ამ საქციელის გამო კიცხავს, ბავშვები იცინიან და ეს მიშას უფრო მეტი ცელქობისკენ უბიძებს. მასწავლებელმა ყველაფერი სცადა, მაგრამ უშედეგოდ. როგორ ფიქრობთ, რა ნაბიჯი უნდა გადადგას მან?

მიშას მასწავლებელს შეუძლია, ქვემოთ მოცემული ვარიანტებიდან რომელიმე აირჩიოს:

1. შეუძლია მიშა დირექტორთან წაიყვანოს და კატეგორიულად მოითხოვოს მისი დასკა.

2. შეუძლია კოლეგას მიმართოს რჩევის მისაღებად.

იმ მასწავლებლებს, რომელთაც წარსულში მსგავს მოსწავლეებთან მოუწიათ მუშაობა, კარგი რჩევის მოცემა შეუძლიათ. ასეთი სახის პრობლემებში სკოლის ადმინისტრაციის ჩარევა არაა სასურველი. თუმცა, თუ აუცილებელი ხდება ოჯახთან დაკავშირება ან მკაცრი დისციპლინური ზომების მიღება, უმჯობესია დირექტორი ჩააყენოთ საქმის პურსში.

დირექტორის ერთ-ერთი მოვალეობა თანამშრომელთა მუშაობის ზედამხედველობაა. ხშირად ეს საგაკვეთოლო პროცესის მართვასთან დაკავშირებულ კომენტარებს გულისხმობს. სასურველია, რომ მისი შენიშვნა სწავლების სტილსა თუ პროფესიულ ჩვევებზე, დადგებითად მიიღოთ. პროფესიული ზრდის ერთ-ერთი წინაპირობა სწორედ ცვლილებისთვის მზაობაა.

სიტუაცია 3.

დირექტორი მაიას თავის კაბინეტში უხმობს მესამე კლასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. იგი რამდენიმე დღით ადრე დააკვირდა მაიას გაკვეთილს. დირექტორმა შენიშნა, რომ მაია კარგად ფლობს იმ საგანს, რომელსაც ასწავლის და მოსწავლებსაც მოსწონთ იგი. მაგრამ მან ასევე აღნიშნა, რომ გაკვეთილის დროს ბევრი მოსწავლე თავის მერხთან არ იჯდა. ისინი საუბრობდნენ, მასწავლებელს არ უსმენდნენ და სხვა საქმით იყვნენ დაკავებულები. საერთო სიტუაცია ქაოსური იყო. მან პკითხა მაიას, როგორ შეიძლებოდა კლასის უკუ მართვა.

ქვემოთ მოვიყვანთ მაიას შესაძლო რეაგირების რამდენიმე ვარიანტს:

1. მაიამ უთხრა დირექტორს, რომ ის მხოლოდ ერთ ბაკვეთილს დააკვირდა. ზოგადად კი მას კლასის კონტროლი არაჩვეულებრივად გამოსდის. სინამდვილეში ბავშვების ასეთი ქცევის მიზეზი გვერდით კლასიდან შემოსული ხმაური იყო. იმ კლასის ბავშვები ხომ მუდამ დერეფანში არიან და ხმაურობენ.

2. მაიამ აღიარა, რომ ქცევის მართვა საკმაოდ უჭირს. მან დირექტორს აუქსნა თავისი მოსაზრებები პრობლემის მოგვარებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, სხვა მასწავლებელს, რომელსაც კლასის კონტროლი კარგად გამოსდის, რჩევისთვის უნდა მიმართოს და კარგი იქნება, თუ დირექტორი მიაწვდის მას რამე სტრატეგიას პრაქტიკაში განსახორციელებლად.

მეორე ვარიანტი, რა თქმა უნდა, უკეთესია. მაიას პასუხი დირექტორს უწევნებს, რომ მან სწორად გაიგო შენიშვნა და მისი რეაქციაც ცვლილებისთვის მზაობაზე მიუთითებს. პირველ ვარიანტში მაიამ თავდაცვა სცადა. იგი შეეცადა პრობლემის უარყოფას და სხვის დადანაშაულებას და არც პრობლემის მოგვარების ინტერესი გამოხატა.

სკოლას, გარდა პედაგოგებისა, სხვა პერსონალიც სჯირდება სასწავლო პროცესის სამართვად: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სამედიცინო პერსონალი, ბიბლიოთეკარი, მდივანი, დამღაგებელი და სხვა. ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები იმ ბავშვებთან მუშაობენ,

რომელთაც განსაკუთრებული უურადღება სჭირდებათ და პედაგოგის დახმარების გარეშე ბავშვის პრობლემების სწორად დიაგნოზირებას ვერ ახერხებენ. ასეთ შემთხვევაში თანამშრომლობითი ურთიერთობა უკავების შედეგის მომტანია. გარდა ამისა, ისინი, შესაძლოა, ისეთ ინფორმაციას ფლობდნენ ბავშვის შესახებ, რომლის კონფიდენციალობა დაცული უნდა იყოს. თუ ბავშვის პრობლემებს სხვა მასწავლებლებს ვუამბობთ, ამით მის უფლებებს დავარღვევთ.

ტექნიკური პერსონალი არ არის სწავლების პროცესში უშუალოდ ჩართული, მაგრამ ისინი საკოლო ცხოვრების მნიშვნელოვანი საკითხებს უზრუნველყოფენ. ისინიც, ჩვეულებრივ, პატივისცემით მოპყრობას იმსახურებენ.

სიტუაცია 4.

ელზა დამლაგებლად მუშაობდა სკოლაში. ერთ-ერთი მასწავლებელი უდიერად ეპყრობოდა მას; ერთხელ მასწავლებელმა ელზას სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენა კლასისა და სხვა თანამშრომლის თანდასწერით. იმის გამო, რომ საკლასო ოთახის დაფა კარგად არ იყო გაწმენდილი. აღმოჩნდა, რომ მოსწავლებმა მოხარეს დაფა შესვენების დროს, დაფაზე ამ მასწავლებლის კარიკატურაც ეხატა. ამ ფაქტით აღშფოთებული მასწავლებელი არც ეცადა, გარკვეულიყო სიტუაციაში და ჯავრი იყარა დამლაგებელზე, დაამცირა რა ის მოსწავლებისა და სხვა თანამშრომლის წინაშე.

პრობლემის გადაწყვეტის შესაძლო ვარიანტი:

ელზამ საქმის კურსში ჩააყენა სკოლის დირექტორი და მიმართა კიდევაც წერილობითი განცხადებით, რომელმიც დაწვრილებით აღწერდა მომხდარს. რის შემდეგაც სკოლის დირექტორმა მიმართა სკოლის დისციპლინურ კომიტეტს თხოვნით, შინაგანაწესით დადგვნილი წესით ემსჯელა მასწავლებლის ქმედებაზე. დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, მასწავლებელს საყვედური გამოუცხადეს.

პრობლემის მსგავსი სახით გადაწყვეტა მართებულია. ელზას პრეტენზია არის სრულიად გამართლებული, ვინაიდან მასწავლებელმა ბოროტად გამოიყენა საკუთარი მდგომარეობა და შეურაცხოფა მიაყენა დამლაგებელს. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ მასწავლებელმა შელახა ელზას პატივი და დირსება. სკოლის დირექტორი ვალდებული იყო, რეაგირება მოეხდინა ელზას საჩივარზე, ვინაიდან დირექტორი აფორმებს შრომით ხელშეკრულებას სკოლის თანამშრომლებთან (მათ შორის, დამლაგებელთანაც). გარდა ამისა, დირექ-

ტორი უფლებამოსილია, თვითონ განიხილოს საჩივარი, ან მიმართოს დისციპლინურ კომიტეტს რეაგირებისთვის.

თქვენ უკვე შეგიძლიათ, დაუბრუნდეთ და უბატუხოთ ამ თავის დასაწყისში დასმულ კითხვებს

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს წარმატებულ სასწავლო პროცესს;
- გარდა უშუალოდ საგნობრივი ქომპეტენციისა, პედაგოგის პროფესიონალიზმი განისაზღვრება სხვების მიმართ თანამშრომლობითი ურთიერთობითა და კეთილგანწყობილი ქცევით. ეს გულისხმობს სხვების უფლებების პატივისცემას, პროფესიული (საქმიანი) გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას და კონფლიქტებისადმი გაცნობიერებულ მიღვომას;
- მასწავლებელი ვალდებულია, დაიცვას სასკოლო პერსონალის დირსება და პატივისცემით მოეპყრას მათ.

პროფესიული განვითარება

ამ თავის წარითაშორის შემდევრობების განვითარება:

რას გულისხმობს პროფესიული განვითარება;

რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

პროფესიული განვითარების რა საშუალებები არსებობს;

რა მნიშვნელობა აქვს პროფესიული განვითარების გეგმას.

გაეცანით ქვემოთ დასტულ შეკითხვებს და დაფიქრდით პასუხებზე:

1. რა გზებს მიმართავდით თქვენი პროფესიული უნარების გაუმჯობესებისთვის?
2. რამდენად ხშირად უნდა განაახლოს პედაგოგმა პროფესიული განვითარების გეგმა?
3. რატომ არის მნიშვნელოვანი და რა გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე მასწავლებლის თვითშეფასება?

მასწავლებლის პროფესია დინამიურია და მუდმივ ცვლილებებს ექვემდებარება. პროფესიული განვითარება გულისხმობს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია პროფესიული ზრდისკენ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, პროფესიული განვითარების საშუალებებია:

ა) აკრედიტებული პროფესიული განვითარების პროგრამების გაფლა;

ბ) მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან 6 წლის შემდეგ შესაბამისი მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება;

გ) საგანმანათლებლო ან პედაგოგიური პროდუქტის შექმნა (სახელმძღვანელოს, საგანმანათლებლო პროგრამის ავტორობა, საგანმანათლებლო პროექტის შემუშავება ან/და განხორციელება, მასწავლებლობის მაძიებლებისა და სხვა პედაგოგებისათვის ცოდნის გაზიარება და სხვა).

პროფესიული კომპეტენცია არამარტო საგნობრივ ცოდნას, არამედ პროფესიულ უნარებსა და დამოკიდებულებებსაც მოიცავს. იგი შეიძლება აისახოს როგორც, მაგალითად, სასწავლო მასალების მიწოდებისა და დაგადაბების შეფასების უნარზე, ასევე ჩატარების სტილზე.

მასწავლებლის პროფესიულ პასუხისმგებლობაში მოიაზრება განათლების სფეროში მიმდინარე სიახლეების ცოდნა და პედაგოგიური პრაქტიკის განვითარება. მასწავლებელმა ყოველწლიურად უნდა შეიძუშაოს და განახორციელოს პროფესიული ზრდის გეგმა. პროფესიული განვითარების გეგმაში უნდა გაიწეროს ყველა ის აქტივობა, რომელიც იმ წლისთვის უნდა შეასრულოს მასწავლებელმა. გეგმა გზამკვლევის როლს ასრულდებს. ეს არ არის რეცეპტი, რომელიც უპირობოდ უნდა შესრულდეს. ოვთ ამ გეგმის ანალიზსა და დახვეწაზე მუშაობაც პროფესიული განვითარების ნაწილია. ოვთიანალიზის ტექნიკა მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დაგეგმოს პროფესიული განვითარების პროცესი. გეგმა არის სისტემური მიღებომა, რომელიც კონკრეტულ ღონისძიებებს მოიცავს. ეს შეიძლება იყოს შესაბამისი დიტერატურის შესწავლა, სხვა მასწავლებლების გაკვეთილებზე დასწრება, სასწავლო კურსები ან ინტერნეტში მასალების მოძიება.



პროფესიული ზრდის გეგმის შემუშავებისას აუცილებელია ეროვნული სახწავლო გეგმებისა და განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინება. ქვემოთ მოყვანილია ის აქტივობები და სტრატეგიები, რომლებიც პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს და შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფური პროფესიული განვითარების გეგმის ნაწილის სახითაც.

საკუთარი პრაქტიკის თვითანალიზი (რეფლექსია) პროფესიული განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნარია. თვითანალიზი შეგვიძლია რამდენიმე ეტაპად დავყოთ:

1. პრობლემის იდენტიფიცირება, რომლის დროსაც მასწავლებელი თვითი საქმიანობიდან გამოკვეთს იმ პრობლემას ან კითხვას, რომლის გადაჭრის სურვილიც აქვს.

2. ინფორმაციის შეგროვება, რომლის დროსაც მასწავლებელი აგროვებს მონაცემებს მისთვის საინტერესო საკითხების ირგვლივ;

3. ანალიზი და გადაწყვეტილების მიღება, რომლის დროს მასწავლებელი ცდილობს, გაიაზროს შეგროვებული მასალა და მიიღოს

გადაწყვეტილება მათი ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე;
4. პრაქტიკული საქმიანობა, რომლის დროსაც მასწავლებელი გეგმავს თავის პროფესიულ განვითარებას. ამის შემდეგ ის შეიმუშავებს ცხრილს, სადაც გადაიტანს მიმღინარე წლის მიზნებს.

თვითშეფასება პროფესიული განვითარების ერთ-ერთი სტრატეგია. სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება და ამ ინფორმაციის გონივრული გამოყენება დადგებითად იმოქმედებს სასწავლო პროცესზე, იმის მიუხედავად, პედაგოგი დამწევებია თუ დიდი გამოცდილების მქონე. თვითშეფასების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ამ დროს ნაკლებად ექცევით სხვათა შეხედულებების ზეგავლენის ქვეშ და თავისუფლად შეგიძლიათ საკუთარი უნარების შეფასება და ანალიზი. იგი ძალიან უვნებელი მეთოდია და, შესაბამისად, მისი გამოყენებისას გულწრფელობის, რეალისტური შეფასების და სიმშვიდის შენარჩუნების ალბათობაც უფრო დიდია. მიღებული შედეგების მიხედვით, შესაძლებელია პროფესიული განვითარების უფრო სრული გეგმის შედგენაც.

სიტუაცია 1.

ნატო 7 წელია მასწავლებელია. პროფესიული განვითარების მიზნით, მან გადაწყვეტა, რომ თვითშეფასების მეთოდისთვის მიემართა. ქვემოთ მოცემული მახასიათებლების მიხედვით შეადგინა შეფასების სქემა და საკუთარი შესაძლებლობები სამბალიანი სისტემით შეაფასა.

- | | |
|-----|--|
| 1 = | ამ კონკრეტული უნარის განვითარება მჭირდება; |
| 2 = | რაღაც გამოცდილება მაქს, მაგრამ უფრო მეტი უნდა ვიმუშაო; |
| 3 = | ამ კუთხით ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს მივაღწიე. |

- ნებისყოფის სიმტკიცე და მოთმინება მოსწავლეებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას;
- ენერგიულობა და შრომისმოყვარეობა;
- პუნქტუალობა და მოწესრიგებულობა;
- სამართლიანობა;
- უყურადღებო და პასიური ბავშვების საგაკვეთილო პროცესში ჩართვის უნარი;
- ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის ეფექტურად მართვის უნარი;
- გადაწყვეტილების დროულად მიღების უნარი;

- დროის ეფექტურად გამოყენების უნარი;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების უნარი;
- სწავლების სხვადასხვა მეთოდისა და სტრატეგიის ეფექტურად გამოყენების უნარი;
- სოციალური და გენდერული მიუკერძოებლობა;
- ენთუზიაზმი საკუთარ საგანთან და მოსწავლეებთან დაკავშირებით;
- გაკვეთილის ან კონკრეტული ღონისძიების ეფექტურად დაგეგმვის, ორგანიზების და მართვის უნარი;
- გაკვეთილის მიზნის განსაზღვრის უნარი;
- რჩევისა და დახმარების თხოვნის მიზნით კოლეგებთან თანამშრომლობა;
- საკუთარი გამოცდილების სხვებისთვის გაზიარების უნარი.

თვითშეფასების შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმილი ღონისძიებები დადგებითად იმოქმედებს ნატოს მიღწევებზე, რაც მოსწავლეთა შედეგებზე აისახება.

გარდა თვითშეფასებისა, თქვენი პროფესიული განვითარებისთვის ეფექტურად შეგიძლიათ გამოიყენოთ შეფასება მოსწავლეთა მხრიდან. თუ გსურთ, შეიტყოთ, რას ფიქრობენ თქვენი მოსწავლეები თქვენ მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე, რა მოსწონთ განსაკუთრებით, ან რა შენიშვნები და მოსაზრებები შეიძლება პქრნდეთ გაპვეთილის თაობაზე, შეგიძლიათ გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული შეფასების ფორმა. საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეგიძლიათ, შეფასების ფორმა შეცვალოთ. უმჯობესია, იგი ტრიმესტრის ბოლოს ან კონკრეტული მასალის დამთავრების შემდეგ გამოიყენოთ. მოსწავლეებს აუხსენით, რომ შეფასება არის ანონიმური და მათ ნიშნებზე გავლენას არ იქონიებს. განუმარტეთ, რომ შეფასების ფორმის შევსებით, ისინი თქვენ დაგეხმარებიან სასწავლო პროცესის უკეთ დაგეგმვაში.

შეფასების ფორმაში გადმოეცით თქვენი შთებეჭდილებები ამ გაკვეთილის შესახებ.

ყურადღებით გაეცანით თითოეულ შეკითხვას და შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი პასუხი.

1. გაპვეთილი კარგად იყო ორგანიზებული	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
2. გამოყენებული მასალა (სახელმძღვანელოები, ქსეროასლები, დამატებითი საკითხები) იყო საინტერესო	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
3. ეს გაპვეთილი დამეხმარა საგნის უკეთ აღქმაში	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
4. მასწავლებლის შეფასება იყო სამართლიანი	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
5. ჩემ მიერ შესრულებულ სამუშაოს მასწავლებელი ობიექტურად აფასებდა და მეხმარებოდა შეცდომების გაანალიზებაში	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
6. გაპვეთილი იყო რთული	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
7. საშინაო დავალების მოცულობა იყო ძალიან დიდი	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
8. მასწავლებელი ყველა მოსწავლეს ეპურობოდა პატივისცემით	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
9. მოსწავლეები პატივს სცემდნენ მასწავლებელს	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
10. მასწავლებელი ზედმეტად მკაცრი იყო	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
11. გაპვეთილი იყო სახალისო	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ
12. გაპვეთილს მაღალ შეფასებას გაძლიერ	გი / არა / ისე რა / თავს გიკავებ

გაკვეთილზე რამ დატოვა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

რა არ მოგეწონათ გაკვეთილზე?

თქვენ რომ მასწავლებელი იყოთ, რითი გააუმჯობესებდით გაკვეთილს?

შეგიძლიათ გამოხატოთ თქვენი აზრი გაკვეთილთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.

პროფესიული განვითარების ერთ-ერთი ეფექტური გზაა პროფესიული ლიტერატურის გაცნობა და შესწავლა. ამ ფორმით ა ახალი ინფორმაციას იღებს და თავის ცოდნასა და გამოცდილებას აღრმავებს

პროფესიული განვითარების ერთ-ერთ საშუალებას საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. მასწავლებლები ესწრებიან თავიანთი კოლეგების საგაკვეთილო პროცესს სწავლების მეთოდებზე დაკვირვებისა და თვალსაწიერის გაფართოების მიზნით, ისევე როგორც, საკუთარი პედაგოგიური მიდგომების დასახვეწად.

სიტუაცია 2.

თეონა ისტორიის მასწავლებელია. მას ძალიან უნდა პრეზენტაციის უნარის გაუმჯობესება. მის გაკვეთილზე ბავშვები ადგილად იწყენენ და უმართავები ხდებიან. თამრიკო სხვა კლასში ასწავლის ისტორიას. თეონა წინასწარ უთანხმდება თამრიკოს და მის გაკვეთილს ესწრება იმ მიზნით, რომ მის გამოცდილებას გაიზიარებს.

თეონამ შენიშნა, რომ თამრიკო კარგი მასწავლებელია და მასადას კარგად ფლობს. მაგრამ ყველაზე შედეგიანი მაინც მისი სწავლების მეთოდია. კედლებზე ფერადი სურათები გაუკრავს, ბევრი მათგანი ბავშვების დახატულია. კლასის წინაშე დგომის და ლექციური სტილის ნაცვლად თამრიკო მერჩებს შორის დადის. თეონამ გადაწყვიტა, თამრიკოს გაკვეთილიდან აღებული რამდენიმე მეთოდი თავის გაკვეთილზე გამოეყენებინა და დაკვირვებოდა, რა ეფექტს მოახდენდა იგი ბავშვებზე.

სასწავლო გეგმის ჯგუფში შემუშავება მასწავლებლებს თავიანთ საგანთო დაკავშირებულ საკითხებში სიღრმისეული ძიების საშუალებას აძლევს. ერთად მუშაობით მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან სასწავლო მასალები, სასწავლო მეთოდოლოგია, ახალი რესურსები და შეფასების მექანიზმები. ეს ძალიან შეუწყობს ხელს მათ პროფესიულ განვითარებას.

პროფესიული განვითარების ალტერნატიული საშუალებაა კონკრეტული სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა.

სიტუაცია 3.

ნანა და გიორგი მათემატიკას ასწავლიან. გიორგი გადაწყვეტს მათემატიკის სწავლების სტრატეგიების შესწავლას. მან გაიგო, რომ ერთ-ერთ უნივერსიტეტში სემინარი ტარდება, რომლის დახმარებით

მას თავისი უნარების გაუმჯობესება შეუძლია. გიორგის უნდა, რომ ნანამაც მიიღოს ამ სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა, მაგრამ ნანას ამ ეტაპზე სრულებით აკმაყოფილებს მისი ცოდნისა და უნარების დონე.

სამუშაო შეხვედრაზე გიორგი შეისწავლის ბავშვებისთვის ალბერტული უტოლობების ახსნის მეთოდებს, განსაკუთრებით ეფექტურს იმ ბავშვებისთვის, რომელთაც მათემატიკა არც თუ ისე კარგად გამოსდით. ნათელია, რომ შემდგომში ამ კუთხით გიორგის მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე ნანასი.

პროფესიული განვითარება ასევე შესაძლებელია ინტერნეტში მასალების მოძიების გზით. თუმცა ინტერნეტში ჩატარებული კვლევა რამდენიმე მიმართულებითაა შეზღუდული. ნებისმიერ ადამიანს მინიმალური ტექნიკური უნარებით შეუძლია ინტერნეტში ინფორმაციის განთავსება. გარდა ამისა, ინტერნეტ-გვერდები იქმნება და იცვლება მფლობელის გემოვნების მიხედვით. ზოგიერთი გვერდი ექსპერტის მოსაზრებებს გადმოსცემს, სხვები კი უბრალო დილეტანტებისას. ამიტომ შეიძლება ასეთი მასალა ნაკლებად სანდო იყოს.



ახალბედა მასწავლებლებს ხშირად სჭირდებათ დახმარება საგავეთილო პროცესის მართვასა და სწავლების უნარების გაუმჯობესებაში. გამოცდილ პედაგოგს შეუძლია მიაწოდოს მათ რჩევა და დაქმარის პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწაში. პროფესიული განვითარებისთვის ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლობის მაძიებელთათვის და სხვა პედაგოგებისთვის პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება.

თქვენ შეგიძლიათ, დაუბრუნდეთ ამ თავის დასაწყისში მოცემულ კითხვებს და უპასუხოთ მათ.

მირითადი დასკვნები და რეკომენდაციები:

- მასწავლებელი ყოველთვის უნდა ზრუნავდეს თავის პროფესიულ განვითარებაზე;
- პროფესიული განვითარების სხვადასხვა საშუალება არსებობს;
- მასწავლებელს ძალიან დაქმარება პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმაზე მუშაობა;
- პროფესიული განვითარება უნდა განვიხილოთ როგორც უწყვეტი პროცესი, და არა როგორც ერთჯერადი ღონისძიება.

გამოყენებული დიტერატურა:

- „ზოგადი განათლების შესახებ ” საქართველოს კანონი, 2004წ.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. (2008). ძახვაზღუდის პროფესიული სტანდარტი. თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). ეროვნული სასწავლო გეგმა. თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). როგორ გახვავდოთ მოსწავლეებს აზროვნება (1 ნაწ.). თბილისი.
- ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. (2007). განმარტებითი ლექსიური განათლების ხაუციალისტებისათვის (1 ნაწ.). თბილისი.
- საქართველოს კონსტიტუცია.
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის აპროცესი კონვენცია.
- საქმე „H. and others v. Czech Republic”, ადამიანის უფლებათა დაცვის ეპროცესი სასამართლო, 13/10/2007 .
- Ascher, M. B .(2004). *Teacher understanding children*. Washington, DC: American Psychological Association.
- Bandura, A. (1997). *Self-efficacy: the exercise of control*. New York: Free-man.
- Betger, A. T. (1997). *Parent and school relationship: Clinical, experimental and theoretical aspects*. New York: Hoeber.
- Blatchford, P., Baines, E., Rubie-Davies, C., Bassett, P., & Chowne, A. (n.d.) Improving the effectiveness of pupil group work: effects on pupil-pupil interactions, teacher-pupil interactions and classroom engagement. Retrieved April 25, 2008, from <http://www.spring-project.org.uk/AERA-SpringPaper.pdf>
- Blatchford, P., & Baines, E. (2002, May). The SPR in G project: the case for group work in schools. Retrieved November 10, 2007, from <http://www.creict.homerton.cam.ac.uk/spring/current.doc>
- Building on the Concepts of the ‘Fat L’ Shaped Classroom. Design Share. Retrieved December 7, 2008, from <http://www.designshare.com/index.php/articles/the-l-shaped-classroom/3/>
- Creating an Effective Physical Classroom Environment. Retrieved December 8, 2008, from <http://www.teachervision.fen.com/classroom-management/decorative-arts/6506.html>
- Cutolo, F. (1996). Teaching mediation as a conflict resolution process: a new agenda for responding. Retrieved January 17, 2008, from <http://www.behavioradvisor.com/PeerMediation.html>
- Dorworth, T. R., & Overmier, J. B. (2006). On self – evaluation. *School Psychology*, 5, 355-358.

- Finch, B. K., Kolody, B., & Vega, W. A. (2000). Social development in schools. *Journal of Academic Success*, 41(3), 295–313.
- Gilmore, L. (1999) Educator's Guide to Intellectual Property, Copyright, and Plagiarism: Copyright Law and Education. University of Illinois-Urbana-Champaign. Retrieved January 8, 2008, from <http://www.ed.uiuc.edu/wp/copyright/copyrightlaw.htm>.
- Gormally, J., & Power, F. (n.d.) Assessment for learning and cooperative learning strategies. Retrieved November 5, 2007, from <http://www.teachingexpertise.com/articles/implementing-learning-innovations-1625>
- Gwinnett County Public Schools (GCPS). (2007) Gwinnett County Public School Student Parent Handbook: Grades 4-12. Retrieved January 24, 2008, from [http://www.gwinnett.k12.ga.us/gcps-mainweb01.nsf/16A6C2431AA247F6852573050053A15D/\\$file/2007-08_Student-Parent_4-12_Handbook.pdf](http://www.gwinnett.k12.ga.us/gcps-mainweb01.nsf/16A6C2431AA247F6852573050053A15D/$file/2007-08_Student-Parent_4-12_Handbook.pdf)
- Gwinnett County Public Schools (GCPS). (2008a) 9 tips for helping with homework. Retrieved January 24, 2008, from <http://www.gwinnett.k12.ga.us/gcpsmainweb01.nsf/17dd737b9accbdbf852567f40072b8a3/4233cd732c9ef7eb85256f2e00475063?OpenDocument&4~QuickLinks>
- Gwinnett County Public Schools (GCPS). (2008b) Staying Healthy During Cold and Flu Season. Retrieved January 24, 2008, from [http://www.gwinnett.k12.ga.us/gcps-mainweb01.nsf/D8F3265212DF78F48525729E0057D087/\\$file/StayingHealthyDuringColdandFluSeason.pdf](http://www.gwinnett.k12.ga.us/gcps-mainweb01.nsf/D8F3265212DF78F48525729E0057D087/$file/StayingHealthyDuringColdandFluSeason.pdf)
- Harmer, J. (2001). *The practice of English language teaching*. Harlow: Pearson Education Limited.
- Juergens, B. (2002). *Schwierige schueler? Disziplinkonflikte in der schule*. Hohengehren: Schneider.
- Jones, F. (n.d.) Tools for teaching. Retrieved December 14, 2007, from http://www.educationworld.com/a_curr/columnists/jones/jones.shtml
- Kelley, W.M. (2004). *Rookie teaching for dummies. A guide for Parent relationships*. Hillsdale, NJ: Erlbaum.
- Krapp, A., & Weidemann, B. (Hrsg.). (2001). *Paedagogische Psychologie*. Weinheim: Beltz.
- Кraig, Г. (2002). *Психология развития*. Санкт-Петербург: Питер.
- Learning Environments and Classroom design. Retrieved December 7, 2008, from <http://www.garysturt.free-online.co.uk/classdes.htm>
- Loftin, R.L., Gibb, A. C., & Skiba, R. (2005). Using self-monitoring strategies to address behavior and academic issues. *Impact* 18(2). Retrieved January 15, 2008, from <http://ici.umn.edu/products/impact/182/over6.html>
- Martin, S.H. (2002). The classroom environment and its effects on the practice of teachers. *Journal of Environmental Psychology*, 22, 139-156.

- McIntyre, T. (2006, July). Self-monitoring of behavior. Retrieved January 17, 2008, from <http://www.behavioradvisor.com/SelfMonitoring.html>
- McIntyre, T. (2006, July). Ways to catch kids being good. Retrieved January 17, 2008, from <http://www.behavioradvisor.com/CatchGood.html>
- McIntyre, T., & Franks, A. (2004, May). Dealing with bullying. Retrieved January 20, 2008, from <http://www.behavioradvisor.com/Bullying.html>
- Oerter, R., & Montada, L. (Hrsg.). (2002). *Entwicklungspsychologie*. Weinheim: Beltz.
- Redesigning the classroom environment. School zone, Educational intelligence. Retrieved December 7, 2008, from <http://www.schoolzone.co.uk/resources/articles/GoodPractice/classroom/Redesigning.asp>
- Rivlin, L.G., & Rothenberg, M. (1976). The use of space in open classrooms. In Proshansky, H.M., Ittelson, W.H., Rivlin, L.G. (Eds.). *Environmental Psychology: People and Their Physical Settings*, pp. 479-489. New York: Holt, Rinehart & Winston.
- Roemer, F. (n.d.) What is whole class self-moniotoring? Retireved February 11,2008, from <http://www.pb5th.com/selfmoni.shtml>
- Taylor A., Aldrich R. A., & Vlastos, G. (1988). Architecture Can Teach. Transforming Education, In Context,18. Retrieved December 7,2008, from <http://www.context.org/ICLIB/IC18/Taylor.htm>
- Teglasi, H. (2006). *Professional development*. New York: Holt Rinehart and Winston.
- Thompson, J. G. (2007). *The first-year teacher's survival guide*. San Francisco: Jossey-Bass.
- Thompson, J.G. (2006). *The first year-teacher's survival guide*. New York: Holt Rinehart and Winston.
- Ulrich, K. (1996). *Beruf Lehrerin. Arbeitbelastungen, Beziehungskonflikte, Zufriedenheit*. Wenheim: Beltz.
- UNICEF. The Convention on the Rights of the Child: Participation Rights: Having an Active Voice. Retrieved January 8, 2008 from <http://www.unicef.org/crc/files/Participation.pdf>.
- United Nations. (1989). Convention on the Rights of the Child. New York.
- United Nations. (1948). Universal Declaration on Human Rights. New York.
- Ur, P.(1991). *A course in language teaching*. Cambridge: Cambridge University Press.
- World Intellectual Property Organization (WIPO). (2007) World Intellectual Property Organization: An Overview. Retrieved January 8, 2008, from http://www.wipo.int/freepublications/en/general/1007/wipo_pub_1007.pdf

სარჩევი

საკლასო ოთახის ფიზიკური გარემო (ნ. გოგიჩაძე)	3
კლასის მართვის სტილი (თ. ლოდია)	12
გაკვეთილის დროის მართვა (ნ. ნიუარაძე)	20
გაკვეთილის ეტაპები (ნ. ნიუარაძე)	28
საკლასო ორგანიზაციის მოდელები (ნ. ნიუარაძე)	35
ჯგუფური მუშაობა (ნ. ნიუარაძე)	46
ჯგუფური მუშაობის მართვა (ნ. ნიუარაძე)	59
ქცევის წესები (ნ. ნიუარაძე)	65
ქცევის თვითმართვა (ნ. ნიუარაძე)	78
კონფლიქტების მოგვარება (ნ. ნიუარაძე)	90
განათლება და კანონმდებლობა (ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი)	103
მასწავლებლის უფლებები და მოვალეობები (ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი)	108
მოსწავლის უფლებები და მოვალეობები (ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი)	121
მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობა (ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი)	129
თანამშრომლებთან ურთიერთობა (ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი)	138
პროფესიული განვითარება (ქ. მაკლეინი, ტ. ბოლი)	146
გამოყენებული ლიტერატურა	156

შენიშვნებისთვის

